ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 ივლისი **ორშაბათი** 2009

№ 173 (12852) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა





# ექტორ კუპერმა შემადგენლობა შეარჩია

# ცქიტიშვილი და ანანიძე კი, მაგრამ კალაძე და იაშვილი...

**ეროვნული** ნაკრების თავკაცი ექტორ კუპერი საქართველოში 23 ივლისს, თანაშემწე ხოსე ფანტაგუცისთან ერთად დაბრუნდა. იმავე დღეს, ისინი თბილისის „დინამოსა" და ლატვიური „მეტალურგსის" საევროლიგო მატჩს დაესწრნენ. მოგეხსენებათ, 12 აგვისტოს საქართველოს ეროვნული გუნდი მალტასთან გასვლით ამხანაგურ შეხვედრას მართავს. კუპერის ჩამოსვლას, ნაკრების სამალტო შემადგენლობის შერჩევა მოჰყვა. ხსენებული მატჩისთვის არგენტინელმა 21 ფეხბურთელი შეიგულა. კუპერის სიაში ეს ხალხია...

» გვერდი 2

## იაშვილს და მარცვალაძეს წყვილ-წყვილად გააქვთ



## ლეგიონის უქმეები

» გვერდი 4




## დაბრუნდა და გაიტანა

### თარგამაძე ბუნდესლიგაში ითამაშებს?

» გვერდი 5

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# ცქიტიშვილი და ანანიძე კი, მაგრამ კალაძე და იაშვილი...

## მნიშვნელოვანი დებიუტის მოლოდინში. კუპერმა სამალტო შემადგენლობა დაასახელა

« პირველი გვერდიდან

მეკარეები - გიორგი ლომაია (ინტერი, აზერბაიჯანი), ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია);

მცველები - ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), თემურ ლონლაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გურამ კაშია (დინამო), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები - ლევან კობიაშვილი, ლევან ყენია (ორივე შალკე, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (უკლუბოდ), ჯანო ანანიძე (სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი), ლევან ხმალაძე (დინამო), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი სეთურიძე (ოლიმპი);

თავდამსხმელები - ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია), ლადო დვალიშვილი (მაქაბი ჰაიფა, ისრაელი), გიორგი მერებაშვილი (დინამო).

როგორც ხედავთ, სიაში არ არის კაპიტანი კახა კალაძე და ეს არცაა გასაკვირი. ოპერაციის შემდეგ ის ჯერ ბოლომდე ვერ ჩადგა მწყობრში.

შემადგენლობაში არ არის ნაკრების სტაჟიანი წევრი ალექსანდრე იაშვილიც. საქმე ისაა, რომ „კარლსრუეს" ფორვარდს ყვითელი ბარათები მოუმრავლდა, რის გამოც იტალიასთან 5 სექტემბრის მატჩის გამოტოვება მოუწევს. ჰოდა, კუპერმაც ის ხალხი გამოიძახა, ვისაც „სკუადრა აძურას" წინააღმდეგ გამოიყენებს.

მაგრამ ამ სიაში მთავარი მაინც ორი დებიუტანტია - მოსკოვის „სპარტაკის" 16 წლის ვირტუოზი ჯანო ანანიძე და ზაქათალის „სიმურგის" მცველი თემურ ლონლაძე, რომელმაც გასული სეზონი რუსთავის „ოლიმპში" ჩაამთავრა. რაც შეეხება ანანიძეს, მის გარშემო ატეხილ ვნებათაღელვას აქ აღარ შევეხებით. ერთს დავძენთ მხოლოდ - მთავარი ის არის, რომ კუპერმა დაასწრო რუსებს და ანანიძე ნაკრებში გამოძახებაზე ოფიციალურ შეტყობინებას, როგორც წესი, მატჩამდე 2 კვირით ადრე მიიღებს.

უთუოდ ხაზგასასმელია ეროვნულ გუნდში ლევან ცქიტიშვილის დაბრუნება. რაკი ვისბადენის „ვეენი" მეორედან მესამე ბუნდესლიგაში გავარდა, ლევანს კლუბთან კონტრაქტი ავტომატურად გაუწყდა და ჯერჯერობით უკლუბოდაა. ყოველი შემთხვევისთვის შეგახსენებთ, რომ ცქიტიშვილი კუპერის ფორმაციის ნაკრებში პირველადაა გამოძახებული.

ნაკრებში ბრუნდება მათე ღვინიანიძეც. შეგახსენებთ, რომ „მიუნხენ 1860-ის" მცველმა ეროვნულ გუნდში ბოლოს შარშან, 19 ნოემბერს, რუმინეთთან გასვლით ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა (მხოლოდ პირველი ტაიმი). რაც შეეხება ფრანგული „ლე მანის" მცველ ამირან სანაიას, კუპერის გუნდში მას ჯერ არ უთამაშია. ეროვნულში კი ბოლოს შარშან, პეტარ სეგრტის ხელმძღვანელობით, პორტუგალიასთან საგარეო მატჩში ითამაშა.

ეროვნული ნაკრები კუნძულზე 9 აგვისტოს გაემგზავრება და 12 აგვისტოს სპარინგისთვის იქვე მოემზადება.

**დავით ცაბაძე**

U 21

საერთაშორისო ტურნირი

# მოგება და მესამე ადგილი

**საქართველო–ზიმბაბვე 1:0**

1:0 მაისურაძე (60. შონიას პასით)

საქართველო: თევდორაძე, გამრეკლიძე, ხატიაშვილი, თოთაძე, კილაძე, შონია, თარხნიშვილი, მაისურაძე, პავლიაშვილი, ბოლქვაძე (55. გოგიტიძე/85. იოსელიანი), ჩიმაკაძე (52. ჭედია).

გაძევება: თოთაძე (62)

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი მოგებით დაასრულა. ოთარ გაბელიას გუნდი დასკვნით ტურში ზიმბაბვეს შეხვდა და 1:0 მოუგო. ისევე, როგორც ბულგარეთთან, ჩვენმა 21-წლამდელებმა ამჯერადაც 10 კაცით ჩაამთავრეს თამაში.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. პირველ 45 წუთში ორივე კართან არაერთხელ შეიქმნა ხიფათი. ჯერ იყო და, ილია პავლიაშვილს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მერე კი ბესიკ ჩიმაკაძეს, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ორივემ მცირე მანძილით ააცილა მიზანს. თავის მხრივ, არც აფრიკელები იყვნენ გულხელდაკრეფილნი, მაგრამ მეკარე რევაზ თევდორაძემ ორჯერ რთული ბურთი მოიგერია. შესვენებაზე გუნდები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

გაბელიას კრებულმა მეორე ნახევარი აქტიურად დაიწყო. მე-60 წუთზე თემურ შონიამ (წინა ორ შეხვედრაში ნაკრების მიერ გატანილი ორივე გოლი მის ანგარიშზეა - ავტ.) ფლანგური გარღვევა განახორციელა, საჯარიმოში კარგად შენიშნა თანაკლუბელი ნიკოლოზ მაისურაძე, რომელმაც მეტოქის მცველებს დაასწრო და ანგარიში გახსნა - 1:0.

მალევე, მცველ ლაშა თოთაძეს არბიტრმა მეორედ უჩვენა ყვითელი ბარათი და დაცვის ლიდერს მოედნის დატოვება მოუხდა. რიცხობრივი უპირატესობით აფრიკელებმა ისარგებლეს და ზეწოლა გააძლიერეს, მაგრამ ქართველებმა კარი „მშრალად" შეინახეს. შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, შეცვლაზე შესული გელა გოგიტიძე დაშავდა და 21-წლამდელთა თავკაცმა ბოლო შეცვლაც შეაშველა - მოედანზე შეუშვა გივი იოსელიანი, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებს თბილისიდან გამგზავრებამდე, ბოლო მომენტში დაამატა. კაცნაკლულობის მიუხედავად ჩვენს ახალგაზრდულს ანგარიშის გაზრდა შეეძლო, მაგრამ გიორგი ჭედიამ შანსი ვერ გამოიყენა. საბოლოოდ, 1:0 და მესამე ადგილი.

*„ზედიზედ მეორე მატჩში გაგვიძევეს ფეხბურთელი. ამ ბოლო წითელ ბარათზე არაფერს ვამბობ, მაგრამ ბულგარეთთან ძალზე არაობიექტური მსაჯობა იყო. რაც შეეხება ზიმბაბვესთან მატჩს, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს. იცით, რომ კლუბებმა რამდენიმე ფეხბურთელი ვერ გამოუშვეს და ახალი მოთამაშეები გამოვცადეთ. საერთო ჯამში, ნორმალურად გამოვიყურებოდით"*, - გვითხრა ნამატჩევს გაბელიამ.

მეორე მატჩში ბულგარეთი და სამხრეთი აფრიკა უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| 2. სამხ. აფრიკა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. ზიმბაბვე | 3 | 0 | 0 | 3 | 0-8 | 0 |

**დავით ცაბაძე**

U 17

ამხანაგური მატჩი

# ჭანტურიას ჰეთ-თრიკით...

## დევდარიანის მორიგი ეფექტური პროდუქტი. 17-წლამდელებმა ფეხბურთი გაგვახსენეს

**საქართველო–ესტონეთი 3:1**

1:0 ჭანტურია (16. ყაზაიშვილის პასით), 2:0 ჭანტურია (24. ყაზაიშვილის პასით), 2:1 პიკორი (49. ლუიგენდის პასით), 3:1 ჭანტურია (78. ყაზაიშვილის პასით).

საქართველო: ლეგაშვილი - მაჭავარიანი, გაგნიძე, დოლიძე, ტვილდიანი - არველაძე (44. პარუნაშვილი), ხუბუა, ყაზაიშვილი, კოშაძე (78. სხირტლაძე) - ჭანტურია, ხოჭოლავა (52. ხარლამოვი).

სათადარიგოები: ტყეშელაშვილი, დრიაევი, ზარნაძე, მოგელაძე

ესტონეთი: იენკი - კლემერი (62. ინგერმანი), ვიიკნა, მეტსი, პიკკი - რაუდსეპი (40. პიკორი), უსტაალი, ანიერი (58. რანამაა), ლუიგენდი - ლეხტი (40. ელჰი), კნიაზევი.

სათადარიგოები: ტოკარევი, მიკკი, როდიმა.

გაფრთხილება: კლემერი (17), არველაძე (22), მეტსი (25), გაგნიძე (38), ხოჭოლავა (50), რანნამაა (74), ჭანტურია (78), ტვილდიანი (79)

არბიტრი: ო. ხეცაძე

თბილისი „ლოკომოტივთან" ჩატარებული ეფექტური შეხვედრის შემდეგ გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრებმა ყველას ის „თბილისი" გაახსენა, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ მოგვწონდა. დევდარიანის გუნდები ყოველთვის ეფექტურობით, აზრიანი ფეხბურთითა და მკაფიო ინდივიდუალისტებით გამოირჩეოდნენ. სწორედ ასეთი გუნდი ვნახეთ გუშინ ესტონეთის ნაკრების წინააღმდეგ. ჩვენი ბიჭები ეპიზოდებში ისე „ფეთქდებოდნენ", რისთვისაც გვიყვარს ფეხბურთი. პირველ ტაიმში ქართველებმა ოპონენტი პირწმინდად დაჩაგრეს, მთელ რიგ ეპიზოდებში გვიჩვენეს კომბინაციური და ლაღი ფეხბურთი, თუმცა ზოგჯერ ზედმეტი ინდივიდუალიზმით ერთობოდნენ.

» მე-3 გვერდზე

ლეგიონერები

# გიორგი ფეიქრიშვილი: ყაზახეთის მოქალაქეობაც და... ნაკრებიც?



ყაზახეთი საფეხბურთიო გრანდი არასდროს ყოფილა და ვარსკვლავებს ვერც ახლა ეთამაშება, მაგრამ იქაური ფეხბურთი მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის. ყაზახური კლუბების ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, სახელმწიფომ ამ სახეობის განვითარება გადაწყვიტა და აქედან გამომდინარე, ყაზახეთის ჩემპიონატის დონე საგრძნობლად გაიზარდა. უკვე აღარავის უკვირს, რომ იქაური კლუბების ბიუჯეტი 10, 20 და 30 მილიონ დოლარსაც კი აღწევს.

ასეთ ქვეყანაში თამაშს ქართველები უწინდელივით აღარ უკადრისობენ. ან სხვა რა გზაა, ფეხბურთელებს ხანმოკლე კარიერა აქვთ და ნორმალურ პირობებზე სათავისოდ ყველა ზრუნავს. ეს სრულიად გასაგებია. ან რომელ უკადრისობაზეა ლაპარაკი - სამწუხაროდ, ჩვენი გალატაკებული კლუბების გადამკიდე, საქართველოდან გაქცევა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ფეხბურთელებისთვის ერთადერთი გამოსავალია.

...და ქართველებიც უკანმოუხედავად გარბიან - აზერბაიჯანი იქნება ეს, ყაზახეთი თუ უზბეკეთი, უკვე მნიშვნელობაც აღარ აქვს. სხვა გამოსავალი არც გიორგი ფეიქრიშვილს ჰქონდა - თბილისის „დინამოს", „ვიტ ჯორჯიას", „ოლიმპისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი თებერვლიდან ყაზახეთშია და ატირაუს საფეხბურთო კლუბის სახელით თამაშობს.

ყაზახეთის ჩემპიონატში მეორე წრის დაწყებამდე „ატირაუს" ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩაატარა გულშემატკივართა გამოკითხვა, რომლის მიზანიც პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა გახლდათ. გაიმარჯვა ქართველმა ნახევარმცველმა - ფეიქრიშვილმა 53 ხმა მოაგროვა და მეორეადგილოსანს, რუსეთის ნაკრებისა და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" ყოფილ ფორვარდს, ან კი „ატირაუს" კაპიტან დენის ზუბკოს საკმაო უპირატესობით (32 ხმა) აჯობა. არადა, ზუბკო ყაზახეთში ერთობ პოპულარულია...

**გიორგის გუშინ დავუკავშირდით:**

- გულშემატკივართა ნდობა ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, - დაიწყო ფეიქრიშვილმა, როცა აღიარება მივულოცეთ, - მათ სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ისეთი სახელების გვერდით მიწევს თამაში, პირველ ადგილზე გასვლას ვერ წარმოვიდგენდი და გამოკითხვაში გამარჯვება ამის გამო უფრო მსიამოვნებს.

**- „ატირაუსთან" როდემდე გაკავშირებთ კონტრაქტი?**

- თებერვალში ერთწლიანი ხელშეკრულება კი გავაფორმეთ, მაგრამ სეზონის ბოლოს ხელახლა მოგვიწევს დალაპარაკება. „ატირაუს" თბილისის „დინამოსგან" ჩემი კონტრაქტი ჯერ არ გამოუსყიდია, დღემდე ისევ „დინამოს" ვეკუთვნი, ყაზახეთში განათხოვრებით ვთამაშობ.

**- ვიცით, რომ ყაზახეთში დიდი ფულია, მაგრამ არის კი ამ ქვეყანაში საფეხბურთო პერსპექტივა?**

- რა თქმა უნდა, არის - უკრაინული და რუსული კლუბების სელექციონერები თამაშებს ხშირად ესწრებიან. არ მეგონა, ასეთი დაძაბული და საინტერესო ჩემპიონატი თუ ექნებოდათ. პირადად მე, საქართველოზე უკეთესი პირობები შემიქმნეს და უფრო ძლიერ ლიგაში გადასვლის იმედიც გამიჩნდა.

**- ცნობილია, რომ ყაზახები რუსულ სტილში, ათლეტურ ფეხბურთს თამაშობენ. ქართული ფიზმომზადებით თამაში არ გაგიჭირდათ?**

- თავიდან კი გამიჭირდა, მაგრამ გუნდთან ერთად ორი შეკრება გავიარე და მოთხოვნებს იოლად შევეგუე. ყაზახეთი მართლა ბრაზილია კი არ არის, შეგუება რომ გამიჭირდეს. რადგან საუკეთესოდ დამასახელეს, ალბათ, ესეც მეტყველებს იმაზე, რომ ყველაფერი რიგზეა და თავი კარგად წარმოვაჩინე. გუნდში ბევრი საინტერესო ფეხბურთელია - უბრალო და გულიანი ბიჭები აღმოჩნდნენ, კარგად მიმიღეს. დენის ზუბკო დამიმეგობრდა, თურმე, 1996 წელს თბილისში რუსეთის ნაკრებს ახლდა. ის მატჩი 1:1 დასრულდა. ზუბკო ჩვენი ბომბარდირი და გამოცდილი მოთამაშეა. თავად გუნდს რაც შეეხება, „ატირაუმ" პირველი წრე მეშვიდე ადგილზე დაასრულა, რაც კლუბის ხელმძღვანელობის ამბიციებს არ აკმაყოფილებს. ამიტომ, მეორე წრემდე კიდევ ორი გამოცდილი მოთამაშე დავიმატეთ - მოსკოვის „ლოკომოტივის" ყოფილი ნახევარმცველი ალბერტ სარქისიანი და ნალჩიკის „სპარტაკის" ექსმცველი ვიტალი შუმეიკო.

**- მართალია, ვითომ ყაზახეთის მოქალაქეობა შემოგთავაზეს?**

- მართლია. მარტივი ჩანაფიქრი აქვთ - მოქალაქეობა ავტომატურად მომიხსნის ლეგიონერის სტატუსს და საშუალება ექნებათ, დასაშვებზე მეტი ჩამოსული ფეხბურთელი ათამაშონ. მეორე მიზეზი ყაზახეთის ნაკრების მწვრთნელის დაინტერესება ყოფილა. არ ვიცი, ნაკრების მხრიდან ინტერესი რამდენად მყარი და კონკრეტულია, მაგრამ თამაში კი შემომთავაზეს და... და მეც ვფიქრობ. საქართველოს ნაკრებში არ მითამაშია, კანდიდატიც არასდროს ვყოფილვარ, ახლაც არავის ვაინტერესებ და რა მაქვს დასაკარგი? შესაძლოა, დავთანხმდე კიდეც. ნაკრები მაინც სხვა დონეა, მეტი გამოცდილება და პერსპექტივაა. ცუდი კი ის არის, რომ ყაზახეთში ქართველები თითქმის არ თამაშობენ. ერთი ლაშა ჭელიძეა და ზვიად ჯელაძე საქმიანობს კიდევ. უკვე ქართული ხმის გაგონება მენატრება...

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპარტაკი

# აფრიკელთა მოლოდინში

ერთ კვირაზე ნაკლები დრო რჩება საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე და გუნდების უმრავლესობაც საგულდაგულოდ ემზადება ახალი სეზონის დაწყებისთვის. ერთ-ერთი უკანასკნელი საკონტროლო მატჩი ჩაატარა ცხინვალის სპარტაკმა" - გუნდში მომხდარი სერიოზული საკადრო ცვლილების გამო უკვე წინასწარვე რომ ყურადღების ცენტრშია მოქცეული. „სპარტაკის" მეტოქე ამჯერად უცხოური კლუბი, კერძოდ კი, აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გასული ბაქოს „ოლიმპიკი" იყო. მატჩის პირველსავე წუთზე „სპარტაკის" ახალწვეულმა **შოთა ჯიშკარიანმა** ანგარიში გახსნა.

აქვე შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ჯიშკარიანი სწორედ აზერბაიჯანის ჩემპიონატში ასპარეზობდა. სტუმრებმა საპასუხო გოლი 31-ე წუთზე გაიტანეს და შეხვედრის ბოლომდე ეს ანგარიში (1:1) აღარ შეცვლილა. „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: **ბათიაშვილი (გვენცაძე) - შ. ჯიშკარიანი (გოგინაშვილი), დიდავა, გ. კვახაძე, ლ. დეკანოსიძე - ოდიკაძე, ჩივაძე, ცხადაძე (კბილცეცხლაშვილი), ჩალაძე (შალამბერიძე) - რ. გოცირიძე, ლ. მელქაძე.**

„სპარტაკის" შემადგენლობაში ტრავმების გამო არ უთამაშიათ: **ბოიომოს, ირაკლი ჩირიკაშვილსა** და **გიორგი კეტაშვილს**; ხოლო **ნიკოლოზ მაისურაძე** და **თეიმურაზ შონია** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი. „ოლიმპიკთან" მატჩში ვლადიმერ ხაჩიძის გუნდში სამი პოტენციური ახალწვეული გამოჩნდა: ახალგაზრდა მეკარე ამირან გვენცაძე („ამერი"), რომან გოგინაშვილი და ლაშა დეკანოსიძე. ეს ორი უკანასკნელი წინა სეზონში ბელარუსის ჩემპიონატში ასპარეზობდა: დეკანოსიძე - ბორისოვის ბატე-ს ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც ჰყავდა შეყვანილი; აი, რაც შეეხება გოგინაშვილს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის" ყოფილი ფეხბურთელი სამშობლოში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნდა.

სხვათა შორის, „სპარტაკს" მორიგი საკონტროლო მატჩი დღეს უნდა ჩაეტარებინა თუმცა... მეტოქე არ ჩამოუვიდა. საქმე ისაა, რომ უკვე რამდენი დღეა ველოდებით კოტდ'ივუარის კლუბების ნაკრების საქართველოში ჩამოსვლას! ამ ეგზოტიკური ქვეყნის წარმომადგენლები ლამის ერთი კვირაა, გზაში არიან და თბილისამდე ვერაფრით ჩამოუღწევიათ. არადა, აფრიკულ გუნდს საქართველოში რამდენიმე ამხანაგური მატჩიც აქვს დაგეგმილი და ბოლო ინფორმაცით, ალბათ ხვალ სალამოსთვის გვეწვევიან. მანამდე კი „სპარტაკში" მორიგი სიახლეა: გუნდში ჩაირიცხა საქართველოს XX ჩემპიონტის ერთ-ერთი გამორჩეული მეკარე **ბექა შეყრილაძე.**

**გია ტუხაშვილი**

სიონი

# ჩიკვილაძის დუბლი და... გოგობერიშვილი

ბოლნისის „სიონი" საქართველოში შეკრებაზე მყოფ ბაქოს „ოლიმპიკს" შეხვდა და 3:1 სძლია. ქართველთაგან დუბლი **თენგიზ ჩიკვილაძემ** შეასრულა, მესამე გოლი კი მეორე ტაიმის დასაწყისში **მიხეილ ბობოხიძემ** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ შესვენების შემდეგ ბოლნისელთა რიგებში ითამაშა 32 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილმა,** რომელიც ბოლოს სწორედ ბაქოს „ოლიმპიკში" თამაშობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჭანტურიას ჰეთ-თრიკით...

« მე-2 გვერდიდან

ისე კი, რამდენიმე ეპიზოდში სწორედ ამ ინდივიდუალიზმის წყალობით მოწყვიტეს ტრიბუნებს ოვაცია. მე-12 წუთზე **ლევან კოშაძე** ლამაზად გასცდა რამდენიმე მცველს, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა კარს მცირედ ააცილა.

ანგარიში კი მე-16 წუთზე გაიხსნა - **ვალერი ყაზაიშვილის** მშვენიერი გადაცემით მეკარესთან პირისპირ დარჩა **გიორგი ჭანტურია** და 1:0. სხვათა შორის, სამივე კომბინაცია ამ სცენარით განვითარდა - მთავარი მეპასე ყაზაიშვილი გახდათ, გამტანი კი „ბარსელონას" ქართველი ფორვარდი.

სტუმართა კარის ბადე მეორედ 24-ე წუთზე შეირხა. ჭანტურიამ მცველებს გაასწრო და მახვილი კუთხიდან შეაგდო - 2:0. ტაიმის მიწურულს ესტონელთა მეკარემ ორჯერ მშვენიერი რეაქცია გამოავლინა და ჭანტურიას რთული დარტყმები მოიგერია.

ორი მწვავე კონტრშეტევა ესტონელებმაც განახორციელეს: 22-ე წუთზე **რაუდსეპმა** დასარტყმელ პოზიციაში ბურთი ვერ დაიმორჩილა, ხოლო 10 წუთის შემდეგ მისივე დარტყმა მეკარე **დავით ლეგაშვილმა** მოიგერია, დამატებაზე კი **ლეპტმა** ვერ ივარგა.

მერე საკმაოდ უცნაური ეპიზოდიც ვიხილეთ: ესტონელები სიცხისგან მოითენთნენ, მსაჯისგან ტაიმ-აუტი მოითხოვეს და წყალი დალიეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრები გამოცოცხლდნენ. 49-ე წუთზე **ივო-ჰენტი პიკორმა** საჯარიმოში მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და ახლო მანძილიდან ანგარიში შეამცირა - 2:1. 53-ე წუთზე კინაღამ წონასწორობა აღდგა - **ელჰი** მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ლეგაშვილმა მშვენიერი რეაქცია გამოავლინა და გადაგვარჩინა.

ამის შემდეგ დევდარიანმა რამდენიმე შეცვლა განახორციელა და საქართველოს ნაკრები ისევ გამოცოცხლდა. გოლის გატანის შანსები ვერ გამოიყენეს **ლაშა პარუნაშვილმა, გიორგი ხარლამოვმა** და **ჭანტურიამ.** ეს უკანასკნელი, 78-ე წუთზე, ყაზაიშვილმა კიდევ ერთხელ გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე და ბარსელონელმა ფორვარდმა ჰეთ-თრიკი გაიფორმა - 3:1.

ამხანაგური მატჩის კვალობაზე ბრძოლა მეტისმეტად ხისტი გამოდგა, რაც 8 (!) ყვითელ ბარათში აისახა. მიუხედავად იმისა, რომ მოთამაშეები დაუკრეფავში არ გადასულან, ჩვენს ფეხბურთელებს მაინც მეტი თავშეკავება მოეთხოვებათ - საშინაო ამხანაგურ მატჩში ამდენ ყვითელ ბარათს თუ იღებენ ფეხბურთელები, ოფიციალურ ტურნირში ხომ მით უფრო არავინ დაინდობს.

**გიორგი დევდარიანი, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** - ორჯერადი ვარჯიშები გუშინწინ დავამთავრეთ და ფეხბურთელები ჯერ კიდევ დატვირთვის ქვეშ არიან. ოპტიმალურ ფორმას აგვისტოს შუა რიცხვებისთვის უნდა მიაღწიონ, როცა პალანგის საერთაშორისო ტურნირში ჩავერთვებით. ჩვენ არა ესტონეთთან მატჩებისთვის, არამედ ოქტომბერში ჩასატარებელი ოფიციალური შეხვედრებისთვის ვემზადებით. თამაშები მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპის ნაწილი იყო. კმაყოფილი არასდროს არ ვარ, რადგან 16-წლიანების სრულყოფილი გუნდი ბუნებაში არ არსებობს. მოზარდებთან მაქვს საქმე, ესენი კი ყოველდღე უნდა პროგრესირებდნენ და როგორც ვხედავ, ასეც არის. დღეს გუნდში პლუსები დავინახე, მაგრამ მინუსი უფრო მეტია. პალანგის ტურნირზე ყველაფერი უკეთ გამოჩნდება.

**- ბოლო დროს ქართული გუნდები კომბინაციურ ფეხბურთს ვერ თამაშობენ, თქვენმა გუნდმა კი არაერთი გააზრებული კომბინაცია გაითამაშა...**

- კომბინაციებს ვარჯიშებზე ვამუშავებდით. თუმცა ეს იყო მხოლოდ გაელვება. ჩვენი მიზანია, ეს სტაბილურად იყოს, ინდივიდუალისტები კი გუნდურ ტაქტიკაში მოვაქციოთ და მივახვედროთ, რომ ეს უფრო მომგებიანი მათთვის და ნაკრებისთვისაც.

დაბოლოს, ქართველი ჭაბუკები ესტონელებს 28 ივლისსაც შეხვდებიან. ეს მატჩიც „ლოკომოტივზე" ჩატარდება და 18 საათზე დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, მატჩები |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | კვალინიძე (?)< | კახელიშვილი (ლოკომოტივი) | 10 ივნისიდან, თბილისში<br>სიმურგი 3:3<br>24 ივნისიდან უკრაინაში<br>კრივბასი 0:0, ელიოსი 2:0<br>ტავრია 2:3<br>კრიმტეპლიცა 4:1<br>სტალი 1:4<br>მარიბორი 0:0<br>მარიბორი 1:3 |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | ოვონო (ლემანი, საფრანგეთი), გველესიანი (?), ტომიჩი (?), სპასოევიჩი (არმინია, გერმანია) | სომხიშვილი (მგლები), მიკელი (შარლერუა, ბელგია), იურიევიჩი (ზადარი, ხორვატია), დოლიძე (სიმურგი, აზერბაიჯანი) | 8 ივნისიდან თბილისში,<br>28 ივნისიდან გერმანიაში<br>ზელბიცი 3:1, პიოსნეკი 2:1,<br>ჰესენ კასელი 2:2,<br>კარლ ცაისი 0:0<br>მეტალურგსი 1:2<br>მეტალურგსი 3:1 |
| ოლიმპი<br>ოთარ კორღალიძე | ვ. კილასონია (მთ. მწვრთნელი) **გ. ონიანი** (ზესტაფონი), **დეკანოსიძე, გ. ნოდარის ძე ჭელიძე, ქუცურუა, ახალაია, აკუასაგა, სტურუა, მეგრელაძე, ფიფია, გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე, სირბილაძე, ჩიკვილაძე, მიკუჩაძე** (ხუთივე სიონი) | **ზ. ჭელიძე** (სიონი, იჯარით), **ლომიძე** (ლოკომოტივი), **ალექს ფრაგა, ჟოზე ჩოკო, ჟონატას კარდოზო, ანდერსონ აკინო, ჟერონიმო** (ხუთივე ატლეტიკო პარანაენსე), გრ. ჭანტურია (სიონი), ფოფხაძე (ლოკომოტივი) | 10 ივნისიდან რუსთავში<br>სიმურგი 2:1 სიმურგი 3:2,<br>თბილისი 7:3, სიმურგი 0:0<br>ბ 36 2:0, 2:0, ლეგია 0:3,<br>სიონი 4:1, ლეგია 0:1 |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | **კაკალაძე, კვესიეშვილი** (ორივე - სამტრედია), **ლ. მელქაძე, ბოიომო** (ორივე სპარტაკი), **ჩასემი (?), ს. თოდუა (?)** | **აფციაური** (გაბალა, აზერბაიჯანი), **გ. ონიანი** (ოლიმპი), **დვალი** (დაჩია, მოლდოვა), **ელიავა** (სკონტო, ლატვია), **მეშველიანი, ცხადაია (გაგრა)**, ლ. კორღალიძე (დაჩია, მოლდოვა) | 1 ივნისიდან ზესტაფონში, 12 ივნისიდან სლოვენიაში<br>პოლონია 1:1 (შეწყდა),<br>პოლონია 2:2, მარიბორი 1:1,<br>გორიცა 0:0, ლისბერნი 5:1, 6:0,<br>ჰელსინგბორგი 1:2<br>ჰელსინგბორგი 2:2 |
| სიონი<br>თემურ მახარაძე | **ო. კორღალიძე (მთ. მწვრთნელი, ოლიმპი), ზ. ჭელიძე** (ოლიმპი, იჯარით), **ალადაშვილი** (კარიერა დაასრულა), **შალამბერიძე, დიდავა, რ. გოცირიძე** (სამივე სპარტაკი), შავგულიძე, ჯ. მუჯირი, კაკაშვილი, დავითაშვილი, შენგელია, ქემოკლიძე, გრ. ჭანტურია (ოლიმპი) | თ. მახარაძე (მთ. მწვრთნელი), იმედაძე (ტორპედო), ქურასბედიანი, ოქროპირიძე, (ორივე - სპარტაკი), ა. ალავიძე (უგუნდოდ), ზ. ავალიანი (უზბეკეთი), ზუხბაია (?), რაქვიაშვილი (მგლები), სილაგავა, ფიფია (ორივე ოლიმპი), ფიფია, გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე, სირბილაძე, ჩიკვილაძე, მიკუჩაძე (ხუთივე ოლიმპი), ჭედია (მგლები) გოგობერიშვილი (ოლიმპიკი, აზერბაიჯანი) | 21 ივნისიდან - ბოლნისში<br>სპარტაკი 3:1<br>IBSU 2:2, გაგრა 2:1,<br>ლოკომოტივი 1:2,<br>ოლიმპი 1:4<br>სიმურგი 0:1<br>ოლიმპიკი 3:1 |
| ლოკომოტივი<br>გელა სანაია | **ზამთარაძე, კიკნაძე** (მთავარი მწვრთნელები), **კახელიშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ლომიძე** (ოლიმპი), **ჩირიკაშვილი** (სპარტაკი), **გ. ლომაია** (ინტერი, აზერბაიჯანი), შ. კვანტალიანი (გაგრა), დიაკენიშვილი, კ. მახარაძე (უზბეკეთი), ფოფხაძე (ოლიმპი), ბარბაქაძე | **სანაია (მთავარი მწვრთნელი),** ხატიაშვილი, ტიკურიშვილი, ჩიმაკაძე, გვაძაბია (ოთხივე ამერი), ქვილითაია (მარტვილი), ქორიძე, შ. ჯიქია (ორივე სპარტაკი) | 22 ივნისიდან - თბილისში<br>სიონი 2:1,<br>17-წლამდე ნაკრები 0:1<br>სპარტაკი 1:1 |
| გაგრა<br>ვიქტორ კაშპი | **კოზლენკო, ცხადაძე** (სპარტაკი), ლ. ნოზაძე, **ცხადაია (ზესტაფონი),** ჩარგეიშვილი | **პავლიაშვილი** (ბორჯომი), ბარბაქაძე, **შ. კვანტალიანი** (ორივე - ლოკომოტივი), ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე სამტრედია), **ნადირაშვილი** (ამერი), კოლესნიკი, **ბერბატი,** (ორივე - უკრაინა), ატერე (ნიგერია), ოფური, ოლუდარე | 15 ივნისიდან თბილისში,<br>21 ივნისიდან ურეკში<br>სამტრედია 1:0, სამტრედია 2:2<br>კოლხეთი (ფ) 1:1, მგლები 2:0,<br>სპარტაკი 2:3, სიონი 1:2,<br>მგლები/ბაია 1:2<br>სამტრედია 1:2 |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **გაბელაია** (მთავარი მწვრთნელი), სირბილაძე, ოქროპირიძე, ქურასბედიანი (სამივე - სიონი), მეტრეველი, გ. იაშვილი, თურმანიძე, შ. ღონღაძე, კოდალაევი, მგალობლიშვილი, თარხნიშვილი, ჯანგიძე, ბ. ხაჭიპერაძე (ორივე სამტრედია), ქორიძე, შ. ჯიქია (ორივე ლოკომოტივი) | **ხაჩიძე** (მთავარი მწვრთნელი), **ჩირიკაშვილი** (ლოკომოტივი), **ბათიაშვილი** (მესხეთი), **ბოიომო** (ზესტაფონი), **ჩალაძე** (მარტვილი), **კბილცეცხლაშვილი** (თბილისი), **შალამბერიძე** (სიონი), **ცხადაძე** (გაგრა), **კეტაშვილი** (ყაზახეთი), **შ. ჯიშკარიანი** (აზერბაიჯანი), **დიდავა, რ. გოცირიძე** (ორივე სიონი), ოდიკაძე (დიორ ეტო, უნგრეთი), ლ. მელქაძე (ზესტაფონი), **შეყრილაძე (ბორჯომი),** ლ. დეკანოსიძე, გოგინაშვილი (ორივე ბელარუსი), გვენცაძე (ამერი) | 20 ივნისიდან თბილისში<br>სიონი 1:3, გაგრა 3:2, IBSU 3:2<br>ახალგაზრდული ნაკრები 4:6,<br>ლოკომოტივი 1:1,<br>ოლიმპიკი (აზერბაიჯანი) 1:1 |
| მგლები/ბაია<br>ბესიკ შეროზია | **სომხიშვილი** (დინამო), ბაკარანძე, ჯოჯუა (ორივე - სამტრედია), რაქვიაშვილი (სიონი), მალიჩავა, ჟიშკარიანი, ა. ბაჯელიძე, ხუხია, ჭითანავა, ჭკადუა, ჭედია (სიონი), ინჯგია, პ. დათუნაიშვილი | მაქაცარია, ზ. ექონია, გუგუჩია, პაჭკორია, ზარქუა, კვეკვესკირი, სვირავა, ქვარცხავა, აფაქიძე, ჟვანია, ვართაგავა, გ. ქირია, ნ. შონია, სიხარულია, ნურნუმია, დ. კუტალია, რაფავა, ძალამიძე (ყველა - ბაია), ხუციძე (ამერი), ჩისამბა ლუნგუ (ზამბია), ბოადი (განა), შუჩკინი (ასტრახანი, რუსეთი), რ. ჯიქია, ისამა სილვეი, ჯეკ დენიელი | 15 ივნისიდან - ზუგდიდში,<br>1 ივლისიდან - ურეკში<br>გაგრა 0:2, ბათუმი 0:0, სამტრედია 3:1, გაგრა 2:1, მერცხალი 3:2,<br>სიმურგი 0:1 |
| სამტრედია<br>ვალერიან ჩხარტიშვილი | ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე - გაგრა) | ჯოჯუა, ბაკარანძე (ორივე - მგლები), კვერენჩხილაძე (გურია), კაკალაძე, კვესიეშვილი (ორივე - ზესტაფონი), ჩომახიძე (მარტვილი), ხარძეიშვილი (ხობი), ლ. ვაშაკიძე (მესხეთი), ფირცხალავა (ზაკარპატიე, უკრაინა) ბენდელიანი (ამერი), ტყებუჩავა, ბ. ხაჭიპერაძე, ჯანგიძე (ორივე სპარტაკი) | 20 ივნისიდან სამტრედიაში<br>გაგრა0:1, გაგრა 2:2,<br>მგლები\ბაია 1:3<br>გაგრა 2:1<br>მარტვილი 3:0 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით გამოყოფილია გადაწყვეტილი ტრანსფერები*

ლეგიონის უქმეები

ლეგიონის გეოგრაფია ისევ იზრდება, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში საფეხბურთო სეზონი დაიწყო. ჩეხეთში ახალი გუნდის შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა დიმიტრი ტატანაშვილს, სეზონი დაიწყო ილია კანდელაკის „შტურმისთვისაც“. მოსკოვურ დერბიში ცოტაც და 16 წლის ჯანო ანანიძის დებიუტი შედგებოდა, მაგრამ ეს სამომავლოდ გადაიდო.
გოლებზეც ვთქვათ, ამ უქმეებზე სამი ქართული გოლი გავიდა - თავი გოლეადორებმა ოთარ მარცვალაძემ, სანდრო იაშვილმა (ორივე „ანჟი“) და ვასილ ლუჭაშვილმა („დინაბურგი“) შეგვახსენეს.

# დებიუტი და თითქმის დებიუტი



სანდრო იაშვილმა (ბურთით) კიდევ ერთი გოლი გაიტანა

### კვირკველია დაბრუნდა და...

ყველანი რუსული პრემიერლიგის მე-15 ტურის მატჩში 16 წლის **ჯანო ანანიძის** დებიუტს ველოდით, მოსკოვურ დერბიში „სპარტაკი“ ცსკა-ს ხვდებოდა, ხოლო ჩვენებური სათადარიგოთა სკამზე იჯდა (პირველად კარიერაში). **ვალერი კარპინის** გუნდი 2:1-ს იგებდა, როცა „სპარტაკის“ მოლდოველი ლეგიონერი **სერგეი კოვალჩუკი** მოედნიდან გააძევეს. ბუნებრივია, კარპინმა აღარ გარისკა 16 წლის შემტევის შეყვანა.

შაბათს მოსკოვის „ლოკომოტივი“ კიდევ ერთ დედაქალაქურ დერბიში „დინამოს“ დაუზავდა - 1:1. როგორც ჩანს, **იური სიომინი** მაინცდამაინც არ სწყალობს **დავით მუჯირს**, ქართველმა ნახევარმცველმა მატჩს სათადარიგოთა სკამიდან უყურა. დაშავებულმა **პიტერ ოდემვინგიემ** ტრავმა მოიშუშა და უმალ სასტარტოში დაიკავა მუჯირის ადგილი. **მალხაზ ასათიანი** კი რკინიგზელთა გუნდის განაცხადში მხოლოდ აგვისტოდან მოხვდება.

**დავით კვირკველია** ბოლო დროს ველარ ხვდებოდა „რუბინის“ სასტარტო შემადგენლობაში. სანკტ პეტერბურგში „ზენიტის“ წინააღმდეგ ის დაუბრუნდა მოედანს და... 63-ე წუთზე წითელი ბარათი მიიღო. ჩემპიონი „ზენიტს“ 0:0 დაუზავდა, სტუმრებმა ორი ქართველი ფლანგის მცველით დაიწყეს, **ლაშა სალუქვაძემ** საიმედოდ ითამაშა, პირველი ტაიმის მიწურულს მასთან ორთაბრძოლაში ზენიტელ **შიროკოვს** წარბი გაუსკდა და შესაცვლელი გახდა. championat.ru-მ მას 5,5 ბალი დაუწერა, კვირკველიას - 5. მე-60 წუთზე კვირკველიას **სემშოვი** გაექცა, ქართველმა კი უხეშ ვარდნაში სცადა მეტოქის შეჩერება, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო. უკვე სამ წუთში კვირკველიამ კიდევ ერთი უხეში ვარდნა შეასრულა, ამჯერად **ფაიზულინის** წინააღმდეგ და მოედანს ნაადრევად დაემშვიდობა. „რუბინმა“ მაინც შეძლო კარის მშრალად შენახვა.

სატურნირო თვალსაზრისით ძალიან ბევრს წყვეტდა ნალჩიკის „სპარტაკისა“ და „მოსკვას“ შეხვედრა. აუტსაიდერთა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშეს **ალექსანდრე ამისულაშვილმა და გოგიტა გოგუამ**. როგორც ხედავთ, გოგუამ მოასწრო ტრავმის მორჩენა და უკვე მე-20 წუთზე **ალექსანდრ სამედოვთან** მცირე ინციდენტიც მოუვიდა და ყვითელი ბარათი მიიღო. სხვათა შორის, ეს გოგიტას მხოლოდ მესამე ყვითელი ბარათია სეზონში. ჩვენებურებმა 90-90 წუთი ითამაშეს მატჩი კი 0:0 დასრულდა. გოგუა, როგორც ყოველთვის, აქტიური იყო.

**ლევან გვაზავა** სასტარტო შემადგენლობაში იყო კრასნოდარში „ყუბანთან“ მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა. ჩვენებურმა „ტერეკის“ რიგებში სრულად ითამაშა.

„რუბინი“ კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას 28 ქულით, თუმცა სალუქვაძისა და კვირკველიას გუნდს მდევარი უკვე თითქმის წამოეწია, ანანიძის „სპარტაკი“ 27 ქულით მეორე ადგილზეა, „ტერეკი“ 21 ქულით მერვეა, „ლოკომოტივი“ 19 ქულით მე-10 ადგილზეა, ნალჩიკელები 11 ქულით კვლავ ბოლოსწინა ადგილზე არიან.

### ვიზის მიღების შემდეგ...

მცირე შესვენების შემდეგ განახლდა პირველი დივიზიონის ჩემპიონატი, **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ“ მეორე წრის პირველ ტურში 4:0 გაანადგურა „ნიჟნი ნოვგოროდი“. იშვიათად, რომ ქართველი ფეხბურთელი ასე უცბათ მორგებოდა უცხო გარემოს, როგორც ეს **ოთარ მარცვალაძემ** და **სანდრო იაშვილმა** შეძლეს, არადა მათ რუსული ვიზის ლოდინში ლამის ნახევარი სეზონი გამოტოვეს. „ნიჟნი ნოვგოროდთან“ იაშვილმა 67-ე წუთზე გამოიჩინა თავი, მარცვალაძემ - 81-ეზე. ოთარს 5 მატჩში 4 გოლი აქვს გატანილი, სანდროს - 5-ში 3. სასტარტო შემადგენლობაში **გიორგი ნავალოვსკიმ, ედიკ საჯაიამ**, ოთარ მარცვალაძემ, **ზურაბ არზიანმა** და სანდრო იაშვილმა ითამაშეს, **კახაბერ ალადაშვილი** 75-ე წუთზე შევიდა. არზიანი შესვენებაზე შეცვალეს, იაშვილი - 71-ე წუთზე. „ანჟი“ 39 ქულით პირველ-მესამე ადგილებს იყოფს „ალანიასთან“ და „შინიკთან“ ერთად. „ანჟიმ“ სეზონში პირველად მოიგო დიდი ანგარიშით.

» მე-5 გვერდზე

მეტოქე

ცრვენა ზვეზდა

# ბალკანელი ბრაზილიელები

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ ერთობ სოლიდური და ძლიერი მეტოქე ეყოლება - ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“. ევროტურნირებს შემორჩენილი ერთადერთი ქართული კლუბის მოწინააღმდეგე, მართლაც უდიდესი ტრადიციით იწონებს თავს...



1991 წელი. ჩემპიონთა თასის გამარჯვებული ცრვენა ზვეზდა

## გუნდი-ლეგენდა

„ცრვენა ზვეზდა“ ყოფილი იუგოსლავიის ყველა დროის უპირველესი გუნდია! თავად განსაჯეთ: „ცრვენა ზვეზდა“ თავისი ქვეყნის 25-გზის ჩემპიონი და 22-გზის თასის მფლობელია! ალარაფერს ვამბობთ საერთაშორისო მიღწევებზეც: 1991 წელს გუნდმა ჯერ ჩემპიონთა თასი მოიპოვა, შემდეგ - საკონტინენტთაშორისო თასი! ასეთი შედეგების ფონზე, ცოტა არ იყოს, ზედმეტადაც მიგვაჩნია იმის ხსენებაც, რომ „ცრვენა ზვეზდა“ უეფას თასის ფინალისტია (1979 წელს), ორჯერ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში იყო (1957, 1971) და ერთხელაც თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში (1975).

მოკლედ, ნამდვილი გრანდია და, ალბათ, გაზვიადებული არ იქნება იმის მტკიცებაც, რომ საკმაოდ დიდი ხნის შესვენების შემდეგ თბილისში გუნდი-ლეგენდა ჩამოდის!

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს „ცრვენა ზვეზდას“ სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ გუნდმა გასულ სეზონში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა; არადა, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, სერბეთის ჩემპიონის ტიტულს ხომ ერთმანეთში მხოლოდ ორი ბელგრადული გუნდი „ცრვენა ზვეზდა“ და „პარტიზანი“ „ინაწილებდა“.

ამას გარდა, „ცრვენა ზვეზდა“ სერბეთის თასზეც შერცხვა - ნახევარფინალში მეორე ლიგის „სევოინოსთან“ სენსაციური მარცხი იწვნია (თან - საკუთარ მოედანზე) და გათამაშებას გამოეთიშა. თუმცა ყველაზე უარესი წინ იყო - მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გუნდს ერთობ მტკივნეულად დაეტყო და „ცრვენა ზვეზდაც“ კინაღამ გაკოტრდა. მთლად „სუფთად“ საქმე არც კლუბის მაღალ ეშელონებში იყო - გუნდის ერთგული ქომაგების აზრით, „ცრვენა ზვეზდას“ მესვეურები სერიოზულ ფინანსურ მაქინაციებს აწარმოებდნენ.

ერთი პირობა საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქვეყნის უპირველეს გუნდს ლიცენზიის პრობლემა შეექმნა და ქვედა ლიგაში დაქვეითებაც დაემუქრა. ასეთ დროს კი, როგორც წესი, ფეხბურთელები გუნდიდან გარბიან და, წინა სეზონთან შედარებით, ფაქტობრივად, სრულიად ახალ სახეებს ვიხილავთ თბილისში. არადა, გასული სეზონის დაწყებას „ცრვენა ზვეზდას“ ქომაგები უდიდესი იმედით ელოდნენ: გუნდში მთავარ მწვრთნელად ხომ სახელგანთქმული ჩეხი სპეციალისტი **ზდენეკ ზემანი** დაინიშნა! თუმცა, როგორც უკვე გითხარით, სიტუაცია კატასტროფულად შეიცვალა და მხოლოდ 2009წლის ივნისში გამოსწორდა.

## სახელოვანი ისტორია

კლუბის დაარსების თარიღად 1945 წლის 4 მარტი მიიჩნევა - გერმანელი ოკუპანტებისგან იუგოსლავიის გათავისუფლების დღიდან მალევე. ორი წლის მერე კი გუნდს პირველი დერბი ელოდა - მარადიულ მეტოქესა და კონკურენტ „პარტიზანთან“! პირველი ტიტული „ცრვენა ზვეზდამ“ 1948 წელს მოიპოვა, როცა იუგოსლავიის თასის ფინალში გაიმარჯვა, ხოლო 1951 წელს პირველად გახდა იუგოსლავიის ჩემპიონი. არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საკუთარი სტადიონის აშენებაც - წლების განმავლობაში „მარაკანა“ ევროპის ერთ-ერთ უდიდეს და საუკეთესო სპორტულ არენად მიიჩნეოდა. მერე, „ცრვენა ზვეზდა“ ევროსარბიელზე რომ გავიდა, ევროპულ გრანდებსაც მუხლები უკანკალებდათ „მარაკანაზე“ - 100 000 ქომაგი არანორმალურ ფსიქოლოგიურ წნეხში აქცევდა ნებისმიერი მეტოქის ფეხბურთელებს. მოგვიანებით, „მარაკანას“ რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ის ამჟამად 55 000 კაცს იტევს.

...50-იანი წლები „ცრვენა ზვეზდას“ აყვავების ხანად მიიჩნევა: გუნდმა ხუთ-ხუთჯერ მოიპოვა იუგოსლავიის ჩემპიონობა და თასი. იმ დროს ბევრი ჩინებული ფეხბურთელიც თამაშობდა, მაგრამ გუნდის ჭეშმარიტი ლიდერი **რაიკო მიტიჩი** გახლდათ. ამას თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი მოჰყვა, თუმცა 1963 წლიდან „ცრვენა ზვეზდამ“ ისევ დაიბრუნა ძველი დიდება; ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იუგოსლავიური ფეხბურთის სამი ლეგენდის - **ვლადიმერ ბეარას, ბორა კოსტიჩისა** და **დრაგოსლავ შეკულარაცის** დამსახურება გახლდათ. მერე, გუნდში ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა - **დრაგან ჯაიჩი**, ყველა დროის ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა გარემარბი (სხვათა შორის, **რევაზ ძოძუაშვილთან** დაპირისპირება განსაკუთრებით უჭირდა).

ჯაიჩი იმ დროისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელადაც მიიჩნეოდა: 1968 წელს, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში მესამე ადგილზე გავიდა. 1998-დან 2005 წლამდე კი „ცრვენა ზვეზდას“ პრეზიდენტი იყო. 1979 წელს „ცრვენა ზვეზდა“ ძალიან ახლოს იყო პირველი საერთაშორისო ტიტულის მოპოვებასთან, მაგრამ უეფას თასის ფინალში ორი მატჩის ჯამში დამარცხდა მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ (1:1, 0:1). ამ დროს „ცრვენა ზვეზდას“ ლიდერები იყვნენ **ვლადიმირ პეტროვიჩი** და **დუშან სავიჩი**. გავიდა 12 წელიწადი და „ცრვენა ზვეზდამ“ მაინც შეძლო ევროტურნირებზე გამარჯვება. თუმცა, ამ მართლაც ისტორიულ მიღწევაზე ოდნავ ქვემოთ; მანამდე კი ის ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ, სხვადასხვა დროს „ცრვენა ზვეზდას“ ისტორიას რომ ქმნიდნენ:

**რაიკო მიტიჩი, დრაგოსლავ შეკულარაცი, დრაგან ჯაიჩი, ვლადიმირ პეტროვიჩი, ვლადიმერ ბეარა, ბორა კოსტიჩი, იოვან აჩიმოვიჩი, ველიბორ ვასოვიჩი, ვლადისლავ ბოგიჩევიჩი, ვლადიმერ დურკოვიჩი, ზორან ფილიპოვიჩი, სლავოლუბ მუსლინი, მიროსლავ პავლოვიჩი, დეიან სტეფანოვიჩი, დარკო კოვაჩევიჩი, ივან აჯიჩი, დეიან პეტკოვიჩი, დუშან სავიჩი, ივან ტოპლაკი, მილოშ შესტიჩი, დეიან სტანკოვიჩი, პერიცა ოგნიენოვიჩი, მილენკო აჩიმოვიჩი, ნემანია ვიდიჩი, ნიკოლა ჟიგიჩი, ოგნიენ კორომანი, ნიკოლა იოვანოვიჩი** და სხვები.

აქედან ზოგიერთმა არანაკლებ წარმატებას მიაღწია სამწვრთნელო ასპარეზზეც: ვლადიმერ პეტროვიჩი, ზორან ფილიპოვიჩი, სლავოლუბ მუსლინი და ველიბორ ვასოვიჩი სხვადასხვა დროს მშობლიურ გუნდს თავკაცობდნენ. სხვათა შორის, „ცრვენა ზვეზდას“ ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ერთი და იგივე მწვრთნელი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა გუნდში. ეს კი, მართლაც, ლეგენდარული **მილან მილიანიჩის** დროს იყო - 1966-დან 1974 წლამდე „ცრვენა ზვეზდას“ კონკურენტი არ ჰყავდა იუგოსლავიაში.

## ოქროს თაობა

„ცრვენა ზვეზდას“ ისტორიაში გამორჩეული ფეხბურთელები და მწვრთნელები ვახსენეთ; თუმცა, შეგნებულად „შემოვინახეთ“ 1991 წლის ტრიუმფატორები! ისე, იუგოსლაველები (კონკრეტულად, სერბები) ქართველებს ბევრ რამეში ჰგვანან. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სერბებიც მართლმადიდებლები არიან, მაგრამ ამჯერად საფეხბურთო მსგავსებაზე გვინდა ვისაუბროთ. საერთოდ, ბევრისგან გვსმენია, რომ იუგოსლაველებს „ევროპელ ბრაზილიელებსაც“ უწოდებდნენ - იმდენად ტექნიკურ ფეხბურთს ანიჭებდნენ უპირატესობას. ისიც „ნაცნობი“ სიტუაციაა, როცა კონკრეტულ მწვრთნელს, წარმატების მიღწევის მერე... გუნდიდან რომ ათავისუფლებდნენ. აი, როგორც 1990 წელს მოხდა: კლუბის ცოცხალი ლეგენდის, დრაგოსლავ შეკულარაცის ხელმძღვანელობით „ცრვენა ზვეზდამ“ ქვეყნის ჩემპიონობა და თასი მოიპოვა, მაგრამ ახალი სეზონის დაწყების წინ მის ნაცვლად **ლუპკო პეტროვიჩი** დაინიშნა. ამ უკანასკნელს ფეხბურთელობისას მთელი კარიერა „ოსიეკში“ ჰქონდა გატარებული (ბოლო სამი წელიწადი აშშ-ში თამაშობდა); სამწვრთნელო ასპარეზს რაც შეეხება, წარმატებით მუშაობდა იუგოსლავიის 18 და 21-წლამდე ნაკრებებში, მერე კი „ვოივოდინაში“. და აი, „ცრვენა ზვეზდაში“ მის მისვლას, მართლაც, ტრიუმფული გაგრძელება მოჰყვა!

» მე-5 გვერდზე

მეტოქე

ცრვენა ზვეზდა

# ბალკანელი ბრაზილიელები

მეოთხე გვერდიდან

ჩემპიონთა თასზე გუნდმა უპრობლემოდ გაიარა პირველი ორი რაუნდი: ჯერ შვეიცარიის „გრასჰოპერსთან" (1:1, 4:1), მერე - შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსთან" (3:0, 1:1); მეოთხედფინალში ვერც დრეზდენის „დინამომ" გაუწია წინააღმდეგობა და ნახევარფინალშიც გავიდა. აი, აქ კი, მართლაც არავინ ელოდა, რომ „ცრვენა ზვეზდა" იმ გათამაშების ფავორიტს, მიუნხენის „ბაიერნს" გამოაგდებდა. მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, თუ რა ფეხბურთელები თამაშობდნენ იმ დროს „ცრვენა ზვეზდაში": **დეიან სავიჩევიჩი, სინიშა მიხაილოვიჩი, რობერტ პროსინეჩკი, დარკო პანჩევი, მიოდრაგ ბელოდედიჩი, ვლადიმერ იუგოვიჩი, რაფიკ შაბანაჯოვიჩი**; მოგვიანებით, თითქმის ყველას ჩინებული საკლუბო თუ სანაკრებო კარიერა ჰქონდა, თუმცა იმ დროს, პროსინეჩკის - ხორვატობას, სავიჩევიჩის - ჩერნოგორიელობასა თუ შაბანაჯოვიჩის ბოსნიელობას ყურადღებას არავინ აქცევდა; ეგ კი არა, ბელოდედიჩი მოგვიანებით რუმინეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიც იყო...

„ცრვენა ზვეზდამ" პირველი ნახევარფინალური მატჩი სტუმრად მოიგო (2:1), ხოლო შინ ფრედ (2:2) ითამაშა და ფინალში გავიდა. მეტოქედ კი ცნობილი ბელგიელი მწვრთნელის - **რაიმონ გუტალსის** დამოძღვრილი „მარსელი" ელოდა. ფრანგული კლუბი იმ დროს ევროპაში ერთ-ერთ უმდიდრესად მიიჩნეოდა და ჩინებული ფეხბურთელებიც თამაშობდნენ: **ჟან-პიერ პაპენი, მანუელ ამორო, ბაზილ ბოლი, ერიკ დი მეკო, ჟან ტიგანა**; ალარაფერს ვამბოთ გუნდის ლეგიონერებზეც - ბრაზილიელ **ვაკარლოს მოზერზე**, ინგლისელ **კრის უოდლსა** და განელ **აბედი პელეზე**. „მარსელის" მეოთხე ლეგიონერი კი... **დრაგან სტოიკოვიჩი** გახლდათ; ფეხბურთელი, წინა ხუთი სეზონის განმავლობაში... „ცრვენა ზვეზდას" ლიდერი, სიმბოლო და კაპიტანი რომ იყო; ეგ კი არა, სტოიკოვიჩი სამართლიანად არის დასახელებული „ცრვენა ზვეზდას" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა ხუთეულში (მიტიჩთან, შეკულარაცთან, ჯაიჩთან და ვლადიმირ პეტროვიჩთან ერთად). და აი, ბედის ირონიით, სტოიკოვიჩს თავის ყოფილ გუნდთან მოუწია დაპირისპირებამ!

...1991 წლის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი იტალიის ქალაქ ბარიში ჩატარდა და „სან-ნიკოლის" სტადიონზე 56 000 ქომაგი დაესწრო. ძირითადი და დამატებითი დრო, ფრედ (0:0) დასრულდა, პენალტების სერიაში კი „ცრვენა ზვეზდამ" ხუთივე პენალტი (პროსინეჩკი, ბინიჩი, ბელოდედიჩი, მიხაილოვიჩი, პანჩევი) ზუსტად გამოიყენა; მაშინ როცა „მარსელის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, 29 წლის მანუელ ამოროს დარტყმა მეკარე **სტეფან სტოიანოვიჩმა** მოიგერია! ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ „ცრვენა ზვეზდამ" მეორე ევროპულ ტიტულსაც დაუმიზნა, მაგრამ სუპერთასზე **ალექს ფერგიუსონის** „მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხდა (0:1). ფერგის მაშინაც ჩინებული გუნდი ჰყავდა: **პიტერ შმაიხელი, დენის ირვინი, სტივ ბრიუსი, მარკ ჰიუზი, პოლ ინსი, ანდრეი კანჩელსკისი** და სრულიად ახალგაზრდა **რაიან გიგზი**! ამასობაში კი, ლუპკო პეტროვიჩმა „ცრვენა ზვეზდა" დატოვა და კარიერა უცხოეთში გააგრძელა; მის ნაცვლად კი **ვლადიმერ პოპოვიჩი** დაინიშნა, თუმცა უტიტულოდ არც ის დარჩენილა: 1991 წლის დეკემბერში „ცრვენა ზვეზდა" საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა! იუგოსლაველების



ლუბკო პეტროვიჩი

მეტოქე კი სამხრეთ ამერიკის უძლიერესი გუნდი „კოლო კოლო" (ჩილე) იყო, თუმცა ვლადიმირ იუგოვიჩის (დუბლი) და დარკო პანჩევის გოლებმა წარმატება „ცრვენა ზვეზდას" მოუტანა! სხვათა შორის, იმავე წელს, „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში დეიან სავიჩევიჩი მეორე ადგილზე გავიდა, დარკო პანჩევი კი - მესამეზე. ამას გარდა, ამ უკანასკნელმა იმ წელს „ოქროს ბუციც" მოიპოვა...

## ახალი სახეები

ამ მიღწევიდან ძალიან მალე, იუგოსლავიაც დაიშალა და... „ცრვენა ზვეზდაც"; თანაც, ქვეყანაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო იქაური გუნდები საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდნენ (გეცნობათ, სიტუაცია?) და მხოლოდ 1995 წლის შემდეგ დაუბრუნდნენ ევროტურნირებს. სხვათა შორის, „ცრვენა ზვეზდას" ორჯერ ქართულ კლუბებთანაც მოუწია დაპირისპირება და ორივეჯერ წარმატებას მიაღწია - ჯერ ფოთის „კოლხეთთან", მერე - ქუთაისის „ტორპედოსთან" (სერბულ-ქართული გუნდების დაპირისპირებებზე ხვალ ვისაუბრებთ) და აი, სულ მალე მესამედ გვესტუმრება. თან, როგორც სულ ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტობრივად ახალი ფეხბურთელებითა და ახალი მწვრთნელით. ამ უკანასკნელით დავიწყოთ: ვლადიმირ პეტროვიჩი, ფეხბურთელობისას „ცრვენა ზვეზდას" ერთ-ერთი ლეგენდა იყო და ათი სეზონის განმავლობაში იქაურ ქომაგთა კერპიც გახლდათ. მშობლიურ გუნდში ამა წლის 3 ივნისს დაინიშნა და ჯერჯერობით ორივე ოფიციალურ შეხვედრაში გაიმარჯვა: ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვენურ „რუდართან". ჩვენს სახელოვან მეტოქეს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს კლუბშიც: პრეზიდენტი 39 წლის **ვლადან ლუკიჩია**, ვინც 1991 წელს „ცრვენა ზვეზდას" ვარსვლავურ გუნდში თამაშობდა. მისი მრჩეველი კი იმ „დიდი გუნდის" ყოფილი მეკარე და კაპიტანი **სტეფან სტოიანოვიჩია**, ხოლო სპორტულ დირექტორად ასევე გუნდის ყოფილი ვარსკვლავი ივან აჯიჩი მუშაობს. აი, რაც შეეხება ფეხბურთელებს, აბსოლუტური უმრავლესობა ახალწვეულია და ვერც ერთზე ვიტყვით, რომ საერთაშორისო დონის ვარსკვლავია.

მეკარეები: **ივან რანჯელოვიჩი** (1974), **საშა რადივოევიჩი** (1979), **საშა სტამენკოვიჩი** (1985), **ბოიან პავლოვიჩი** (1986); მცველები: **ნიკოლა იგნატიევიჩი** (1983), **ვუიადინ სავიჩი** (1990), **ჯორჯე ტუტორიჩი** (1987), **სლავოლუბ ჯორჯევიჩი** (1981), **ოგნიან ვრანიეში** (1989), **პაველ ნინკოვი** (1985); ნახევარმცველები: **ნემანია ობრიჩი** (1984), **ნენად სრეჩკოვიჩი** (1988), **მარკო ბლაჟიჩი** (1985), **სავიო** (1984), **კადუ** 1986), **ნემანია ნიკოლიჩი** (1988), **მოჰამად ისა** (1986), **ვლადიმირ ბოგდანოვიჩი** (1986), **ნიკოლა ლაზეტიჩი** (1978), **დარკო ლაზოვიჩი** (1990), **ნემანია ცვეტკოვიჩი** (1980); თავდამსხმელები: **ალექსანდრ იევტიჩი** (1985), **აბუბაქარ ოუმარუ** (1987), **დეიან ლეკიჩი** (1985), **სლავკო პეროვიჩი** (1989), **ივან სტრიჩკოვსკი** (1984), **ბერნარდ პარკერი** (1986).

გუნდში ექვსი ლეგიონერია: სავიო, კადუ (ორივე - ბრაზილია), ისა (განა), ოუმარუ (კამერუნი), პარკერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და ტრიჩკოვსკი (მაკედონია).

აი, ასეთ გუნდთან მოუწევს „დინამოს" დაპირისპირება. ისე, ერთი მხრივ, მართლაც საინტერესო იქნება: „დინამოც" და „ცრვენა ზვეზდაც" ხომ თავიანთი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი და პოპულარულ გუნდები არიან!

**გია ტუხაშვილი**



ბელგრადის მარაკანა: აქ თამაშობს ცრვენა ზვეზდა



დიმიტრი ტატანაშვილი

# დებიუტი და თითქმის დებიუტი

მეოთხე გვერდიდან

### უკრაინას დაემშვიდობა?

უკრაინის ვიშალიგის მე-2 ტურში „დინამოს" მიერ „ტავრიას" რბევას (6:0) **ვასილ გიგიაძემ** სათადარიგოთა სკამიდან უყურა. ეს ალბათ, სიმფეროპოლელთა ვიცე-კაპიტნის ბოლო მატჩი იყო უკრაინის ჩემპიონატში, მას აზერბაიჯანული „სიმურგი" ელის. „დნიპრომ" უქართველოდ უმასპინძლა „მეტალისტს" და ტურის ცენტრალურ მატჩში 2:0 იმარჯვა. **ჯაბა კანკავა** ჯერჯერობით ტრავმირებულია, ხოლო **სანდრო კობახიძე** ისევ დუბლებშია. სანდრომ დუბლების მატჩში (1:0) 90 წუთი ითამაშა, მეორე ტაიმში კი „დნიპროს" რიგებში 16 წლის **ევგენი ბოხაშვილი** გამოჩნდა. ბოხაშვილს გატანაც შეეძლო, ერთ ეპიზოდში მან ფინტით ორიენტაცია დააკარგვინა მცველს, მაგრამ მეკარეს ველარ აჯობა.

**ლადო ბურდულის** „ზაკარპატია" „ვორსკლასთან" 1:3 დამარცხდა, ლადომ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, მისი მოქმედებით უკმაყოფილო მწვრთნელმა მეორეში ქართველის ნაცვლად **ვლადიმირ მაზიარი** შეუშვა. „ზარია" კიევში „ობოლონს" ეწვია და 0:3 განადგურდა. **გიორგი ციმაკურიძემ** შეუცვლელად ითამაშა დამარცხებულთა რიგებში. „კარპატი" 2:2 დაუზავდა დონეცკის „მეტალურგს", **სანდრო გურული** 77-ე წუთზე შეცვალეს.

### კანდელაკმა შტურმით დაიწყო

რიხით დაიწყო ავსტრიული ბუნდესლიგა გრაცის „შტურმა", **ილია კანდელაკის** გუნდი ევროთასების გამო მე-2 ტურიდან ჩაება გათამაშებაში. გუშინ „შტურმმა" „ნოიშტადტი" გაანადგურა - 3:0. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა სეზონის სასტარტო მატჩში.

სტარტი აიღო უნგრულმა შოპრონილიგამაც, პირველ ტურში **რატი ალექსიძის** „დიორი ეტომ" „უიპეშტს" უმასპინძლა და 0:0 დაუზავდა. ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა, თუმცა ხეირიანი ვერაფერი გააკეთა.

დაიწყო ჩეხური გორგონლიგაც, **დიმიტრი ტატანაშვილი** სეზონს ახალ კლუბში, „კლადნოში" შეხვდა. ქართველი ფორვარდის გუნდი „ლიბერეცს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. ჩვენებურს ერთხელ შეექმნა გოლის გატანის ხელსაყრელი მომენტი, მან შეუცვლელად ითამაშა. სლოვაკეთში „ნიტრამ" 1:0 მოიგო სტუმრად „კოშიცესთან", ზედიზედ ორი ტურია არ ჩანს **ირაკლი ლილუაშვილი**. შესაძლოა, ამის მიზეზი მისი წარუმატებელი თამაშია პირველ ტურში.

### ევროპაში დამარცხებული შინ იგებს

ლატვიურ ვირსლიგაში გოლით გამოიჩინა თავი **ვასილ ლუჭაშვილმა**. „დინაბურგმა", რომელსაც ქართველი **თამაზ პერტია** წვრთნის, 2:0 მოუგო „ტრანზიტსს". მატჩის 29-ე წუთზე ქართველმა გახსნა ანგარიში, მაგრამ გოლის გატანის მომენტში ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. მასპინძელთა მცველი **ირაკლი ქორთუა** 56-ე წუთზე გამოჩნდა კორეელი **ჰონგ კუმ სონგის** ნაცვლად. სტუმართა რიგებში 77-ე წუთამდე ითამაშა **გაგა გუგუნაშვილმა**. „დინაბურგი" 28 ქულით მე-4 ადგილზეა, ხოლო „ტრანზიტსი" 10 ქულით მე-7-ეა. ლიტვის A ლიგაში „ტაურასი" 0:2 დამარცხდა „შაულაისთან", ძმებ **ჭილლაძეებს** არ უთამაშიათ. „ტაურასი" 16 ქულით მე-6 ადგილზეა.

მოლდოვის ნაციონალური დივიზიონის მეოთხე ტურში „შერიფმა" „სფინტულ გეორგე" დაამარცხა - 2:0. ტირასპოლელთა ქართველ კაპიტან **ვაჟა თარხნიშვილს** არ უთამაშია. „შერიფი" 6 ქულით მესამეა.

ყაზახური პრემიერლიგის მე-16 ტურში **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუ" „ირტიშთან" 0:1 დამარცხდა. ფეიქრიშვილი სათადარიგო იყო. „ატირაუ" 21 ქულით მე-7 ადგილზეა.

ფინეთის იკონენლიგაში ქართველთა იიპპო შინ 0:3 დამარცხდა პკ-35-თან. **თორნიკე ბახტაძე** 79-ე წუთზე შეცვალეს, **ლუკა გალდავამ** მოედანზე 90 წუთი დაყო და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. **გიორგი ოსიტაშვილის** „კოტეპემ" შინ 1:0 მოუგო „ჰამეენლინას", ქართველმა ნახევარმცველმა 90 წუთი ითამაშა. „კოტეპე" 20 ქულით მე-9 ადგილზეა, იიპპო 16 ქულით - მეათეზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერები

# თარგამაძე ბუნდესლიგაში ითამაშებს?

ამერიკულ ბალტიმორში, 71 ათასი ქომაგის თვალწინ, **კახა კალაძის** „მილანი" 1:2 დამარცხდა „ჩელსისთან". საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 77-ე წუთზე **ტიაგო სილვა** შეცვალა.

უცხოური შეკრებიდან ნისლიან ალბიონზე დაბრუნებულმა „ბლექბერნმა" პირველი ტესტმატჩი გამართა - „ლიდს იუნაიტედს" ეწვია და 1:1 ეთამაშა. ჩვენი თანამემამულე **ზურაბ ხიზანიშვილი** თამაშში 72-ე წუთზე, **გაელ ჟივეს** ნაცვლად ჩაერთო. ალსანიშნავია, რომ მატჩს არ დასწრებია... „ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელი **სემ ელერდაისი**, რომელიც გუნდისთვის ახალი ფორვარდის ძიებითაა დაკავებული.

**ფელიქს მაგათმა** მორიგ სპარინგში **ლევან ყენია** ალარ დაიხმარა - „შალკე" ბერლინის „უნიონთან" 1:2 დამარცხდა. **ლევან კობიაშვილმა** სრული მეორე ტაიმი ითამაშა. მან **მორავეკი** შეცვალა.

ბუნდესლიგაში ალზევებულმა „ფრაიბურგმა" საკონტროლო მატჩში „მულჰაუზი" დაამარცხა - 3:1. ამ შეხვედრაში გუნდს დაუბრუნდა 19 წლის **დავით თარგამაძე**, რომლის განათხოვრებას „ფრაი" შვეიცარიულ „არაუში" ცდილობდა. დაბრუნებულმა თარგამაძემ ბურთიც გაიტანა - „ფრაიბურგის" მეორე გოლი (58-ე წუთი) ჩვენი თანამემამულის ანგარიშზეა. მან შეუცვლელად ითამაშა. ჩვენებურმა „ლევერკუზენთან" მატჩშიც (1:2) მიიღო მონაწილეობა. ის მოედანზე 78-ე წუთზე, **მაკიადის** ნაცვლად შევიდა.

„მიუნხენ 1860-მა" 1:0 აჯობა ესპანურ „მალიორკას". გერმანული კლუბის რიგებში პირველი ტაიმი ითამაშა მათე **ღვინიანიძემ**. 35-ე წუთზე ის მეტოქის კარსაც დაემუქრა, მაგრამ მალიორკელთა მეკარე **დუდუ ავატმა** იყოჩალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაპირისპირება

# კაიზერი: რიბერის ბაიერნი ფეხებზე ჰკიდია!

**ფრანც ბეკენბაუერმა** ფრანკ რიბერის „ბაიერნისადმი" ერთგულებაში ეჭვი შეიტანა და ფრანგ ფეხბურთელს ფაქტობრივად მოღალატე უწოდა. *„რიბერი „ბაიერნში" მხოლოდ იმიტომ გადავიდა, რომ სახელი მოეხვეჭა. ის ფრანგია, რომელსაც მიუნხენი ფეხებზე ჰკიდია,"* - განაცხადა კაიზერმა კვირას. რეკორდმაისტერის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ თუ წელს მიუნხენში დარჩა, რიბერი გაისად აუცილებლად გამოიყენებს ე.წ. მე-17 პარაგრაფს და „ბაიერნს" სასაცილო ფასად დატოვებს. როგორც იცით, დღესდღეობით ტრავმირებულ რიბერის მადრიდის „რეალი" ეპატიჟებოდა, მაგრამ ბავარიელებმა ის სამეფო გუნდში არ გაუშვეს.

გაისად კი რიბერის „ბაიერნში" გადასვლიდან სამი წელი გადის და მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტით მიუნხენურ კლუბთან კიდევ 1 წლით იქნება დაკავშირებული, ფრანგ დრიბლიორს ბავარიის დატოვება ძალიან მცირე თანხის სანაცვლოდ შეეძლება. ბეკენბაუერის აზრით, ფიფამ და უეფამ ეს წესი უნდა გააუქმონ და მიიღონ კანონი, რომლის მიხედვითაც, ფეხბურთელისთვის ასტრონომიული ხელფასის დანიშვნა დაუშვებელი უნდა იყოს.

*„მოთამაშისთვის წელიწადში 10 მილიონის გადახდა ყოველგვარ ზღვარს გადასული საქციელია. მართალია, ასეთი სისულელეები ხდება, მაგრამ ამით ფეხბურთს ვერ მოკლავენ,* - ამბობს ბეკენბაუერი, რომელიც „ბაიერნის" ახალი მწვრთნელისგან წარმატებებს ელის, - *ლუის ვან გაალი შესანიშნავი სპეციალისტია, რომელიც აუცილებლად მისცემს „ბაიერნს" იმას, რაც გუნდს იურგენ კლინსმანის ხელში აკლდა. რეკორდმაისტერის მიზანი ყველა ტურნირის მოგება უნდა იყოს".*

კაიზერ-ფრანცს გერმანიის ნაკრების წარმატების იმედიც აქვს, მაგრამ ამბობს: დამეთანხმებით, მუნდიალის მოგება სახლში უფრო ადვილია, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში და 2006 წელს შესანიშნავი შანსი გვქონდა, რომელიც ვერ გამოვიყენეთო...

**გოტფრიდ ლენცი**



ფრანც ბეკენბაუერი ფრანკ რიბერის ლიად დაუპირისპირდა

ტრანსფერი

# ბარიოსი ბორუსიაშია

## 37 გოლი 38 მატჩში. დორტმუნდელებმა გოლეადორი 4.3 მილიონად იყიდეს

გასულ უქმეებზე ბუნდესლიგაში კიდევ ერთი საინტერესო ტრანსფერი განხორციელდა. დორტმუნდის „ბორუსიამ" ძალიან საინტერესო და რაც მთავარია, წარმატებული თავდამსხმელი შეიძინა: არგენტინელი **ლუკას რამონ ბარიოსი**. ასე რომ, „ბაზელში" გადასულ **ალექსანდერ ფრაის**, ვესტფალიურ კლუბში სანტიაგო დე ჩილეს „კოლო კოლოს" 23 წლის გოლეადორი შეცვლის. დორტმუნდელები „კოლო კოლოს" შეფებს შაბათს შეუთანხმდნენ და უნდა აღინიშნოს, რომ კარზე დაგეშილ ბარიოსს ევროპაში ძალიან ბევრი მთხოვნელი (მათ შორის „რომა" და „ლაციო") ჰყავდა, მაგრამ „ბორუსიამ" ყველას დაასწრო. აყლაყუდა (1.89 მეტრი) ცენტრფორვარდი კვირას დორტმუნდში ჩავიდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და შავ-ყვითლებთან კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბორუსიამ" „კოლო კოლოს" 4.3 მილიონი ევრო გადაურიცხა.

ბარიოსმა 2008 წელს „კოლო კოლოსთვის" 38 მატჩში 37 გოლის გატანა შეძლო და რა გასაკვირია, რომ ევროპული გრანდების ყურადღების ცენტრში მოექცა. აღსანიშნავია, რომ დორტმუნდული კლუბის შეფები მასთან და „კოლო კოლოს" ბოსებთან მოლაპარაკებებს ჯერ კიდევ წლის დასაწყისში აწარმოებდნენ. მაშინ ბარიოსით ბერლინის „ჰერტა" და ბრემენის „ვერდერიც" დაინტერესებულები იყვნენ.

*„ძალიან მიხარია, რომ ტრანსფერი შედგა,* - აცხადებს „დორტმუნდის" თავკაცი **იურგენ კლოპი** და იქვე დასძენს, - *ლუკასი გენიალური თავდამსხმელია და მას დიდი ხანია, ვაკვირდებით. დაკვირვებაში იმას არ ვგულისხმობ, რომ ჩინტერნეტში მისი 37-ივე გოლი ვნახეთ. ჩვენ მას ძალიან სერიოზულად ვაკვირდებოდით და იმდენად მოგვეწონა, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ და გ ზიდან არაერთი სერიოზული კონკურენტი ჩამოვიცილეთ. რობუსტული ფეხბურთელია, მაღალი და ფიზიკურად ძლიერი. აქვს უძლიერესი დარტყმა და ამავე დროს ტექნიკურიცაა. ბარიოსმა თავისი შესაძლებლობები ლიბერტადორესის თასზეც დაამტკიცა. ახლა კი უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავდასხმაშიც ძალიან ძლიერები ვართ. სრული ბედნიერებისთვის სწორედ ასეთი გოლეადორი მაკლდა."*

*„ბუნდესლიგა ჩემთვის დიდი საჩუქარია. ბავშვობაში ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე გერდ მიულერის ქვეყანაში ფეხბურთს უმაღლეს დონეზე ვითამაშებდი. მაგრამ ვფიქრობ, რომ „დორტმუნდის" დარ გუნდში თამაში დავიმსახურე, რადგან აქამდეც ბევრი ვიშრომე და თავს მომავალშიც არ დავზოგავ. „ბორუსია" გერმანიაში ყველაზე ცეცხლოვანი გუნდია. 80 000 გულანთებული ქომაგის თვალწინ თამაში ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. ვიცი, რომ აქ ჩემზე უდიდეს იმედებს ამყარებენ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს იმედები გავამართლო,"* - ეს კი თვითონ არგენტინელის პირველი განცხადებაა.

აქვე გეტყვით, რომ გუნდის ასწლიან იუბილესთან დაკავშირებით, „ბორუსიამ" შაბათს ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც „ვალენსია" და „უდინეზე" მონაწილეობდნენ. „ვალენსიამ" ორივე თამაში (45-წუთიანი მატჩები) მოიგო - „დორტმუნდიცა" (1:1, პ. 7:6) და „უდინეზეც" (0:0, პ. 5:3) პენალტების სერიაში დაამარცხა. მეორე ადგილი კი მასპინძლებმა დაიკავეს - „უდინეზეს" **მოჰამედ ზიდანისა** და **კევინ გროსკროიტცის** გოლებით 2:1 მოუგეს. აქვე გეტყვით, რომ „დორტმუნდს" კვლავ დაუშავდა **სებასტიან კელი**, რომელიც, სავარაუდოდ, სეზონის სტარტს გამოტოვებს.

**გოტფრიდ ლენცი**

# ტერი ჩელსიში დარჩა

გუშინ „ჩელსის" ოფიციალურ საიტზე გუნდის კაპიტან **ჯონ ტერის** განცხადება გამოქვეყნდა. ფეხბურთელმა პირველად გამოხატა მკაფიო პოზიცია საკითხზე, რომლის გარშემოც ბოლო დროს დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი. ტერიმ განაცხადა:

*„ბოლო ხანს ჩემს მომავალზე ბევრს ლაპარაკობენ, ამიტომ, მინდა ყველაფერს ნათელი მოვფინო. მე ყოველთვის „ჩელსის" ერთგული ვიყავი და ასეთად ვრჩები. თავის მხრივ იგივე დამიდასტურა კლუბმაც. კლუბის ხელმძღვანელებმა განმიცხადეს, რომ ჩემს გაყიდვას არანაირ ფასად არ აპირებდნენ. როდესაც შენს სახელს უკავშირებენ სხვა კლუბს ან მწვრთნელს (რომელსაც დიდ პატივს ვცემ), საზოგადოებაში უნებლიეთ ატყდება აყიოტაჟი, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემი „ჩელსიდან" წასვლა დღის წესრიგში არასდროს მდგარა. ვიცი, მსაყვედურობენ, რომ ოფიციალური განცხადება უფრო ადრეც უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ჩემსა და კლუბის დირექტორატს შორის გარკვეული პოზიციების შეჯერება მიმდინარეობდა და ორივე მხარემ გადავწყვიტეთ განცხადება მხოლოდ მაშინ გაგვეკეთებინა, როდესაც ყველასთვის ყველაფერი საბოლოოდ იქნებოდა გარკვეული".*

**ილია ბაბუნაშვილი**

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ბოხუმი-ტრაბზონი | 0:1 |
| იფსვიჩი-კოლჩესტერი | 2:0 |
| კაიზერ ჩიფსი-მანჩესტერ ს | 1:0 |
| ბორუსია (მ)-ბოლტონი | 1:1 |
| უნიონი-შალკე | 2:1 |
| ბარნეტი-ჩარლტონი | 2:0 |
| ბრედფორდი-ბარნსლი | 0:2 |
| ბერი-შეფილდი | 0:3 |
| ექსეტერი-დერბი | 1:3 |
| ლიდსი-ბლექბერნი | 1:1 |
| პიტერბრო-ფულჰემი | 3:3 |
| უენსდი-ჰალი | 0:0 |
| შრიუსბერი-ლესტერი | 0:4 |
| სუინდონი-კარდიფი | 0:0 |
| კობლენცი-რასინგი | 1:0 |
| ჰელმონდი-ვენლო | 1:1 |
| სედანი-ნანსი | 1:2 |
| ლანსი-ნიცა | 1:1 |
| მარსელი-ტულუზა | 1:1 |
| მიუნხენი-მალიორკა | 1:0 |
| სინგაპური-ლივერპული | 0:5 |
| რივერ პლეიტი-ევერტონი | 1:0 |
| ბარსელონა-ალ აჰლი | 4:1 |
| ჰანგჯუ-მანჩესტერ იუნ | 2:8 |
| ტოტენჰემი-სელტიკი | 0:2 |
| ფეიენოორდი-სამპდორია | 3:0 |
| ნიურნბერგი-რეინჯერსი | 0:2 |
| ალემანია-ვერდერი | 3:2 |
| სანდერლენდი-ატლეტიკო | 2:0 |
| სევილია-სეიოგნამი | 0:0 |
| აიაქსი-ბენფიკა | 2:3 |

## გერმანია

### III დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-ოსნაბრიუკი | 1:0 |
| ბურგჰაუზენი-დორტმუნდი A | 4:3 |
| კარლ ცაისი-ვეენი | 2:1 |
| დინამო (დ)-შტუტგარტი A | 0:1 |
| ჰაიდენჰაიმი-ვუპერტალი | 2:2 |
| ინგოლშტადტი-ბაიერნი A | 2:0 |
| ოფენბახი-აუე | 0:0 |
| რეგენსბურგი-კილი | 2:0 |
| უნტერჰახინგი-ზანდჰაუზენი | 3:3 |
| ვერდერი A-ერფურტი | 0:0 |

## საფრანგეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ბორდო-გინგამი | 2:0 |

## ჰოლანდია

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ალკმაარი-ჰერენვეენი | 5:1 |

## ბელგია

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| სტანდარდი-გენკი | 2:0 |

## შოტლანდია

### Challenge Cup

| | |
|---|---|
| ეირდრი-პარტიკი | 0:1 |
| ანენი-ქუინზ პარკი | 2:0 |
| ეირი-ალბიონი | 0:2 |
| დანფერმლაინი-არბროა | 2:1 |
| ისტ ფაიფი-ფორფარი | 0:2 |
| ელჯინი-ბრეჩინი | 3:1 |
| ინვერნესი-მონროუზი | 1:1 პენ. 4:2 |
| პიტერჰედი-კოუდენბითი | 1:2 |
| ქუინი-ლივინგსტონი | 1:0 |
| როსი-ალოა | 3:2 დ.დ. |
| სტენჰაუზმური-კლაიდი | 2:0 |
| სტირლინგი-რეითი | 2:1 |
| სტრანრარი-ბირუიკი | 4:2 |
| დამბარტონი-მორტონი | 0:1 |

## ავსტრია

II ტური

| | |
|---|---|
| ლინცერი-ავსტრია (ვ) | 4:5 |
| რიდი-ზალცბურგი | 1:0 |
| მატერსბურგი-რაპიდი | 2:1 |
| კაპფენბერგი-ავსტრია (კ) | 3:2 |
| შტურმი-ვინერი | 3:0 |

### II დივიზიონი

III ტური

ალტახი-ავსტრია II 3:1; ტიროლი-ავსტრია (ლ) 5:0; გრატკორნი-ჰარტბურგი 0:0; სტ. პოლტენი-ზალცბურგი II 2:2; ლუშტენაუ-დორნბირნი 1:1; ადმირა-ვენა 2:0.

## დანია

II ტური

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ჰერფიოლგე | 7:1 |
| ოდენსე-სონდერილი | 3:1 |
| სილკებორგი-მიდტიულანდი | 4:0 |
| ესბერგი-ბრონდბიუ | 2:1 |
| ოლბორგი-ნორდსილანდი | გადაიდო |
| რანდერსი-ორჰუსი | დღეს |

## ფინეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| იარო-ინტერი | 0:1 |
| ჰიკ-ჰაკა | 3:3 |
| ჰონკა-ვაასა | 3:0 |
| კუოპიო-მარიეჰამნი | 2:2 |
| როვანიემი-ლაჰტი | 0:1 |
| ტამპერე-მიუპა | 2:0 |
| იუვესკიულა-ტურკუ | დღეს |

### II დივიზიონი

XIV ტური

კლუბი04-ჰოპა 0:3; ატლანტისი-კპვ 1:2; კემი-ოულუ 3:2; ტპვ ტამპერე-კიისტო 2:0; იიპო-პკ35 0:3; კოოტეპე-პამეენლინა 1:0; ტპ47-ვიიკინგიტი 0:0.

## ისლანდია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ვესტმანაეიარი-სტიარნანი | 1:0 |
| ჰაფნარი-ბრეიდაბლიკი | 2:1 |
| გრინდავიკი-ფილკნირი | დღეს |
| ტროტური-რეიკიავიკი | დღეს |
| ვალური-კეფლავიკი | დღეს |
| ფილკირი-ფრამი | დღეს |

## ირლანდია

XXI ტური

| | |
|---|---|
| ბრეი-გალვეი | 1:2 |
| დანდალკი-დროგედა | 4:2 |
| ბოჰემიანსი-შემროკი | 0:0 |
| დერი-კორკი | 1:1 |
| სლიგო-სტ. პატსი | 2:0 |

### II დივიზიონი

XIX ტური

უნივერსიტი-მერვეუ 1:0; უოტერფორდი-ლიმერიკი 2:1; კილდეირი-მონეგანი 0:2; ეთლონი-შელბურნი 2:2; ფინ ჰარპსი-უექსფორდი 0:2; სპორტინგი-ლონგფორდი 3:0.

## ნორვეგია

XIX ტური

| | |
|---|---|
| სტარტი-სტაბეკი | 2:2 |
| ბრანი-ბოდო გლიმტი | 4:2 |
| სანდეფიორდი-მოლდე | 1:1 |
| ტრომსიო-სტრომსგოდსეტი | 2:1 |
| ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 0:3 |
| ვიკინგი-ლინი | 5:2 |
| რუსენბორგი-ლილესტრომი | 2:1 |
| ოლესუნდი-ფრედრიკსტადი | დღეს |

### II დივიზიონი

XVI ტური

ლოვ ჰამი-მოსი 1:3; მიონდალენი-ჰაუგესუნდი 4:2; ნილი-ჰიონეფოსი 1:5; სარპსბორგი-ბრინი 2:3; სკეიდი-ნოტოდენი 0:2; სტავანგერი-ალტა 0:4; ტრიომსდალენი-ჰამ კამი 1:0.

## შვედეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-კალმარი | 1:2 |
| ელფსბორგი-იურგორდენი | 3:1 |
| ჰელსინგბორგი-გეფლე | 2:0 |
| ტრელებორგი-გოტებორგი | 2:1 |
| აიკ-გაისი | დღეს |
| ჰაკენი-ერებრუ | დღეს |
| ჰალმსტადი-მალმიო | დღეს |
| იორგრიტე-ჰამარბიუ | დღეს |

### II დივიზიონი

XVI ტური

ანგელჰოლმი-ლანდსკრონა 1:1; ვასალუნდსი-სირიანსკა 1:2; ასირისკა-ფარკენბერგი 0:2; კვიდინგი-ლიუნგსკილე 2:3; ატვიდაბერგი-ტროლჰატანი დღეს; სირიუსი-ვასბი დღეს.

## შვეიცარია

III ტური

| | |
|---|---|
| სტ. გალენი-ქსამაქსი | 1:1 |
| ციურიხი-ბელინცონა | 4:1 |
| არაუ-იანგ ბოიზი | 0:3 |
| ლუცერნი-გრასჰოპერსი | 2:1 |
| სიონი-ბაზელი | 1:2 |

### ჩელენჯლიგა

I ტური

ლოკარნო-ლე მონი 1:0; სტად ნიონეკრინსი 0:0; ვოლენი-ვილი 1:2; ლოზანა-ლუგანო 0:5; სერვეტი-გოსაუ 2:1; თუნი-ივერდონი 5:3; ვადუცი-ბილი 2:0.

## ხორვატია

I ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-ვარტექსი | 1:1 |
| კროატია-შიბენიკი | 1:2 |
| დინამო-ისტრა | 7:1 |
| მედიმურიე-კარლოვაცი | 1:1 |
| ზადარი-სიბალია | 0:3 |
| ოსიეკი-ჰაიდუკი | 1:1 |
| რიეკა-ლოკომოტივა | 6:0 |
| სლავენი-ზაგრები | 2:0 |

## ჩეხეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ტეპლიცე-სპარტა | 0:0 |
| ბანიკი-პრშიბრამი | 2:1 |
| სლავია-ბოლესლავი | 1:1 |
| ლიბერეცი-კლადნო | 1:1 |
| სლოვაცკო-პლზენი | 2:3 |
| ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 1:1 |
| ბოჰემიანსი-სიგმა | 0:2 |
| ბოჰემიანსი 1905-ბრნო | დღეს |

## უნგრეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ნირედიჰაზა-ვაშაში | 5:1 |
| ჰონვედი-კაპოშვარი | 3:1 |
| ლომბარდი-მტკ | 0:1 |
| ზალაეგერსეგი-პაქსი | 2:1 |
| კეჩკემეტი-ფეჰერვარი | 3:6 |
| დიოშდიორი-დებრეცენი | 1:0 |
| დიორი-უიპეშტი | 0:0 |

## პოლონეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ვისლა-ლეხი | 1:1 პენ. 3:4 |

## რუმინეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| უნირეა-კლუჟი | 1:1, დ.დ. 2:3 |

## რუსეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ხიმკი-ამკარი | 2:0 |
| კრილია-სატურნი | 0:2 |
| ლოკომოტივი-დინამო | 1:1 |
| ზენიტი-რუბინი | 0:0 |
| როსტოვი-ტომი | 0:0 |
| ცსკა-სპარტაკი | 1:2 |
| ნალჩიკი-მოსკოვი | 0:0 |
| კუბანი-ტერეკი | 1:1 |

### II დივიზიონი

XXI ტური

ჩიტა-სკა ენერგია 0:4; მედ-ლ. ენერგია გადაიდო; კრასნოდარი-შინიკი 1:3; ანჟი-ნიჟნი ნოვგოროდი 4:0; კამაზ-მეტალურგი 1:1; ვოლგა-სალუტი 2:1; გაზპრომი-ალანია 1:0; ჩერნომორეცი-ბალტიკა 0:3.

## სლოვაკეთი

III ტური

| | |
|---|---|
| პეტრჟალკა-დ. სტრედა | 1:0 |
| რუჟომბეროკი-ბისტრიცა | 1:1 |
| კოშიცე-ნიტრა | 0:1 |
| ტატრანი-დუბნიცა | 0:0 |
| ჟილინა-ინტერი | 3:0 |
| ტრნავა-სლოვანი | 0:2 |

## სლოვენია

II ტური

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-დომჟალე | 0:0 |
| ნაფტა-პუბლიკუმი | 2:2 |
| დრავა-კოპერი | 1:3 |
| რუდარი-მარიბორი | 1:0 |
| გორიცა-ოლიმპია | 1:2 |

## უკრაინა

II ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-არსენალი | 1:3 |
| დინამო-ტავრია | 6:0 |
| ილიჩევეცი-შახტარი | 0:2 |
| დნეპრო-მეტალისტი | 2:0 |
| მეტალურგი (ზ)-კრივბასი | 2:1 |
| ზაკარპატია-ვორსკლა | 1:3 |
| ობოლონი-ზორია | 3:0 |
| კარპატი-მეტალურგი (დ) | 2:2 |

## ბრაზილია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ატ. პარანაენსე-ავაი | 1:3 |
| ბოტაფოგო-ინტერნასიონალი | 3:2 |
| გრემიო-სანტო ანდრე | 3:2 |
| ატ. მინეირო-გოიასი | 0:1 |
| კორინთიანსი-პალმეირასი | 0:3 |
| სანტოსი-ფლამენგო | 1:2 |
| სპორტ რესიფე-ნაუტიკო | 3:3 |
| ბარუერი-სან პაულუ | გვ. დასრულდა |
| ფლუმინენსე-კრუზეირო | გვ. დასრულდა |
| ვიტორია-კურიტიბა | გვ. დასრულდა |

## ჩილე

III ტური

| | |
|---|---|
| უნ. კონსეპსიონი-კოლო კოლო | 1:3 |
| აუდაქსი-პალესტინო | 2:2 |
| კურიკო-უაჩიპატო | 1:0 |
| რეინჯერსი-ო'ჰიგინსი | 2:0 |
| ს. მორნინგი-ნუბლენსე | 3:1 |
| კობრელოა-უნ. ჩილე | 0:3 |
| მუნისიპალი-ევერტონი | 1:2 |
| უ. ესპანიოლ-კობრესალ | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

III ტური

| | |
|---|---|
| ონსე კალდასი-ამერიკა | 0:0 |
| ატ. უილა-სანტა ფე | 2:1 |
| დეპ. კალი-დეპ. პერეირა | 2:1 |
| ატ. ნასიონალი-ატ. ხუნიორი | 2:1 |
| ჩიკო-ენვიგადო | 4:2 |
| კუკუტა-დეპ. კინდიო | 2:0 |
| დეპ. პასტო-ლა ეკუიდადი | 1:1 |
| რეალი-ინდეპენდიენტე | 1:3 |
| მილიონარ-დეპ. ტოლიმა | გვ. დასრულდა |

## პერუ

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ინტი გასი-კოლეგიო | 2:0 |
| ალ. ატლეტიკო-ტოტალ ჩალაკო | 3:0 |
| სესარ ვალეხო-ხოსე გალვესი | 2:0 |
| სან მარტინი-სპორტ ანკაში | 2:1 |
| უნ. პერუ-ხუან აურიჩი | 0:1 |
| ბოლოგნესი-სპ. კრისტალი | 2:2 |
| სენსიანო-ალ. ლიმა | 0:2 |
| მელგარი-სპორტი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

I ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-პაჩუკა | 2:3 |
| კრუს ასული-ხაგუარესი | 0:2 |
| ინდიოსი-მონტერეი | 0:0 |
| ტიგრესი-პუებლა | 1:1 |
| ატლასი-პუმასი | 1:0 |
| მორელია-ს. ლაგუნა | 1:1 |
| ტოლუკა-გვადალახარა | 4:3 |

## აშშ

XVIII ტური

| | |
|---|---|
| სოლტ ლეიკი-დალასი | 4:2 |
| სიეტლი-ჩიკაგო | 0:0 |
| კოლამბუსი-ტორონტო | 3:2 |
| ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი | 0:1 |
| კანზასი-ლოს ანჯელესი | 1:1 |
| კოლორადო-ნიუ იორკი | 4:0 |
| სან ხოსე-დი სი იუნაიტედი | 2:2 |

წინასასეზონო

# ფერგი სიტის, ჟოზე ფერგის



„ლელოს“ მკითხველებს კარგად უნდა ახსოვდეთ მანჩესტერის ცენტრში, ერთ-ერთ ქუჩაზე გამოფენილი უზარმაზარი პლაკატის ამბავი. იმ პლაკატზე **კარლოს ტევესია** გამოსახული, ქალაქის ერთი გუნდიდან მეორეში, „იუნაიტედიდან“ „სიტიში“ გადასული არგენტინელი თავდამსხმელი. თუმცა, ამ ბილბორდის ისტორიაში მთავარი მინაწერია: „კეთილი იყოს შენი მობრძანება მანჩესტერში“ - აი, რა აწერია ტევესის გამოსახულებას. გეგონება, „იუნაიტედში“ ყოფნის დროს იგი სოფლად იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ისტლენდელთა თავხედობას სერ **ალექს ფერგიუსონმა** უპასუხა. მან თქვა, რომ „სიტი“ ამ პლაკატით ამპარტავნობას ამჟღავნებს. კიდევ, „იუნაიტედის“ თავკაცმა ერთხელაც დაადასტურა, რომ ტევესზე საკმაოდ დაბალი აზრისაა და, რაც ყველაზე საინტერესოა, „მანჩესტერ სიტის“ ახალი შენაძენი, **ემანუელ ადებაიორიც** გაკენწლა - თავს იკლავდა, ისე უნდოდა „იუნაიტედში“ გადმოსვლა, მაგრამ ცივი უარი შევუთვალეთო.

„მანჩესტერის ცენტრში გამოფენილი ბილბორდი „სიტის“ არსს აშკარავებს. ნათლად ჩანს, რომ საქმე გვაქვს შეზღუდული მენტალიტეტის მქონე ერთი ბეწო გუნდთან. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ლაპარაკია. კაცმა რომ თქვას, წლობით სწორედ ამით გახლავან დაკავებულნი და ვერ ხვდებიან, რომ „იუნაიტედზე“ ლაპარაკით შორს ვერ წავლენ. ასეთი ქცევა სისულელეა. ასეთი ამპარტავნობა აუცილებლად ისჯება. არ შეიძლება გუნდს ერთადერთ მიზნად ჩვენზე თავდასხმა ჰქონდეს დასახული, თუმცა, თავიანთი საქმისა თავად იციან. როგორც უნდათ, ისე მოიქცენ. მე „მანჩესტერ სიტის“ ჩვენს კონკურენტად არ განვიხილავ და მათზე ფიქრით თავის შეწუხებას არ ვაპირებ. ისე კი, ვატყობ, „სიტიში“ ჰგონიათ, რომ „იუნაიტედიდან“ ტევესის წაყვანა დიდი გამარჯვებაა. საცოდაობაა. ნეტავ ადრე წაეყვანათ. ახლა, როდესაც მათ ტევესი მომაშორეს, გუნდში ბალასტი აღარ მყავს. ამიერიდან ჩემს განკარგულებაში ნაღდი პროფესიონალები დარჩნენ, რომლებსაც თამაში უნდათ და საქმის გამკეთებლები არიან. მარკ ჰიუზს კი მთელი ამ სატრანსფერო ფლანგვების შედეგად რა დაუგროვდა, ათი თავდამსხმელი? და, როგორ ფიქრობთ, „ჩელსისთან“ ლონდონში რომ იქნება ჩასასვლელი, ამ ათეულიდან შინ რამდენის დატოვება მოუწევს, შვიდის? ხუთის მაინც არა? ჰიუზს ასეთ რამეებთან შეგუება მოუხდება. თავდამსხმელების დაგროვებასთან გამკლავება იოლი საქმე არ იქნება“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფერგიუსონი ადებაიორის ამბავსაც შეეხო. სერ ალექსის თქმით, ტოგოელი თავდამსხმელი ხან თავისი და ხან აგენტის პირით „იუნაიტედს“ და „ჩელსის“ ეხვეწებოდა, „სიტისგან“ გვიხსენიო.

„დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ მას მერე, რაც „სიტისთან“ ყველაფერი შეათანხმა, ადებაიორის აგენტმა თუ თავად ადებაიორმა ჩვენთან და „ჩელსიში“ დაიწყეს რეკვა, იქნებ ამ გუნდისგან გვიხსნათო. დიახ, სინამდვილეში ადებაიორს ჩვენთან ან „ჩელსიში“ უნდოდა მოწყობა, თავს იკლავდა, მაგრამ მაინც „სიტიში“ აღმოჩნდა და ამის მიზეზი ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. არ მინდა ვთქვა, რომ „სიტი“ დანარჩენ ფეხბურთელებს ადებაიორისგან განსხვავებული მეთოდებით თაფლავდა, მაგრამ ობიექტურად ასეა: როდესაც დიდ ფულს გთავაზობენ, მაინც ცდუნდები. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ „სიტის“ ყველაზე დიდი წარმატება ფეხბურთელების ყიდვა იყო. არ ვიცი ეს ფეხბურთელები შემდეგ იქ რას მოახერხებენ, მაგრამ მათი შეგროვება მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ. აი, რაც შეეხება პრემიერლიგის ტოპოთხეულში შესვლას, ეს უძნელესი საქმეა. პრემიერლიგის ტოპოთხეული კარგა ხნის ჩამოყალიბებულია. იოლად არც „ჩელსი“ მოკვდება და არც „ლივერპული“. აქ, ერთადერთი, რაც ახალგამოჩენილ ფულის მფანტველ გუნდს შეუძლია, ძველების ფსიქოლოგიურად დათრგუნვაა, ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ძველები მისი ფულის ფანტვის გამო პანიკას აჰყვებიან. ვფიქრობ, „სიტიმ“ შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ არსენთან (ლაპარაკია „არსენალის“ მწვრთნელ არსენ ვენგერზე) სცადოს გაჯიბრება, ვინაიდან მას ფული არ აქვს. ადებაიორში აღებული 25 მილიონით თუ მოახერხებს რამეს და მორჩა, სულ ეს არის. ისე, მართალი გითხრათ, მეც ძალიან მაინტერესებს, რას უზამს ვენგერი ამ თანხას, როგორ დახარჯავს. მომავალ სეზონში თავიანთ სიტყვას „ტოტენჰემი“, „ასტონ ვილა“ და „ევერტონიც“ იტყვიან“.

და თითქოს განგებო, ფერგიუსონის კომენტარებს იტალიიდან კუდში „ჩელსის“ ყოფილი თავკაცის, ამჟამად „ინტერის“ მწვრთნელის, პორტუგალიელი **ჟოზე მოურინიოს** სრულიად საპირისპირო მოსაზრებები მოჰყვა - მოგეხსენებათ, სანამ მოურინიო პრემიერლიგაში მუშაობდა, მისი და სერ ალექსის „შუღლი“ შეჯიბრებას დიდ ინტრიგასა და ერთგვარ გართობასაც კი ჰმატებდა. ახლა კი, კაცმა, რომელმაც ინგლისში ჩასვლისთანავე ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონის ტიტული, გამარჯვება „მანჩესტერ სიტის“ უწინასწარმეტყველა.

„თავდასხმაში ადებაიორისა და კარლოს ტევესის წყვილი დიდებულია. ამ წყვილის გარდა კი გუნდს რობინიო და როკე სანტა კრუზი ჰყავს... აი, თავდასხმაც ამას ჰქვია! არა, „სიტი“ ჩემპიონია, რად უნდა ამას ლაპარაკი“.

როგორც ჩანს, „განსაკუთრებული“ ასეთ რამეებს მაინც სერ ალექსისა და პრემიერლიგის სხვა ბობოლების გასაღიზიანებლად იძახის. თუ არადა, როგორ შეიძლება ადამიანს უკლებლივ ყველა საკითხში სხვათაგან განსხვავებული მოსაზრება უჩნდებოდეს? აი, მაგალითად, „მანჩესტერ სიტის“ მიერ ფულის გამომწვევად ხარჯვას გარშემო ყველა ეჭვის თვალით უყურებს, მოურინიო კი ბრძანებს:

„ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ტიტულის ყიდვა. ასეთ დროს შენ ყიდულობ მოთამაშეებს, რომლებიც, შენი აზრით, თამაშებს მოიგებენ, მაგრამ ეს რომ მართლა ასეა, ჯერ კიდევ დასამტკიცებელი გაქვს. მოკლედ, გამარჯვებას საუკეთესო ფეხბურთელები და საუკეთესო მწვრთნელი სჭირდება, მათ თავმოყრას კი ფული უნდა, დიდძალი ფული“.

აი, თავის ყოფილ გუნდზე, „ჩელსიზე“ და მისი კაპიტნის, **ჯონ ტერის** სატრანსფერო საგაზე ლაპარაკისგან კი პორტუგალიელმა სპეციალისტმა თავი შეიკავა. როდესაც ლონდონელებზე ჰკითხეს, მან დემონსტრაციულად აკოცა „ინტერის“ ემბლემას და უპასუხა:

„აი, ჩემი კლუბი! მე „ინტერი“ მიყვარს! „ჩელსისა“ და მის კაპიტანზე კი ვერაფერს გეტყვით, რადგან მათი ამბები ჩემი პრობლემა არ არის. არ მაინტერესებს!“



# რამდენი გუნდი სჯობს ინტერს?

**ჟოზე მოურინიო** როყიო კაცია და ხშირად დიპლომატიურად არ ლაპარაკობს. თავად განსაჯეთ, ასე თქვა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** „ბარსელონაში“ გაყიდვის ამბავი რომ გავიგე, გავბრაზდიო. ესე იგი, რა გამოდის, ვისზე გაბრაზებულა? საკუთარი კლუბის, „ინტერის“ პატრონსა და დირექტორატზე, არა? დაგვეთანხმებით, სხვა ამას უფრო რბილად იტყოდა, მოურინიოს კი მკვახედ გამოუვიდა. თუმცა, მეორე მხრივ, პორტუგალიელი **სამუელ ეტოოს** გადაბირებით ძალიან კმაყოფილია - დირექტორატი მარტო ცუდ საქმეებს როდი აკეთებს!

როგორც იცით, „ინტერსა“ და „ბარსელონას“ შორის ასეთი კომბინაცია ჩაიხლართა: მილანელები კატალონიელებს ზლატანს აძლევენ, სამაგიეროდ კი 45 მილიონ ევროსა და ეტოოს ართმევენ. რაც შეეხება **ალექსანდრ გლებს**, მასზე ხან ამბობენ, რომ ამ კომბინაციის ნაწილია და ხან არა. სავარაუდოდ, იქნება.

მოურინიოს კი კარგად ესმის, რომ იბრაჰიმოვიჩის დაკარგვა ცუდი საქმეა. შვედი გასულ სეზონში მისი საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ, თუმცა, მეორე მხრივ ეს ყველაფერი ბიზნესიცაა და როგორც ასეთი, ჩინებული გახლავთ. ცნობისთვის: ეტოო - იბრაჰიმოვიჩის კომბინაციაზე „განსაკუთრებულმა“ პირველად ამოიღო ხმა. Sky Italia - სთან ინტერვიუში მან ბრძანა:

„რაღა დაგიმალოთ და, თავიდან, იბრაჰიმოვიჩის გაყიდვის ამბავი რომ გავიგე, ძალიან გავბრაზდი. აბა, რომელ მწვრთნელს ესიამოვნება ასეთი ფეხბურთელის დაკარგვა? მაგრამ, მეორე მხრივ, დამისახელეთ მწვრთნელი, რომელსაც ეტოოს გუნდში აყვანა არ გაუხარდება. გამოვიდა, რომ ჩვენ უმაღლესი დონის ფეხბურთელი დავკარგეთ, მაგრამ უმაღლესი დონის ფეხბურთელი შევიძინეთ კიდეც. არ დაგიმალავთ, საკითხისადმი გაორებული დამოკიდებულება მაქვს. როგორც მწვრთნელი, ვამბობ, რომ იბრაჰიმოვიჩის გაშვება არ შეიძლებოდა და ამით ძალიან უკმაყოფილო ვარ. მაგრამ, თუ მენეჯერის პოზიციიდან ვილაპარაკებთ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ „ინტერმა“ დიდებული ბიზნესი ჩაატარა. იბრა 50 მილიონი ღირს, ეტოოს ფასი 49 მილიონია. გამოვიდა, რომ ჩვენ 100 მილიონისა ვივაჭრეთ“.

მოურინიომ თქვა, რომ იბრაჰიმოვიჩი „ბარსელონას“ ყოველგვარი წვალების გარეშე, „კამპ ნოუზე“ ჩასვლის დღიდანვე შეეგუება, მაგრამ ისიც დაამატა, რომ მის ადგილას თვითონ „ინტერიდან“ არ წავიდოდა.

„მას ოცნება ჰქონდა, „ბარსელონაში“ გადასვლა უნდოდა და აიხდინა კიდეც ეს ოცნება. წასვლის წინ იბრამ მითხრა, რომ ძალიან დავაკლდები და მეც ზუსტად იგივე ვუთხარი, მე ის დამაკლდება. ზლატანი მიდის კლუბში, სადაც ოთხი წელიწადი ვმუშაობდი. ვინ ვინ და, სწორედ მე ვიცი ძალიან კარგად, რომ „ბარსელონა“ გამორჩეული კლუბია, სადაც იბრა თავს ბედნიერად იგრძნობს. რჩევითაც არაფერი მირჩევია მისთვის, თუმცა, წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე გულახდილად ველაპარაკე. მე მას ვუთხარი, რომ „ბარსელონას“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის მოგება განსაკუთრებული საქციელი არ იქნება. ანკი როგორ იქნება განსაკუთრებული, როდესაც ლაპარაკია გუნდზე, რომელმაც სამ წელიწადში ეს ორჯერ გააკეთა. მე საკითხებისადმი სხვა დამოკიდებულება მაქვს. ჩემი აზრით, ჩვეულებრივი რამის ჩადენა ნორმალური არ არის. ნაღდი საქმე გამორჩეული სიმაღლეების დაპყრობაა“!

მოურინიო ახლა სერია A-ში მეორე სეზონისთვის ემზადება. პირველ სეზონში მან „ინტერს“ „სკუდეტო“ მოაგებინა, მაგრამ ამის გამო, მის წინაშე, მადლობებად არავინ დაღვრილა. ყველამ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გავარდნა უსაყვედურა. ასე რომ, დღეს „ჩელსის“ ყოფილმა თავკაცმა, რომლისთვისაც ჩემპიონთა ლიგის მოგება უცხო ხილი არ არის - მოურინიომ ეს ჯილდო „პორტუს“ მოაგებინა - კარგად იცის, რომ „ინტერმა“ კიდევ ერთი „სკუდეტოც“ რომ აღმართოს, თუ ლიგაში არ გაიმარჯვა, თანამდებობის დატოვება მოუწევს.

თუმცა, „განსაკუთრებულის“ შეშინება ადვილი საქმე არ გახლავთ: „თუ ჩვენს პრეზიდენტს მაინცდამაინც ჩემპიონთა ლიგა უნდა, პრობლემა არ არის, როგორც 2004 წლის გამარჯვებულს, სახლში ასლი მაქვს და მივუტან. ვხუმრობ, რასაკვირველია. კარგად ვიცი, პრეზიდენტი რასაც გულისხმობს. თუმცა, ის პატიოსანი კაცია და თავადაც იცის, რომ „ინტერის“ გარდა იმავე ჯილდოს მოპოვება კიდევ შვიდ თუ რვა გუნდს უნდა. თუ არ იცის, მაშინ მე ვეტყვი და იმასაც დავამატებ, რომ ამ მომენტისთვის ამ რვა გუნდიდან ორი-სამი ჩვენზე ძლიერია“.

ხოლო ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ამასობაში, სიხარულისგან მეცხრე ცაზე დაფრინავს: „თავს ბავშვივით ვგრძნობ, - უთხრა შვედმა გაზეთ „ელ მუნდო დეპორტივოს“, - წარმოუდგენლად ბედნიერი ვარ და ვერ ვითმენ, ისე მინდა „ბარსელონას“ შემადგენლობაში თამაში“.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

მოედანს მიღმა



ფრენკ ლემპარდი

# ლემპარდის რემონტი

**ფრენკ ლემპარდი** აშკარად უცოლო კაცისთვის შესაფერის სახლს აწყობს, წერს ასეთ საქმეებში ჩახედული და ამგვარ ინფორმაციებზე დაგეშილი ინგლისური ყვითელი პრესა. ახლავე მოგახსენებთ, რით არის ეს ამბავი მნიშვნელოვანი: საქმე ის გახლავთ, რომ მას მერე, რაც **ელენ რივესს** გასცილდა, ეს ამბავი კი თებერვალში მოხდა, - „ჩელსის" ნახევარმცველს ამ ესპანელ ქალთან ორი ქალიშვილი ჰყავს, - ლემპარდი ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ საქმროდ იქცა და მასზე თვალი ბევრ ლამაზმანს უჭირავს. ცხოვრებით ფრენკი დასავლეთ ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯიდან" ბურთის ერთ დარტყმაში ცხოვრობს, სადაც, როგორც მოგახსენეთ, რემონტს შეუდგა. მის სახლს დღესდღეობით მუშები შესევიან და მესამე, ანუ საძინებელ სართულს აკეთებენ. როგორც ტაბლოიდებმა გამოჩხრიკეს, ლემპარდი საწოლი ოთახის ზომას აორმაგებს.

ახალი პროექტის თანახმად, ლემპარდის საძინებელ ოთახს წინ ტერასა ექნება, სადაც ვარსკვლავს პირდაპირ შეეძლება გამოსვლა. თუ გახსოვთ, ელენ რივესთან გაცილების შემდეგ ფეხბურთელმა ამ სახლის გაყიდვა გადაწყვიტა და 8.5 მილიონ ფუნტად დააფასა კიდეც, მაგრამ უძრავ ქონებაზე ფასების დავარდნამ განზრახვაზე ხელი აალებინა და ახლა რეკონსტრუქციის ჟინით გახლავთ შეპყრობილი.

მაისში ქალაქის მუნიციპალიტეტმა, უფრო სწორად კი კენსინგტონისა და ჩელსის (ლონდონის რაიონზეა ლაპარაკი) საბჭომ ლემპარდს სარდაფის გაფართოების ნებართვა მისცა, რის შედეგადაც მის სახლში გაჩნდა საცურაო აუზი. არცთუ დიდი ხნის წინ კი ფეხბურთელმა ზემოთ აღწერილი რეკონსტრუქციის უფლებაც მიიღო. ლემპარდის ერთ-ერთმა მეგობარმა გაზეთ „სანს" განუცხადა: „ფრენკისთვის ფული პრობლემა არ არის. ის თანხებს დაუნანებლად ისვრის, რათა, მარტოხელა კაცისთვის ზედგამოჭრილი საუცხოო სახლი ააშენოს".

ილია ბაბუნაშვილი




ინტერვიუ

იუპ ჰაინკესი



# ლაპარაკობს 44-წლიანი გამოცდილება!

## დონ იუპი: გერმანიის ნაკრებში მუშაობის შანსი სამჯერ მქონდა, მაგრამ, დამიჯერეთ, ბუნდესმწვრთნელის თანამდებობა არასდროს მაინტერესებდა!

**ის უკვე 64 წლისაა და დღესდღეობით ბუნდესლიგაში ყველაზე ასაკოვანი მწვრთნელი გახლავთ. იუპ ჰაინკესი, ან „დონ იუპი", როგორც მას გერმანიაში უწოდებენ, ლევერკუზენის „ბაიერს" ჩაუდგა სათავეში და უნდა, რომ ამ გუნდს თავისი 44-წლიანი სამწვრთნელო გამოცდილებით წარმატებები მოუტანოს. „ლევერკუზენი" კი ხომ იცით, როგორი გუნდია - არც იქითაა და არც აქეთ, იყო დრო, გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოდა და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გავიდა (კლაუს ტოპმიოლერის დროს), მაგრამ უშუალოდ ტიტულებამდე კი ყოველთვის რაღაც აკლდებოდა. ჰაინკესი ამ პრობლემის გადაჭრას გეგმავს. „ბილდ ამ ზონტაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში იუპმა ყველაფერზე გულახდილად ისაუბრა.**

**- ჰერ ჰაინკეს, იურგენ კლინსმანს ემადლიერებით?**

- რატომ უნდა ვემადლიერებოდე?

**- კლინსმანი „ბაიერნში" რომ არ ჩაფლავებულიყო და გასული სეზონის მიწურულს თანამდებობიდან არ გაეთავისუფლებინათ, თქვენ „ბაიერნში" არავინ მიგიწვევდათ და შესაბამისად, ბუნდესლიგას თავს ვერ შეახსენებდით და ვერც „ლევერკუზენის" დამრიგებელი გახდებოდით...**

- დიახ, ეს მართალია. უკვე ჩრდილში ვიყავი და ჩემზე ფაქტობრივად აღარავინ ფიქრობდა. „ბაიერნში" გატარებულმა ხუთმა კვირამ კი, ბუნდესლიგას ჩემი არსებობა შეახსენა. ფეხბურთი ასეთია...

**- ჰო და კერძოდ ისეთი, რომ მას მერე, რაც თქვენ და ფელიქს მაგათს სეზონის მეორე ნახევარში წარმატებები გქონდათ, ახლა ბუნდესლიგური კლუბები ისევ გამოცდილ მწვრთნელებს ანიჭებენ უპირატესობას...**

- იცით, რაშია საქმე, გერმანიაში საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა და ნიჭიერი სპეციალისტია, მაგრამ გამოცდილებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მე უკვე ვერავინ ვეღარაფრით გამაკვირვებს. მოედანზეც და მოედანს მიღმაც ყველაფერი გამოცდილი მაქვს. თუ ევროპის გამოცდილ მწვრთნელებსაც გადავხედავთ, მაგალითად, ისეთებს, როგორებიც არიან ფაბიო კაპელო ან რაფა ბენიტესი, რომლებსაც მე უდიდეს პატივს ვცემ, დავრწმუნდებით, რომ კარგი მწვრთნელები ყოველთვის პირდაპირ ტოპგუნდებს არ იბარებდნენ. ისინი ეტაპობრივად მიიწევდნენ წინ. სწორედ ასე იღებს ესა თუ ის სპეციალისტი გამოცდილებას, რომელიც მერე აუცილებლად გამოადგება.

**- იმის გამო, რომ იურგენ კლინსმანმა თავის დროზე გერმანიის ნაკრებში წარმატებას მიაღწია, ტენდენცია იქითკენ წავიდა, რომ გერმანულმა კლუბებმაც ახალგაზრდა და გამოუცდელი სპეციალისტების მიწვევა დაიწყეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდები ეიფორიაში ჩავარდნენ და თითქოს ასეთი დევიზი ჰქონდათ: მთავარია, მწვრთნელი ახალგაზრდა იყოს!**

- და ამაში თქვენ, მედიის წარმომადგენლებსაც მიგიძღვით ბრალი. ეს თემა პირველად თქვენ აიტაცეთ.

**- კი, მაგრამ, ჰერ ჰაინკეს, ესა თუ ის გაზეთი მწვრთნელს ვერ დანიშნავს...**

- ჰო, მაგრამ ამა თუ იმ გუნდს წნეხის ქვეშ კი ნამდვილად მოაქცევს. მაგრამ თქვენ მართალი ხართ, ამ ტენდენციის განვითარებაში დამნაშავეები პირველ რიგში გუნდები და მათი ხელმძღვანელები იყვნენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ერთხელაც ყველა ერთად დაბრმავდა...

**- ახალგაზრდა მწვრთნელები მუდმივად იმეორებენ, რომ ყველაზე მთავარი ისეთი დეტალებია, როგორიცაა, მაგალითად, ფეხბურთელების ერთად გართობა...**

- მთავარია, რა ხდება მოედანზე. ცხადია, მოედანს მიღმა ცხოვრებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც მოედანია, რადგან ჩვენ ფეხბურთზე ვსაუბრობთ. სხვა დანარჩენი მედიისთვის გადაღებული ლამაზი ფოტოებია და მეტი არაფერი...

**- „ბაიერნის" მენეჯერი ული ჰოენესი თქვენი მეგობარია და საინტერესოა, თქვენ ურჩიეთ მას, რომ გამოცდილი მწვრთნელი დაენიშნა?**

- დიახ, მე მას მართლაც ვურჩიე. „ბაიერნს" მასწავლებელი სჭირდებოდა, კომპეტენტური მასწავლებელი. ისეთი, რომელიც აუცილებლად გერმანულად ილაპარაკებდა და რომელსაც დიდი გამოცდილება ექნებოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი მწვრთნელის ძიებაში ჰოენესს ბევრი კანდიდატი ნამდვილად არ ჰყოლია.

**- თქვენს ხელში ლუკას პოდოლსკიც კი ისევ ძველებურად ათამაშდა. სწორად მიგაჩნიათ ის ფაქტი, რომ პოლდი „კიოლნში" გაუშვეს?**

- მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ფეხბურთელი, რომელიც „ბაიერნში" ირიცხება და შესაბამისად, ტიტულების მოგების შანსი აქვს, ბოლომდე უნდა იხარჯებოდეს. ვფიქრობ, „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა პოდოლსკის გაშვების გადაწყვეტილება ცხელ გულზე მიიღეს. ისინი ლუკასით იმდენად იყვნენ იმედგაცრუებულები, რომ მეტის მოთმენა აღარ შეეძლოთ. ამ ფეხბურთელს ყველაზე მეტად ის სჭირდება, რომ სადაც არის, თავი ძალიან კარგად უნდა იგრძნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კარგად ვერ ითამაშებს. არსებობენ ისეთი ფეხბურთელებიც, რომლებსაც ყოველთვის ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ, მაგრამ პოლდი ასეთი არ არის.

**- ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ „ბაიერნს" პოდოლსკი არ უნდა გაეყიდა?**

- სწორად გამიგეთ: მე პოდოლსკის არ გავყიდდი. გერმანიაში არ გვყავს ბევრი ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც შეუძლიათ ის, რაც ლუკასს შეუძლია...

**- როგორ უნდა მიაღწიოთ წარმატებას „ლევერკუზენში"? „ბაიერმა" ბოლო წლებში ხომ ყველა მნიშვნელოვანი თამაში წააგო, ბოლოს კი გერმანიის თასის ფინალში დამარცხდა...**

- მინდა, რომ ჩემს ფეხბურთელებს ერთი რამ ჩავუნერგო: არასდროს არ უნდა დანებდე, არ უნდა მიეჩვიო წაგებას! ეს წესი ყველა ფეხბურთელმა თავში უნდა ჩაიდოს. „ბაიერის" ფილოსოფია ასეთი იყო: გუნდი ლამაზ, შემტევ ფეხბურთს თამაშობდა და როცა მოედანზე ლამაზ შოუს დადგამდა, რომც წაეგო, მაინც ყველა კმაყოფილი იყო. მე კი პირველ რიგში შედეგს ვითხოვ და მხოლოდ ამის შემდეგ ლამაზ ფეხბურთს. მე მინდა, რომ „ლევერკუზენს" გამარჯვებულის მენტალიტეტი მივცე.

**- თქვენ, შესაძლოა, ერთადერთი ხართ „ლევერკუზენში", რომელსაც ასეთი გენი აქვს...**

- ასე არ ვფიქრობ. შეიძლება, ეს გენი დამალული და მიჩქმალულია. ადრე, მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" შეცდომებს არასდროს ვუშვებდით და მატჩს მატჩამდე ვიგებდით ხოლმე. ჩვენ ასეთი დევიზი გვქონდა: მოგება ნებისმიერ ფასად და ეს შემართება გენერაციიდან გენერაციაზე გადადიოდა. როგორც ჩანს, „ლევერკუზენზე" არ გადავიდა...

**- დამაინც: უფრო კონკრეტულად, რას აპირებთ?**

- მაგალითს მოვიყვან: ვარჯიშის დროს, როცა გუნდს ორად გავყოფ და ვათამაშებ, შედეგს ყოველთვის ვანიჭებ მნიშვნელობას. ეს მაშინ, როცა სხვა მწვრთნელები გოლების რაოდენობას არც ითვლიან და მიაჩნიათ, რომ ვარჯიშზე დაფიქსირებული შედეგი მნიშვნელოვანი არ არის. თუ ერთი გუნდი დიდი ანგარიშით იგებს, მსაჯობისას მეორე გუნდს ვუდგები ხოლმე, რათა ამოქაჩონ და ისევ ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდეს.

**- შესაძლებელია კი „ლევერკუზენთან" ერთად გერმანიის ჩემპიონობა?**

- ახლა კი ძალიან შორს წახვედით და უკვე ჩემპიონობაზე ჩამომიგდეთ სიტყვა. დააკვირდით, სხვა გუნდები ძალიან გაძლიერდნენ. არც ის უნდა დაავიწყდეს ვინმეს, რომ „ლევერკუზენმა" წინა ორ სეზონში მეცხრე და მეშვიდე ადგილები დაიკავა. ანუ, გუნდს ორივე სეზონში ძალიან ბევრი დააკლდა ჩემპიონობამდე. შესაბამისად, ჩემპიონობაზე საუბარი უტოპიაა. ჩვენ ევროტურნირების საგზურებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- თავის დროზე თქვენ „ბაიერნთან" ერთად დიდი ტიტულები მოიგეთ, მადრიდის „რეალს" კი სულაც ჩემპიონთა ლიგაში გაამარჯვებინეთ. გერმანიის ნაკრების გაწვრთნა არასდროს გინდოდათ?**

- ბუნდესმწვრთნელობის შანსი სამჯერ მქონდა. ბოლოს 2000 და 2004 წლებში. პორტუგალიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ფრანც ბეკენბაუერმაც კი დამირეკა და მთხოვა, დათანხმდიო, მაგრამ უარი ვუთხარი. არა, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობა არასდროს, მართლა არასდროს მაინტერესებდა.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ მე მინდა, ჩემს გუნდს ყოველდღე ვხედავდე და ვავარჯიშებდე. სხვანაირად არ შემიძლია და ვერც შედეგებზე ვაგებ პასუხს.

**- მიუხედავად წარმატებულობისა, ბოლოს გერმანიაში აღარ გალიარებდნენ. თქვენზე ამბობდნენ, ჰაინკესი „აინტრახტსა" და „შალკეში", როგორც მწვრთნელი, დამთავრდაო.**

- ოჰ, „შალკე", „შალკე"... გელზენკირხენულ კლუბში რაც ვიმუშავე, ამაზე უკეთ და ამაზე დიდი მონდომებით არსად მიმუშავია. თუ გნებავთ, ფრანკ როსტს ჰკითხეთ. „შალკეში" მთელი ჩემი ცოდნა და შემართება ჩავაქსოვე. გუნდი იმ დროს ჩავიბარე, როცა მძიმე კრიზისი ჰქონდა და ორჯერ გავიყვანე უეფას თასზე. მე ვიყიდე ლინკოლნიც, რომელიც მანამდე აღარავის უნდოდა. საბოლოო ჯამში, „შალკესგან" რაც მივიღე, მერე სამი იმდენი დავკარგე! ხელმძღვანელებმა კი გამაგდეს. არადა, მოთმინება რომ ჰქონოდათ, დღეს ეს გუნდი, შეიძლება გერმანიის ჩემპიონი ყოფილიყო. „შალკე" ძალიან სპეციფიკური გუნდია და თამამად ვიტყვი, ეს არის ყველაზე რთულად გასაწვრთნელი კლუბი გერმანიაში. ასე რომ, ისღა დამრჩენია, ფელიქს მაგათს წარმატებები ვუსურვო...

**- ვინ არის დღესდღეობით გერმანიის საუკეთესო მეკარე?**

- რენე ადლერი.

**- იქნებ მაინც იენს ლემანი?**

- ლემანი ძალიან კარგი მეკარე იყო, მაგრამ უკვე ასაკოვანია. იოახიმ ლიოვი სწორად იქცევა, ოთხთაბრძოლა რომ აქვს გაჩაღებული: ენკე, ვიზე, ნოიერი და ადლერი შესანიშნავი კიპერები არიან.

**- თქვენი აზრით, როდის უნდა დაასახელოს ლიოვმა მეკარე, რომელიც 2010 წლის მუნდიალზე გერმანიის პირველი ნომერი იქნება?**

- მე რომ მის ადგილზე ვიყო, კონკრეტულ თარიღს არ დავთქვამდი. წარმოიდგინეთ, შემოდგომაზე რომ გადაწყვიტოს და მერე იმ მეკარემ სერიოზული ტრავმა მიიღოს. ზოგადად, ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ აგერ უკვე მეორე მუნდიალი ახლოვდება და ისევ არ ვიცით, ვინ უნდა ჩავაყენოთ კარში. ანუ, ჩვენ არ გვყავს ერთი გამოკვეთილი მეკარე, რომელიც ოლივერ კანის შემდეგ, წლების განმავლობაში პირველი იქნებოდა. შეხედეთ იტალიას: 2002 წლიდან „სკუადრა აძურას" კარში ჯანლუიჯი ბუფონი დგას. ჯიჯი მესამე მუნდიალისთვის ემზადება და დარწმუნებული ვარ, 2014 წელსაც ითამაშებს დინო ძოფის დარად. მაგრამ ბუფონი სხვა ფენომენია. მიმაჩნია, რომ ის ყველა დროის საუკეთესო მეკარეა.




გოტფრიდ ლენცი



ჰოფენჰაიმი

# ტიმო: მესამე ხმაც მოვედი!

## სოფელი აშენებულა, ჰილდებრანდი ჩემპიონობაზე ლაპარაკობს

„ჰოფენჰაიმის" პირველი ბუნდესლიგური წელი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. შემოდგომის მოულოდნელმა ჩემპიონმა საფეხბურთო გერმანიას სრულყოფილი სიურპრიზი ვერ შესთავაზა და გასული სეზონის მეორე წრეში „ლუზა ჩაუშვა", თუმცა „სოფლელების გუნდი" მაინც იქცა ძალიან საინტერესო კოლექტივად, რომელიც მომავალი სეზონის წინაც ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ფული რომ ბლომად აქეთ, ეს სეზონისწინა სამზადისშიც გამოჩნდა, რადგან კრაიხგაუელთა მფლობელმა, მეცენატმა **დიტმარ ჰოპმა** ჯიბეზე ისევ გვარიანად გაიკრა ხელი და გუნდს უკვე 16 მილიონი ევრო დაახარჯა - მთავარმა მწვრთნელმა **რალფ რანგნიკმა** 6 ახალი ფეხბურთელი მიიღო. რაც მთავარია, „ჰოფემ" წამყვანი ფეხბურთელები შეინარჩუნა. სწორედ ამიტომ, „პროფესორი რალფი" მომავალს ოპტიმისტურად უყურებს.

„ახლა უფრო გაწონასწორებული შემადგენლობა გვყავს, რის გამოც შესაძლო დარტყმებს უფრო იოლად გადავიტანთ, რადგან თუ რომელიმე წამყვანი ფეხბურთელი დაგვიშავდა, დანაკლისის კომპენსირებას შევძლებთ," - განაცხადა რანგნიკმა ავსტრიული შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ. „პროფესორმა რალფმა" გუნდი თითქმის ყველა პოზიციაზე გააძლიერა. განსაკუთრებით კი ეს დაცვაზე ითქმის. „ჰოფემ" ბერლინის „ჰერტას" დაცვის ბურჯი **იოზიპ შიმუნიჩი** 7.5 მილიონ ევროდ შეიძინა. გამოცდილმა ხორვატმა მცველმა (230 მატჩი ბუნდესლიგაში, 71 ხორვატიის ნაკრებში) „ჰოფენჰაიმის" უკანა ხაზს სტაბილურობა უნდა შესძინოს. „სოფლელებმა" დაიმატეს **მაიკოსუელი** (ბოტაფოგო), **პრინს ტაგო** (ალ იტიჰადი) და **ფრანკო ძუკულინი** (აველანედა), რის შემდეგაც მეკარე **ტიმო ჰილდებრანდი** ასეთ რამეს ამბობს: „გუნდი სრულად დაკომპლექტებულია და იქნებ, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ. ყველანი ძალიან მოტივირებულები და თავდაჯერებულები ვართ. ახალ სეზონში პირველი სამი თამაში რომ მოვიგოთ, ძალიან კმაყოფილი ვიქნები."

აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ჰოფე" პირველ ტურში „ბაიერნს" ხვდება. ამთავითვე ცნობილია, რომ გუნდს პირველ ოფიციალურ მატჩებში ვერ დაეხმარება **დემბა ბა**, რომელსაც ტრავმა აქვს და მოედანზე, სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოსთვის დაბრუნდება. სრულად გამოჯანმრთელდა ბოსნიელი გოლეადორი **ვედად იბიშევიჩი**, მაგრამ საკითხავია, რამდენად მოასწრებს გასული სეზონის პირველ წრეში 18 გოლის გამტანი ფორვარდი ბუნდესლიგის სტარტისთვის ფორმაში შესვლას.

მოსამზადებელი პერიოდის დროს, ჰოფენჰაიმელებმა **კრისტოფ დაუმის** „ფენერბაჰჩე" 2:1 დაამარცხეს და როგორც ამბობენ, პირველი ტურისთვის სრულ მზადყოფნაში არიან - „სოფლელები" თავიანთ „რაინ ნეკარ არენაზე" **ლუის ვან გაალის** „ბაიერნის" დამარცხებას გეგმავენ. მეორე ტურში „ჰოფე" **იუპ ჰაინკესის** „ლევერკუზენს" უნდა შეხვდეს, მერე კი **ფელიქს მაგათის** „შალკეს" უნდა უმასპინძლოს. „ბაიერნი", „ლევერკუზენი", „შალკე" - დააკვირდით, რაოდენ რთულია „ჰოფენჰაიმის" პირველი სამი მატჩი. ჰილდებრანდი კი ამბობს, 9 ქულა სამი ტურის შემდეგო. ასე რომ მოხდეს, „ჰოფე" ისევ ფავორიტი იქნება - როგორც ერთი წლის წინ.

გოტფრიდ ლენცი



ჰოფენჰაიმის 30 წლის მეკარე ტიმო ჰილდებრანდი

ამბები

## პეჩინოვიჩი ვინაა?

ბერლინის „ჰერტამ" ბელგრადის „რადიდან" **ნემანია პეჩინოვიჩი** გადაიბირა, რომელმაც „ჰოფენჰაიმში" გადასული **იოზიპ შიმუნიჩი** უნდა შეცვალოს. 21 წლის ცენტრალური მცველი ბერლინელებმა ერთი სეზონით იჯარით აიყვანეს და მისი სრულფასოვანი შესყიდვის უპირატესი უფლებაც მიიღეს. „ნემანია ახალგაზრდა და ნიჭიერი მცველია, რომელსაც დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ძალიან მიხარია, რომ ის ჩვენთანაა," - ამბობს „ჰერტას" მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი**.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ლუსიენ ფავრმა** პეჩინოვიჩი არაერთ ტესტმატჩში გამოსცადა და სერბეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრით ძალიან კმაყოფილია - ნემანიამ „ჰერტაში" ხუთნომრიანი მაისურა მიიღო. ეს ფეხბურთელი შარშან „ცრვენა ზვეზდაში" არენდის წესით თამაშობდა, მაგრამ გუნდმა მისი გამოსყიდვა ვერ შეძლო და ისევ რადში დაბრუნდა, საიდანაც ახლა ბერლინში გაანათხოვრეს. თუმცა ფავრს ამით სატრანსფერო აქტივობები არ დაუსრულებია და დღეისათვის კიდევ ორ ფეხბურთელს აკვირდება: 19 წლის **ანდრე დედე აიევსა** და ხორვატ **ივან პერისიჩს**.

## ვოლფსბურგი: მარტინსი მოდის?

გერმანიის ჩემპიონი „ვოლფსბურგი" ნილმარის ტრანსფერის ჩაშლის შემდეგ, ნიუკასლელ **ობაფემი მარტინსზე** გადაერთო. „მგლების" მთავარ მწვრთნელ **არმინ ფეჰს** ნიგერიელი თავდამსხმელი ძალიან მოსწონს. იმავდროულად, ვოლფებმა 21 წლის ფორვარდი **კაიუბი** ერთი წლით „დუისბურგს" ათხოვეს. გოლეადორი **ედინ ჯეკო** ამბობს, ახალი მაღალი კლასის ფორვარდი ძალიან გვჭირდებაო, მაგრამ იქვე ამატებს, რომ არავისი არ ეშინია. ჯეკო დარწმუნებულია, რომ ძირითად შემადგენლობაში გაისადაც ის და გრაფიტე ითამაშებენ. თითქმის გადაწყვეტილია ისიც, რომ 28 წლის მცველი **რიკარდო კოშტა** „სარაგოსაში" გადავა. აქვე გეტყვით, რომ „ვოლფსბურგმა" მომავალი სეზონისთვის უკვე 21 500 აბონემენტი გაყიდა, რაც ამ კლუბის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია.

## ბაიერნი: სტარტი ოლიჩის გარეშე

მიუნხენის „ბაიერნს" ვარჯიშზე თავდამსხმელი **ივიცა ოლიჩი** დაუშავდა. რეკორდმაისტერის სამედიცინო შტაბიდან იტყობინებიან, რომ ხორვატი თავდამსხმელი ბუნდესლიგის სტარტზე ვერ ითამაშებს. ოლიჩი, რომელიც „ბაიერნმა" „ჰამბურგიდან" გადაიბირა, მოედანზე სავარაუდოდ აგვისტოს ბოლოსთვის დაბრუნდება.

გოტფრიდ ლენცი

ტრანსფერი

# კრაუჩი ლონდონში დაბრუნდა

**პიტერ კრაუჩი** დაახლოებით 10 მილიონ ფუნტად „ტოტენჰემ ჰოთსპურში" ბრუნდება. როგორც „პორტსმუთის" მწვრთნელმა **პოლ ჰარტმა** განაცხადა, ინგლისის ნაკრების ფორვარდის გაყიდვა მას ფინანსურმა პრობლემებმა აიძულა. „ტოტენჰემმა" დასტური გუშინ დილით თქვა. შედეგად, გამოვიდა, რომ კრაუჩი თავის პორტსმუთელ თანაგუნდელ **ჯერმეინ დეფოს** კვალში ჩაუდგა.

ჰარტმა ბრძანა: „პიტერი რომ მიდის, აშკარად გული მწყდება, მაგრამ ჩვენი გუნდი ისეთი მკაცრი ფინანსური სინამდვილის წინაშე აღმოჩნდა, რომ არჩევანი აღარ დაგვრჩა. იძულებული შევიქენით „სპურზის" წინადადებას დავთანხმებულიყავით. იმედი მაქვს, ხალხს კარგად ესმის, რომ მთელი ეს ხანი „პომპეი" თავის წონით კატეგორიაში არ გამოდიოდა. ჩვენი გუნდი ბოლო რამდენიმე წელიწადი ცდილობდა მძიმეწონოსანი მეტოქეებისთვის გაეწია კონკურენცია, მაგრამ, საბოლოოდ, დადგა იმ ფაქტის წინაშე, რომ ძველებურად ველარ დახარჯავდა. ასე განსაჯეთ, ჩვენი კლუბის ახალი მეპატრონეც კი ვერ ახერხებს იმდენი ფულის მოცემას, რამდენსაც ბოლო სამ წელიწადში ვხარჯავდით".

28 წლის კრაუჩმა, რომელმაც კარიერაში „ლივერპულსა" და „ასტონ ვილაშიც" ითამაშა, 11 წლის წინ კარიერა სწორედ „ტოტენჰემ ჰოთსპურში" დაიწყო, მაგრამ ლონდონური გუნდის ძირითადში ერთხელაც არ ათამაშეს და „ქუინზ პარკ რეინჯერსში" გადავიდა.

ილია ბაბუნაშვილი



პიტერ კრაუჩი

ძიუდო — გერმანიის საერთაშორისო ტურნირი

# გერმანული გამოცდებიც დამთავრდა

ძიუდოისტთა ნაკრებმა ბრინჯაოს სამი მედლით დაამთავრა გერმანულ ზინდელფინგენში გამოსვლა. მედლები **ლევან ნიკლაურმა** (90), **ირაკლი ცირეკიძემ** (100) და **დავით ლორიაშვილმა** (100) მოიპოვეს.

ამ ტურნირს ჩვენი ნაკრებისთვის ორმაგი დანიშნულება ჰქონდა - იმ სამეულისთვის, რომელმაც უკვე გაინაღდა აგვისტოს ბოლოს როტერდამში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა, ეს ბოლო საკონტროლო ტურნირი უნდა ყოფილიყო, სხვებისთვის კი შესარჩევიც იყო, რადგან სხვა წონებში კანდიდატები ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი.

როტერდამში წამსვლელი სამეულიდან ზინდელფინგენში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ვალერი ლიპარტელიანი** (90) არ ჭიდაობდა, ოლიმპიადისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ევროპის ორგზის ჩემპიონმა **ნესტორ ხერგიანმა** (60) და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა ლევან ნიკლაურმა კი, შეიძლება ითქვას, გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. განსაკუთრებით ნიკლაურმა იყოჩაღა და დამაიმედებელი ჭიდაობით მოგვრილი იმედი მედლით გაამყარა. ამჯერად ის ზედა წონაში აჭიდავეს და შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, კარგ ფორმაშია - 6 შეხვედრიდან 4 წმინდად მოიგო. განსაკუთრებით სანუგეშოში გაილაღა, სადაც დაჰყვა და მედლამდე გადაყრილი სამივე მეტოქე ზედიზედ გააკრა ბეჭებზე. მას ურიგოდ არც აპრილში თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე უჭიდავია, როცა ბრინჯაო მოიპოვა, მაგრამ ერთი ცუდი რამ კი ეტყობოდა - ცდილობდა, ქულა დასაწყისშივე მოეპოვებინა, მერე კი ყრუ დაცვაში დგებოდა და ბრძოლის ნაცვლად ტატამის ირგვლივ დარბოდა... იქნებ ამ სიფრთხილეს ობიექტური მიზეზები გააჩნდა - პირველად ჭიდაობდა ამ რანგის ტურნირზე, ისიც - საკუთარი მაყურებლის თვალწინ და ასე ახლოს იყო პირველ ჯილდოსთან, მაგრამ ვფიქრობთ, უცხოეთში იმდენ სირბილს არავინ აპატიებდა. ახლანდელი შედეგი საპირისპიროს ამტკიცებს - ნამდვილად უბრძოლია. ეტყობა, ტექნიკური არსენალიც გაუმრავალფეროვნებია, თორემ ერთ ტურნირში ამდენი გდება, ამდენი სუფთა მოგება ჰაერზე არ მოდის. თანაც, სანუგეშოში ისეთი გამოცდილი მეტოქეები გააკრა ბეჭებზე, როგორიც მასპინძელთა ლიდერი **მიხაელ პინსკე** და უკრაინელი **ვადიმ სინიავსკია**. ისიც სათქმელია, რომ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ასევე მასპინძელი **რობერტ დუმკე** დაამარცხა. მან ქულებით მხოლოდ დანიელ **დამიან ჰანერცს** აჯობა პირველ წრეში, მერე ავსტრიელ **კრისტიან ჰაას** სუფთად მოუგო, მეოთხედფინალში კი ქულებით მომავალ ვიცე-ჩემპიონთან, რუს **მურატ გასიევთან** წააგო.

ხერგიანმა ამჯერად მედალი ვერ მოიპოვა, მაგრამ ნახევარფინალში კი გავიდა. იქამდე სამი შეხვედრა მოიგო, რომელთაგანაც ალსანიშნავი მეტოქე ბრიტანელი **კოლინ ოუტსი** იყო. ხერგიანმა ის წმინდად კი დაამარცხა, მაგრამ სრულიად უცნობ ფრანგ **ლოის კორვალთან** წააგო. სამწუხაროდ, სანუგეშოს ფინალშიც ვერაფერს გახდა რუს **მუსა მოგუშკოვთან** და მეხუთეზე დარჩა. სხვათა შორის, მოგუშკოვმა მანამ კარგად მოასპარეზე **შალვა ქარდავაც** დაამარცხა. არადა, ახალგაზრდა ქარდავამ ჯერ ძირითად ტურნირში მიითვალა ორი წმინდა გამარჯვება, ვიდრე ძლიერ გერმანელ **ადრიან კულიჩთან** წააგებდა, მერე კი სანუგეშოშიც ორჯერ იმარჯვა სუფთად გამორჩეულ ფალავნებთან - ბელგიელ **ფაბრის ფლამანდრთან** და უკრაინელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **გიორგი ზანთარაიასთან**.

ჩვენთვის საინტერესოდ განვითარდა მოვლენები 100 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც, სადაც ცირეკიძემ და ლორიაშვილმა მედლამდე ერთნაირი გზა გაიარეს - ორივე ნახევარფინალიდან გადაერთო სანუგეშოში. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ცირეკიძეზე დამაჯერებლად ახალგაზრდა ლორიაშვილმა იასპარეზა. ნახევარფინალამდე მან ერთი შეხვედრით მეტი - სამი ჩაატარა და ყველა წმინდად მოიგო, ცირეკიძემ კი ერთ შეხვედრაში იუკოთი იმარჯვა. ერთი ეგაა, ლორიაშვილს ცნობილი არავინ შეხვედრია, ცირეკიძემ კი რუმინელ **დანიელ ბრატას** და ყაზახ **მაქსიმ რაკოვს** მოუგო. ნახევარფინალში ლორიაშვილი ევროპის წლევანდელ ჩემპიონთან, რუს **ტაგირ ხაიბულაევთან** დამარცხდა, ცირეკიძე - მასპინძელ **დმიტრი პეტერსთან**. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ლორიაშვილს ბრატა არ გამოუცხადდა, ცირეკიძემ კი მასპინძელ **დინო პფაიფერს** წმინდად აჯობა.

ამ წონაში ლომერ ჟორჟოლიანმა პირველივე შეხვედრა წააგო და, ეტყობა, როტერდამში წასვლის მსურველთა რიგებსაც გამოაკლდა.

კიდევ ერთი სადავო წონა, სადაც ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელს** საროტერდამო კანდიდატი უნდა გამოევლინა, მძიმე წონაა. ვერ გეტყვით, ხაბარელმა ჭიდაობის ხარისხში დაინახა თუ არა რამე სხვაობა, მაგრამ გერმანიაში **ზვიად ხანჯალიაშვილიც** და **ადამ ოქრუაშვილიც** თითქმის ერთნაირად გამოვიდნენ, თუმცა რაღაც წვრილმანებში უპირატესობა ხანჯალიაშვილის მხარესაა - პირველ წრეში ორივე ისვენებდა, მეორეში ორივემ იპონით იმარჯვა, მესამეში კი ასევე წყვილად დამარცხდნენ. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ შედარებით ძლიერ მეტოქეს ხანჯალიაშვილმა მოუგო - მასპინძელ **ფაბიენ ჰუბერტს**, თუმცა ოქრუაშვილის მიერ დამარცხებულმა ასევე გერმანელმა **სებასტიან ბერმა** პირველ წრეში ძლიერი ესტონელი **მარტინ პადარი** ჩამოიცილა. მეოთხედფინალში ორივემ რუსთან წააგო, ოღონდ მცირე უპირატესობა აქაც ხანჯალიაშვილის მხარესაა - სამგზის მსოფლიო ჩემპიონ **ალექსანდრ მიხაილინთან** ქულებით დამარცხდა, ოქრუაშვილს კი მსოფლიო და ოლიმპიურმა პრიზიორმა **ტამერლან ტმენოვმა** სუფთად მოუგო. სანუგეშოში ორივემ პირველივე შეხვედრა დათმო. თან, ისევ წმინდად და ისევ ერთი ქვეყნის, ამჯერად - ბელარუსის წარმომადგენლებთან - ხანჯალიაშვილი ოლიმპიურ ჩემპიონ **იჰარ მაკარაუსთან** დამარცხდა, ოქრუაშვილი - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **იური რიბაკთან**. აქაც ხანჯალიაშვილმა უფრო ტიტულოვანთან წააგო, მაგრამ ვერ გეტყვით, ხაბარელის გადაწყვეტილებაზე ეს წვრილმანები გავლენას რამდენად იქონიებს, რადგან მთავარი მაინც ტატამზე ნაჩვენები ჭიდაობის ხარისხია. თანაც, ხანჯალიაშვილის მხარეს არსებული ყველა უპირატესობა წაგებულ შეხვედრებს უკავშირდება ანუ მაინც პირობითია.

წინასწარი განაცხადის მიუხედავად, მაინც ვერ ვეღირსეთ ევროპის სამგზის ჩემპიონ **ზაზა კედელაშვილის** ჭიდაობას, რომელსაც ამჯერად ზედა წონაში - 73-ში უნდა ესპარეზა, მაგრამ ტატამზე არ გასულა. შესაძლოა, ამით ის მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის მსურველებსაც გამოაკლდა. ამ წონაში მოასპარეზე ოთხი ქართველიდან ყველაზე უკეთ **მინდია ხომიზურმა** იჭიდავა, რომელიც ნახევარფინალში დამაჯერებლად გავიდა, მერე კი მოხდა ის, რაც ხშირად ემართება - ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და მეხუთეზე დარჩა. შეჯიბრებებში თითქოს ურიგოდ არ გამოდის, მაგრამ ასე მგონია, თითქოს ტურნირის ბოლოს ძალები არ ჰყოფნის - დისტანციის მეორე ნახევარში ძალაგამოცლილ მორბენალს მაგონებს, თორემ შეჯიბრებას ისევე რომ ამთავრებდეს, როგორც იწყებს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა...

ნახევარფინალამდე ორი მეტოქე - კვიპროსელი **ალეოს ლაზაროუ** და ყაზახი **რაშიდ კულბაევი** ვაზარით, ორი კი - უნგრელი **ტამაშ ურბანოვსკი** და ბრიტანელი **ალექს ფარბონი** იპონით დაამარცხა. როგორც ვხედავთ, ყველა შეხვედრაში ლამის უმაღლესი ილეთები გააკეთა, მაგრამ მედლამდე დარჩენილი ბოლო ორი ნაბიჯი ჩააგდო - ჯერ ნახევარფინალში წმინდად წააგო რუს **ბატდრაზ კაიტმაზოვთან**, მერე კი სანუგეშოს ფინალიც ასევე სუფთად დათმო უნგრელ ევროპის ორგზის ჩემპიონთან და მსოფლიოს პრიზიორ **მიკლოშ უნგვართან**! ძალიან ცუდია, რომ ამჯერადაც მხოლოდ იმედი დაგვიტოვა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ჭიდაობით, მედალი კი ვერ მოიპოვა. კაიტმაზოვმა პირველ წრეში კიდევ ერთი ჩვენებური დაამარცხა - **თენგიზ პაპოშვილი**, **ავთანდილ შოშიაშვილის** გავარდნაში კი წვლილი ხომიზურსაც მიუძღვის - შოშიაშვილმა ფარბონთან წააგო, იმის მარცხით კი ესეც გავარდა. თუმცა მანამ შოშიაშვილმა ორი შეხვედრა მოიგო, რაც დებიუტანტისთვის ცუდი შედეგი არაა. ამავე წონაში **ამბაკო ავალიანმა** თითო მოგება-წაგებით დაასრულა ტურნირი.

60 კილოგრამში **ბეთქილ შუკვანმა** კვლავ გააგრძელა უსიამოვნო ტრადიცია - ფინელ **ვალტერი იოკინენთან** მარცხით ტურნირს დასაწყისშივე გამოეთიშა, **ამირან პაპინაშვილზე** კი იმავეს თქმა შეიძლება, რაც ხომიზურზე - თითქოს ცუდად არ გამოდის, მაგრამ ბოლოს ვერ ყოჩაღობს. ახლაც სამ შეხვედრაში მოგებას ზედიზედ ორი მარცხი მიაყოლა - ნახევარფინალში ბრიტანელ **ეშლი მაკენზისთან**, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში - ფრანგ **დმიტრი დრაყინთან**.

წარუმატებლად გამოვიდნენ 81-ში მოასპარეზენი - **დავით ქევხიშვილი** და **ხვიჩა ხუციშვილი**. მათ ორ-ორ შეხვედრაში კი იმარჯვეს, მაგრამ მერე გავარდნენ.

არა გვგონია, გერმანულ გამოცდებს ხაბარელისთვის რამე გადამჭრელი შედეგი მოეტანა, თუმცა დაველოდოთ თბილისში მის დაბრუნებას.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი — ინტერვიუ ვლადიმერ რუსიასთან



# მეორე რუმინული თავგადასავალი

წლის დასაწყისში ბუქარესტის "დინამო" ფინანსური პრობლემების გამო დაიშალა და რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმერ რუსია უგუნდოდ იყო. ეს პერიოდი მან თბილისში გაატარა და დრო უქმად არ დაუკარგავს – ინდივიდუალურადაც ივარჯიშა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთადაც. ამის შემდეგ ვოვამ ერთი თვე ბეირუთში გაატარა, ორი თვე კი დონეცკის "შახტიორში". მას ორივეგან ადრეც ჰქონდა ნათამაშები, "შახტიორში" დარჩენას სთავაზობდნენ კიდეც, მაგრამ უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდა – ისევ რუმინეთი, ამჯერად "ოდორჰეი". დანარჩენს ვოვასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- როგორ აღმოჩნდი "ოდორჰეიში?**

- იქაურებს ბუქარესტის "დინამოდან" კარგად ვახსოვარ და როგორც ველოდი, ახალი სეზონის წინ შემეხმიანენ კიდეც.

**- გასინჯვაზე მიგიწვიეს თუ პირდაპირ კონტრაქტი შემოგთავაზეს?**

- არავითარი გასინჯვა, რუმინეთში პირდაპირ კონტრაქტზე ხელმოსაწერად ჩავედი. საქმე ისაა, რომ "ოდორჰეის" ამჟამინდელი მწვრთნელი ჩემს დროს "დინამოში" მუშაობდა და ჩემი შესაძლებლობები კარგად იცის.

**- რა ხანგრძლივობის კონტრაქტი გაგიფორმეს?**

- ხელშეკრულება 1+1 სისტემისაა და ერთი წლის შემდეგ ვფიქრობ, თანამშრომლობას აუცილებლად გავაგრძელებ.

**- ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი პროცესი როგორ მიმდინარეობს, საკუთარი მზადყოფნით კმაყოფილი ხარ?**

- იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში უგუნდოდ ვიყავი, არაბეთსა და უკრაინაში ხანმოკლე თამაშით ფორმა მაინც აღვიდგინე. განსაკუთრებით "შახტიორში" თამაშს გამოვარჩევდი. რომ გაიგეს უგუნდოდ ვიყავი, დამირეკეს და ჩემპიონატში დარჩენილი ექვს შეხვედრაში მონაწილეობა მთხოვეს. უყოყმანოდ დავთანხმდი, რადგან "შახტიორთან" და დონეცკთან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. დღეისათვის საკმაოდ ნორმალურ კონდიციებში ვარ, რუმინეთში სეზონი სექტემბერში იწყება და იმ დროისთვის ვფიქრობ, სასურველ ფორმას დავიბრუნებ.

**- ალბათ, ძირითად შემადგენლობაში თამაშზე გექნება პრეტენზია.**

- აუცილებლად. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ნამდვილად ვარ იმ კლასის მოთამაშე, რუმინეთის ძლიერი ლიგის ძლიერი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა რომ ვიყო. მოსამზადებელ ეტაპზე მატჩების უმეტესობას სასტარტო შემადგენლობაში ვიწყებ და მოედანზე დიდ დროს ვატარებ. მწვრთნელი ჩემ მიმართ კეთილადაა განწყობილი. აქვე გეტყვით, რომ ჩემი ერთი კონკურენტი რუმინელია, მეორე კი სლოვაკი.

**- როგორია კლუბის მიზანი მომავალი სეზონისთვის?**

- პროგრამა-მინიმუმი საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა იქნება, მაქსიმუმი კი სამეული. წინა ჩემპიონატი "ოდორჰეიმ" მეექვსე საფეხურზე დაასრულა.

**- ევროთასებზე თუ იასპარეზებთ?**

- კი, "ჩელენჯ კაპზე" გამოვალთ და იქაც მაღალი მიზნები გვაქვს.

**- გასული წლის ბოლოს ეროვნულ ნაკრებს პოლონურ ტურნეში ტრავმის გამო ვერ დაეხმარე. ახლა როგორია შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

- ძალიან დამწყდა გული, რომ საქართველოს ნაკრებს საჭირო მომენტში გამოვაკლდი, მაგრამ მაშინ სხვანაირად არ გამოდიოდა. საბედნიეროდ, მკურნალობის პროცესმა კარგად ჩაიარა და დღეს აღარაფერი მაწუხებს. ყველანაირად მზად ვარ იმისთვის, რომ ახალ კლუბში დავმკვიდრდე და, რაც მთავარია, ნაკრებს ნებისმიერ ტურნირზე გამოვადგე. ოქტომბერში "ჩელენჯ კაპზე" უნდა ვითამაშოთ, მომავალი წლის იანვარში კი შესარჩევი მატჩები გველის.

**- რუმინეთში შენ გარდა, საქართველოს ნაკრების მეკარე შოთა თევზაძე თამაშობს. ერთმანეთის ნახვას თუ ახერხებთ?**

- ჩვენი ქალაქები ერთმანეთისგან 250 კილომეტრითაა დაშორებული, ასე რომ, სამწუხაროდ, შოთას მხოლოდ თამაშებზე თუ შევხვდები.

**- ქალაქ ოდორჰეიში თავს კარგად გრძნობ?**

- შესანიშნავი პირობები მაქვს. კლუბმა ბინა გამომიყო, სადაც მარტო ვცხოვრობ. ცუდი ისაა, რომ საცოლე თბილისში მყავს – ნინი გოგალაძე. ოჯახის შექმნას უახლოეს პერიოდში ვაპირებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სასტენდო სროლა — ევროპის ჩემპიონატი

## ძალიან ცუდი, ძალიან...

ქართველმა მესტენდურებმა უსახელოდ, ცხრილის ქვედა ნაწილში დაასრულეს ხორვატულ ოსიეკში გამართული ევროპის ჩემპიონატი. ჩვენი სამეულიდან ყველაზე უკეთ მოსკოვში მცხოვრები და იქვე მოვარჯიშე **პავლე ლაკია** გამოვიდა, რომელიც 108 ქულით 57-ე ადგილზე გავიდა, **დავით ქვათაძე** და **გივი შენგელია** კი 65 მონაწილეს შორის ბოლო ორ ადგილზე დამკვიდრდნენ. ქვათაძემ 100 ქულა დააგროვა, შენგელიამ - 98 (!). ცხადია, ასეთი მაჩვენებლების შემდეგ გუნდურ პირველობაშიც ბოლო ადგილზე გავედით.

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი

## სერბეთი წარმატებით მოიარეს

ZRENJANIN 2009
CADET EUROPEAN CHAMPIONSHIP WRESTLING (GR/FS/FW)

1 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო - ასეთი შედეგით დაასრულეს გამოსვლა ქართველმა ბერძენ-რომაელებმა ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატში. **ვაჟა კრავეიშვილის** დამოძღვრილთაგან სერბულ ზრენჯანინში ფინალში ხუთი ქართველი გავიდა, მაგრამ იმათგან ოქროს მედლით მხოლოდ ერთი გვიბრუნდება - **ფირუზ წულუკიძე** (58), **შმაგი ბოლქვაძე** (42), **ლაშა დოლიძე** (76), **დავით ჩაკვეტაძე** (85) და **გიორგი ხაბაშვილი** (100) ვერცხლს დასჯერდნენ. მესამე ადგილზე **ამირან შავაძე** (46) გავიდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მესამეა რუსეთისა და თურქეთის შემდეგ.

**ირაკლი თავაძე**

## მილოცვები

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს წარსულში ცნობილ ძიუდოისტს და სამბისტს, ძიუდოში მიუნხენის ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, ოთხგზის მეორე და მესამე პრიზიორს, სსრ კავშირის ჩემპიონს, სამბოში ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსების ორდენოსანს გივი ონაშვილს.**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან ძიუდოისტს, ევროპის ორგზის ჩემპიონსა და ოთხგზის პრიზიორს, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორს, სსრ კავშირის ჩემპიონს და ბრინჯაოს პრიზიორს, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანს, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს სამბოში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსების ორდენის კავალერს გივი ონაშვილს.**

ჩოგბურთი



ლეილა მესხი ტურნირის გამარჯვებულ მალეკ ჯაზირის აჯილდოებს.

# ჯაზირის ჯებირი და უკმაყოფილო სავიჩი

ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი — „კოკა-კოლას თასზე" (საპრიზო ფონდი 15 ათასი $). გასულ უქმეებამდე ერთეულთა თანრიგს ოთხი სპორტსმენი შემორჩა — პირველ-მეორე და მეოთხე-მეხუთე ნომრებად განთესილები. გულშემატკივრები ფიქრობდნენ, რომ ფინალში, ისევე, როგორც წინა კვირას, უკრაინელი **ივან სერგეევი** (309) და იტალიელი **მატეო მარაი** (338) დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა — საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თასის ორგზის მფლობელ მარაის და ამ შეჯიბრების ფინალისტ სერგეევს გზა სერბმა **დავიდ სავიჩმა** (446) და ტუნისელმა **მალეკ ჯაზირიმ** (406) გადაუღობეს. ნახევარფინალში სავიჩმა იტალიელს სამ სეტში სძლია — 6:4, 3:6, 6:3. ჯაზირიმ უკრაინელის დასამარცხებლად ორი ხელი იკმარა — 6:3, 7:5.

გუშინ გადამწყვეტი პაექრობა გაიმართა. პირველ სეტში სერბი უფრო მობილიზებული ჩანდა და წარმატებასაც მიაღწია — 6:4. მეორე ხელიც საკმაოდ ყოჩაღად დაიწყო და 3:1 დაწინაურდა. მიზნის მიღწევამდე, თითქოს, ხელის განვდენალა რჩებოდა. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში ჯაზირიმ ბურთის მოგერიებისას მუხლი გადაიტყავა. ეტყობა, ტრავმამ დადებითად იმოქმედა ტუნისელზე, რადგან ამის შემდეგ უკეთ ათამაშდა — ხელთ იგდო ინიციატივა და მალევე ალადგინა ანგარიშში წონასწორობა — 3:3, მერე დაწინაურდა კიდეც. მეათე გეიმში სავიჩი საკუთარ თავს არ ჰგავდა — მეტოქის მოწოდებებზე, ფაქტობრივად, არც რეაგირებდა და სეტი 4:6 წააგო. დავიდმა მატჩის ბედის შემოტრიალება ვერც მესამეში შეძლო და 4:6 დამარცხდა. მთავრ პრიზს ჯაზირი დაეუფლა, რომელმაც ორი, კვირის განმავლობაში ჩვენთან ბევრი გულშემატკივარი შეიძინა. ისინი აქტიურად ქომაგობდნენ ტუნისელს, რამაც სავიჩი ერთგვარად გააღიზიანა და უკმაყოფილება რამდენჯერმე დემონსტრატიულადაც გამოხატა. არ არის გამორიცხული, მის წაგებაზე ფსიქოლოგიურმა წნეხმაც იმოქმედა.

რაც შეეხება წყვილთა პაექრობას, ბოლო დუელი ორ უკრაინულ დუეტს შორის გაიმართა. გამარჯვებულის გამოსავლენად ტაი-ბრეიკები გახდა საჭირო, რადგან პირველი სეტი **ივან ანიკანოვმა** და **არტიომ სმირონოვმა** მოიგეს 6:3, მეორეში ასეთივე ანგარიშით **ალექსანდრ აგაფონოვმა** და **ივან სერგეევმა** მიაღწიეს წარმატებას. საბოლოოდ მაინც **ანიკანოვი-სმირნოვის** ტანდემმა იმძლავრა (10:7) და პირველი ადგილი დაიკავა.

ასპარეზობის გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** დააჯილდოვა, რომელმაც მრავალწლიანი თანადგომისა და ტურნირის დაფინანსებისთვის კომპანია „კოკა-კოლას" ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# შაფაქიძის მეხუთე ტიტული

## ტატიშვილი ისევ WTA-ს უტევს

სტამბოლის იესილიურთის კორტებზე (10 ათასი $) ჩვენი ყურადღება წყვილთა თანრგის ფინალისკენ იყო მიპყრობილი: ბადის ორივე მხარეს ქართველი თამაშობდა - მე-3 ნომრად განთესილები, **მანანა შაფაქიძე** (628) და თურქი **პემრა ოზგენი** (422) მე-4 ნომრად განთესილებს, **სოფიო ქვაცაბაიასა** (532) და რუს **ავგუსტა ციბიშევას** (636) ხვდებოდნენ. შაფაქიძემ და ოზგენმა ორ სეტში იოლად მოიგეს - 6:2, 6:2 და ტიტულს დაეუფლნენ. ეს მანანას კარიერაში მეხუთე ტიტულია (მესამე წყვილებში).

მანანა სტამბოლში WTA-ს ტურნირის, „სტამბოლის თასის" (220 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში ჩაერთო. პირველ წრეში მან „უაილდ ქარდით" მიწვეული თურქი **ბაშაკ ერაიდინი** დაამარცხა - 6:4, 6:3, მაგრამ მეორე წრეში პირველ ნომრად განთესილ ბელარუს **ანასტასია იაკიმოვას** (96) გადაეყარა. მსოფლიოს საუკეთესო ასეულის მოქმედ წევრს მანანა კარიერაში პირველად შეხვდა, მან ორ სეტში დათმო ორთაბრძოლა - 3:6, 2:6. ამავე ბადეში **ანა ტატიშვილიც** (182) ვიხილეთ. არც ის იყო განთესილთა შორის, პირველ წრეში ჩვენი პირველი ჩოგანი პორტუგალიელ **ნეუზა სილვას** (136) ეთამაშა, რომელიც ბადეში მე-2 ნომრით იყო განთესილი და სამ სეტში დაამარცხა - 6:4, 4:6, 6:4. ჩვენებურმა მეორე წრეშიც იყოჩაღა და გზიდან ყირგიზი **ქსენია პალკინა** ჩამოიცილა - 6:4, 6:3. ახლა მისი მეტოქე ბელარუსი **ეკატერინა ძეჰალევიჩია**, თუკი ბელარუს სპორტსმენსაც დაამარცხებს, ანა ზედიზედ მეორედ გავა WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეში.

ყაზახეთის ქალაქ ალმათიში უჩვეულოდ ბევრი ქართველი ჩოგბურთელი ასპარეზობს ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. დავიწყოთ საკვალიფიკაციო წრით, სადაც ბედი **თათია მიქაძემ** და **სოფიკო შარანგიამ** სცადეს. ეს უკანასკნელი პირველ წრეში ისვენებდა, ხოლო მიქაძემ უზბეკ **ლოლა აზიმოვაზე** იმარჯვა - 6:0, 3:6, 6:1. მეორე წრეში თათიამ რუსი **იულია ზახაროვა** დაამარცხა - 6:2, 6:3, ხოლო სოფიკომ - **დარია კულბიკოვა** - 3:6, 6:4, 6:4.

ორივე ჩვენებური ძირითად ბადეში გავიდა, სადაც ოთხ თანამემამულეს შეუერთდა. ორი მათგანი განთესილია - ტურნირის მესამე ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** (232) ყაზახ **ნატალია ბერეჟნაიას** ეთამაშება, ხოლო მე-7 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავას** (285) მეტოქედ თანამემამულე თათია მიქაძე ერგო. 2007 წელს ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, თბილისში მიქაძემ მოიგო, ბათუმში - შაფათავამ. სოფიო ქვაცაბაია უკრაინელ **განა პივენს** (447) ეთამაშება და თუ მოუგებს, მერვედფინალში მიქაძეს ან შაფათავას შეხვდება. შარანგიას მე-8 ნომრად განთესილ რუმინელ **აგნეშ სატმარისთან** (316) მოუწევს დაპირისპირება. 18-წლამდელთა ევროპის პირველობაზე მერვედფინალში ხელმოცარული **ეკა გორგოძე** (510) კი პროფესიულ ჩოგბურთს ტაჯიკ **ანასტასია პრენკოსთან** (721) მატჩით დაუბრუნდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# ლამისყანაში, ორბელიანთა ნაფუძართან

ახალგორში 1956 წლიდან ყოველი ივლისის მიწურულს მეცხვარის დღესთან დაკავშირებით ქართულ ჭიდაობაში ქსნის ხეობის პირველობა იმართებოდა, რომელშიც მეზობელი რაიონებისა და სოფლების ფალავნებიც მონაწილეობდნენ. შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ, რაც ახალგორს რუსები დაეპატრონნენ, იქ შეჯიბრების ჩატარება შეუძლებელი გახდა. ტრადიციის გაგრძელება ისტორიული და სპორტული მემკვიდრეობით განთქმულმა ლამისყანამ ითავა. **მიხეილ რაზმაძისა** და **ჯამბულ ბეგიაშვილის** ინიციატივით შეჯიბრება ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლესთან ნახერხმოყრილ სარბიელზე მოეწყო. ნაშუადღევს საჭიდაოსთან ასობით მაყურებელმა მოიყარა თავი. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი **რომან რურუა** და ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებული ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქუთაისელი **ესტატე გოგლიჩიძე**.

5 წონით კატეგორიაში მკლავისა და მუხლის ძალა მოსინჯეს ლამისყანელმა, მეტეხელმა, კასპელმა, ქვემოჭალელმა, თეზელმა, ოკამელმა, წილკნელმა, ხანდაკელმა, ქსოვრისელმა, გორელმა, მჭადიჯვრელმა, მცხეთელმა, თიანეთელმა, ქუთაისელმა, თბილისელმა და ახალგორელმა ბიჭებმა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ:

**50 კგ.** 1. **გიორგი ჯარმელიშვილი**, 2. **მიხეილ იმერლიშვილი** (ორივე — ლამისყანა), 3. **ზურაბ თათრიშვილი** (წილკანი).

**60 კგ.** 1. **ტრისტან ფეიქრიშვილი** (ხანდაკი) 2. **ალექსანდრე გაროზაშვილი**, 3. **იასონ თათარაშვილი** (ორივე — ოკამი).

**70 კგ.** 1. **გიორგი მახარაშვილი** (ქსოვრისი), 2. **დევი ოსიაშვილი** (ლამისყანა), 3. **ლევან გიგაური** (გორი).

**80 კგ.** 1. **იოსებ ჩილინდრიშვილი** (გორი), 2. **კახა მამულაშვილი** (მეტეხი), 3. **გიორგი ბიჩელაშვილი** (თიანეთი).

**აბსოლუტური:** 1. **გოჩა გოგიაშვილი** (ლამისყანა), 2. **კახა მამულაშვილი** (მეტეხი), 3. **ჯუმბერ გიგაური** (გორი).

გუნდური: 1. **ლამისყანა**, 2. **მეტეხი**, 3. **გორი**.

მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის — **ცეზარ ჩოჩელის** მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ ტრისტან ფეიქრიშვილს (ქსნის ხეობის ფალავნის **არჩილ ჩარიგოგდიშვილის თასი**) და კახა მამულაშვილს (ტურნირის საუკეთესო ტექნიკურ მოჭიდავეს). აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებული, სხვადასხვა წლებში სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი გოჩა გოგიაშვილი ცოცხალი ჭედილათიც დაჯილდოვდა.



**რომან რურუა:** — საინტერესო შეჯიბრებას დავესწარი. ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ სიძნელეების მიუხედავად, მთელი ხეობა ცოცხლობს და ხალისობს. ქართული ჭიდაობა თანდაყოლილი ნიჭიერებაა ერისა — მას მოვლა და პატრონობა სჭირდება. ისტორია გვარწმუნებს, ვინც ტრადიცია დაივიწყა, ფეხი ვერ მოიკიდა სამომავლოდ. სწორედ ტრადიციით ვართ ძლიერი და ეროვნულ საუნჯეს უნდა გავუფრთხილდეთ. ქსნის ხეობაში იციან ქართული ჭიდაობის ყადრი. დღევანდელმა ტურნირმა გვიჩვენა, რომ ტალანტებით მდიდრები ვართ და საქართველოში უმაღლესი კლასის ფალავნები არ მოგვაკლდება.

**შოთა ჩეკურიშვილი**, ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: — ჩვენი ფედერაცია უშანგი ყურაშვილის ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებს ქართული ჭიდაობის ტრადიციების ასაღორძინებლად. დროის მცირე მონაკვეთში რამდენიმე შეჯიბრება გავმართეთ კახეთში, ქართლში, აჭარაში. ჯერ მთელი სეზონი წინ გვაქვს. ლამისყანელებს დღეს მხარში დაუდგნენ მიხეილ რაზმაძე და ჯამბულ ბეგიაშვილი. მადლობის მეტი რა გვეთქმის. კარგი იქნება, ასეთი ენთუზიასტები სხვა რაიონებშიც თუ გამოჩნდებიან.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# გორკას ტურნირზე

დღეს ქართული ჭიდაობის ეპიცენტრი ხან კახეთშია, ხან კიდევ ქართლში. მომავალ უქმეებზე კი ზეიმი ქართული ჭიდაობის თანხლებით ბათუმის ცენტრშიც გაიმართება...

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის სამსახურის გარდა, რამდენიმე საქმიანი ადამიანი იყო ჩართული იმ ტურნირის ორგანიზებაში, რომელიც ცნობილი კასპელი მოჭიდავის, გიორგი („გორკა") მერებაშვილის (1980-2005) ხსოვნას მიეძღვნა.

მეორე მემორიალური პირად-გუნდური ასპარეზობა კასპის ღია საჭიდაო სარბიელზე გაიმართა.

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **ნოდარ ქენქაძემ** ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორებს საჭიდაო ჩოხები, თასები და მედლები გადასცეს. დაწესებული იყო უამრავი პრიზი. მათ შორის ერთი დააწესეს გიორგი მერებაშვილის უბნელებმაც.

**შმაგი შარიფაშვილს** (70) სწორედ ეს „უბნის პრიზი" ხვდა წილად.

მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი, მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში **ბადრი ჯანიაშვილი**), გუნდური ასპარეზობის პრიზიორებიც გამოავლინა. ადგილები აქ ასე განაწილდა: 1. კასპი, 2. თბილისი, 3. ლამისყანა.

აქ კი ერთი კომუნისტებისდროინდელი ამბავი გაგვახსენდა, როცა ცეკას მაღალჩინოსანი განრისხდა, რომ შეიტყო, კასპელ ქართულის მოჭიდავეებს თბილისის გუნდისთვის მოუგიათო. არადა, ეს სულაც არ არის საგანგაშო. კასპის რაიონი ოდითგან იყო — მხარე სარკინე ფალავნებისა...

„გორკას ტურნირზე" ახალგაზრდული საერთაშორისო პირველობების არაერთმა პრიზიორმა იასპარეზა. ამიტომ ორთაბრძოლებს ახლდა სიმწვავე და შეუპოვრობა. კასპელებს წლეულს ზაფხულზე და შემოდგომაზე კიდევ ქართული ჭიდაობის რამდენიმე შეჯიბრების მოწყობა აქვთ განზრახული.

ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორები:

**55კგ.** 1. გიგა ხორბალაძე (კასპი), 2. მიხეილ იმერლიშვილი (ლამისყანა), 3. გიორგი გეჯაძე (კასპი).

**60.** 1. ტრისტან ფეიქრიშვილი (კასპი), 2. ჯონი მარიდაშვილი, 3. გიორგი ილურიძე (ორივე — თბილისი).

**65.** 1. ზვიად ოდოსაშვილი (კასპი), 2. მამუკა მამადაშვილი (თბილისი), 3. დევი ოსიაშვილი (ლამისყანა).

**70.** 1. შმაგი შარიფაშვილი, 2. ბექა ბერიაშვილი (ორივე - კასპი), 3. შოთა ბეჟიტაშვილი (თბილისი).

**75.** 1. ნიკა ბაშარული (თბილისი), 2. არჩილ გიგაური (ლამისყანა), 3. სოსო მამულაშვილი (კასპი).

**80.** 1. გიგა წიკლაური, 2. გიორგი იაძე (ორივე — კასპი), 3. დევი ბალხამიშვილი (ლამისყანა).

**+80.** 1. გიორგი ცოციაშვილი (თბილისი), 2. გოჩა გოგიაშვილი (ლამისყანა), 3. ალიკა ტატანაშვილი (კასპი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
კასპი
ავტორის ფოტო



# ქართული სპორტი

## კალათბურთი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. B დივიზიონი

# მერვეები

25 ივლისი. სკოპიე, მაკედონია

**საქართველო-ავსტრია 80:88**

19:19, 34:25, 16:21, 11:23

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წივწივაძე | 32 | 7 | 4 | 6 | 3 | 0 | 3 | 5 |
| ტომარაძე | 34 | 18 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| თ. შენგელია | 30 | 12 | 4 | 4 | 2 | 0 | 4 | 3 |
| მეტრეველი | 25 | 7 | 5 | 1 | 0 | 1 | 2 | 4 |
| მათიაშვილი | 27 | 11 | 7 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 |
| ლ. შენგელია | 25 | 12 | 7 | 1 | 1 | 3 | 5 | 4 |
| ცეკვავა | 21 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 |
| ჩაჩიბაია | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |

ავსტრია: მაჰალბასიჩი (30ქ, 16მ), სცებიტსი (17ქ), შაალი (12ქ), შარნცი (11ქ, 8მ)

26 ივლისი. სკოპიე, მაკედონია

**საქართველო-ფინეთი 75:97**

21:18, 20:23, 18:27, 16:29

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წივწივაძე | 32 | 10 | 4 | 9 | 2 | 0 | 1 | 5 |
| ტომარაძე | 31 | 8 | 3 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| ცეკვავა | 19 | 5 | 2 | 0 | 1 | 0 | 5 | 1 |
| მეტრეველი | 21 | 4 | 9 | 3 | 1 | 2 | 5 | 2 |
| მათიაშვილი | 32 | 23 | 5 | 2 | 0 | 0 | 1 | 3 |
| ლ. შენგელია | 23 | 19 | 4 | 1 | 0 | 0 | 5 | 1 |
| ჩაჩიბაია | 25 | 6 | 5 | 1 | 1 | 0 | 2 | 2 |
| ნანიტაშვილი | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მაჭავარიანი | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| აბაიშვილი | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| კვეტენაძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

ფინეთი: პერტუ (19ქ), კანერვო (14ქ), აჰონენი (21ქ, 6პ), ლეჰქორანტა (12ქ), ნუუტინენი



საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაასრულა. შაბათს ავსტრიასთან მატჩს უნდა გაერკვია, ჩვენები მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის იბრძოლებდნენ თუ მეშვიდე-მერვესთვის. ავსტრიელებმა 88 ქულა ჩაგვიგდეს და თითქოს საბოლოო ანგარიშით მიგვითითეს – თქვენი ადგილი მერვე ადგილზეაო. მეორე დღეს ქართველებმა ფინეთთან ითამაშეს, გამარჯვებული B დივიზიონს მეშვიდე ადგილზე დაასრულებდა. ჩვენმა გუნდმა ვერც ეს შანსი გამოიყენა, ავსტრიის "მითითებას" მიჰყვა და ტურნირი მე-8 ადგილზე დაამთავრა.

შინაურულად რომ ვთქვათ, პოლონეთთან მარცხის შემდეგ მოგება-წაგებას ერთი ფასი ჰქონდა. სწორედ პოლონეთთან მატჩის მერე გამოვეთიშეთ A დივიზიონის საგზურისთვის ბრძოლას და ქვედა ლიგაში მეხუთე ადგილს დავიკავებდით თუ მერვეს, პრინციპული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ამის მიუხედავად, მთავარმა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** ავსტრიასთან სწორედ ის შვიდეული დატვირთა, რომელიც მანამდე იბრძოდა. სათადარიგოებს კი თავის გამოჩენის საშუალება არც ავსტრიელებთან მისცა.

ამ შეხვედრის სცენარი კი წინამორბედის (პოლონეთთან) მსგავსი გამოდგა. ქართველებმა საწყისი სამი პერიოდი კარგად ჩაატარეს, თუმცა ბოლო წუთებზე ძალა აღარ ეყოთ და 80:88 დათმეს. აი, სწორედ ამისთვისაა საჭირო სათადარიგოთა სკამი – როცა სასტარტო ხუთეულის წევრი იღლება, იგი სათადარიგომ უნდა შეცვალოს. შემდეგ, დასვენებული სასტარტო ისევ მოედანს უნდა დაუბრუნდეს. საქართველოს ნაკრებში კი შვიდმა კალათბურთელმა ითამაშა. მათგან ოთხმა 30 წუთის ფარგლებში იტრიალა და ბოლო წუთებზე საკმარისი ენერგია არ შერჩათ. შეიძლება გაგიკვირდეთ, აბა, რისი სპორტსმენია, თუ 30 წუთი ვერ გაძლოო. იმასაც შეგახსენებთ, რომ ერთი შვიდეული 16 ივლისის შემდეგ ყოველდღე ურთულეს მატჩებს ატარებს. მათ 10 დღეში მხოლოდ ორი დასვენება ჰქონდათ.

სათადარიგოების გამოუყენებლობას კი მოსამზადებელ ციკლთან მივყავართ. ნაკრებს მზადებისას რამდენიმე საკონტროლო მატჩი რომ ჩაეტარებინა, მწვრთნელი შემცვლელებსაც საერთო სქემას მოარგებდა და გადამწყვეტ თუ არა, ნაკლებად დაძაბულ მომენტებში სათადარიგოებს ხუთეულის წევრებს მიახმარებდა...

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მაკედონიურ ტურნეს ამ კვირაში კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი მეშვიდე ადგილისთვის მატჩზე ვთქვათ. შეგახსენებთ, რომ ფინელებს მეორე ჯგუფურ ეტაპზეც შევხვდით. მაშინ 59:68 წავაგეთ. გუშინ შეტევაში გაცილებით უკეთესად გამოვიყურებოდით, 75 ქულას მოვუყარეთ თავი, თუმცა დაცვაში საკმაოდ მოვიკოჭლეთ, მეტოქემ კინაღამ 100 ქულა ჩაგვიგდო – 97.

წინა შეხვედრის მსგავსად, სუომელებმა ამჯერადაც პერიმეტრზე დაგვჩაგრეს: 17 სამქულიანი ჩაგვიგდეს, ჩვენ კი ხუთს დავჯერდით. სათანადოდ ვერც ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა გამოვიყენეთ: მოხსნებში 33:22 ვიმარჯვეთ.

გუშინდელ შეხვედრაში დავით უსტიაშვილმა დაასვენა საქართველოს ნაკრების წევრი **თორნიკე შენგელია**. თოკო, **ლევან შენგელია, ნიკა მეტრეველი** და თავად დავით უსტიაშვილი გუშინ ავსტრიაში მყოფ ეროვნულ ნაკრებს შეუერთდნენ.

B დივიზიონის ფინალში ჩეხეთი და ჰოლანდია გავიდნენ. ისინი გაისად ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ. ელიტიდან კი ბელგია და ისრაელი ჩამოქვეითდნენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები. B დივიზიონი

# ვიპოვეთ...

**25 ივლისი. სარაევო. ბოსნია**

**საქართველო-ჰოლანდია 65:84**

18:16, 8:20, 19:25, 20:23

საქართველო: თავართქილაძე (29 წთ, 10ქ, 6მ, 4პ, 3ჩ), ჩიკვილაძე (13 წთ, 5ქ), ბოქოლიშვილი (27 წთ, 9ქ), იოსელიანი (21 წთ, 6ქ), დვალიშვილი (35 წთ, 15ქ), ბაქრაძე (15 წთ, 5ქ), სანაძე (1 წთ), ლომოური (9 წთ, 2ქ), თენიეშვილი (31 წთ, 8ქ), ჯავახიშვილი (5ქ, 5ფ), სულაბერიძე (5ქ)

ჰოლანდია: ვან ვუგტი (24ქ), ტოუ (12ქ), ტრეფერსი (11ქ), ვან დერ ჰორსტი (10ქ)

**26 ივლისი. სარაევო. ბოსნია**

**საქართველო-რუმინეთი 79:58**

23:21, 15:15, 19:12, 22:10

საქართველო: თავართქილაძე (29 წთ, 9ქ, 5მ, 7პ, 4ჩ), ჩიკვილაძე (21 წთ, 6ქ), ბოქოლიშვილი (32 წთ, 21ქ, 4პ), იოსელიანი (15 წთ, 6ქ, 2დ), დვალიშვილი (31 წთ, 18ქ, 11მ, 3დ), ბაქრაძე (12 წთ, 5ქ), ლომოური (8 წთ, 2ქ), თენიეშვილი (27 წთ, 7ქ), ჯავახიშვილი (15ქ, 5ქ, 5ფ), სულაბერიძე (9ქ)

რუმინეთი: ტიბიმა (14ქ), კრაინიჩი (12ქ), მოგოსანუ (7ქ), აკტასი (6ქ)

| სატურნირო მდგომარეობა | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. შოტლანდია | 4 | 2 | 2 | 6 |
| 3. ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 5 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 2 | 4 |
| 5. რუმინეთი | 3 | 0 | 3 | 3 |

**დღეს**

23:30 საქართველო-ჩერნოგორია

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა გასულ უქმეებზე ორი მატჩი გამართა. ისინი ერთმანეთისგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ცა და დედამიწა. შაბათს ჰოლანდიასთან **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებს არაფერი გამოუვიდათ. ჰოდა, რამდენადაც ცუდად ითამაშეს ნიდერლანდელებთან, ასე კარგად გამოიყურებოდნენ რუმინეთთან.

ჯერ ჰოლანდიასთან მატჩს შევეხოთ. ჩვენი ნაკრების ლიდერმა **ბექა ჩიკვილაძემ** მხოლოდ 13 წუთი ითამაშა, თუმცა მისგან ლიდერობა ვერავინ გადაიბარა და შეტევაში არაფერი გამოგვივიდა. დაცვაში მეორე პერიოდში ჩავარდნამ კი მატჩის ბედი მეტოქის სასარგებლოდ გადაწყვიტა: მეორე ათწუთეული 8:20 დავთმეთ და მას შემდეგ ველარ დავეწიეთ. ან როგორ უნდა შეგვემცირებინა სხვაობა, როცა მოხსნებშიც ვერას გავხდით (33:45), სამიანებშიც (3:6) და ორქულიანებშიც (22:26).

მეორე დღეს, რუმინეთთან კი ქართველებმა საკუთარი თამაში იპოვეს. ჭაბუკებმა გვიჩვენეს, რომ გუნდურად თამაში შეუძლიათ: პერიმეტრიდან **მერაბ ბოქოლიშვილმა** გაიბრწყინა, რომელმაც მესამე პერიოდში, გადამწყვეტ მომენტში ორი სამქულიანი გამოიყენა და თანაგუნდელები 53:42 დააწინაურა. ამ სამქულიანებს ფარქვეშიდან **გოგა ჯავახიშვილის** რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა მოჰყვა. გამთამაშებელმა **ტატო თავართქილაძემ** პასები უხვად არიგა (7), ხოლო მეოთხე რაუნდის დასაწყისში სამქულიანით სხვაობა 12 ქულამდე გაზარდა და მატჩის ბედიც ნაადრევად გადაწყვიტა. ზემოთ სამი კალათბურთელი ჩამოვთვალეთ. მეოთხემ, **აკაკი დვალიშვილმა**, ბოქოლიშვილის დარად საკუთარი თამაში სწორედ რუმინეთთან იპოვა და ორმაგი დუბლი შეასრულა – 18 ქულა, 11 მოხსნა. რუმინეთს სწორედ ფარქვეშ ვაჯობეთ – 42 მოხსნა მივითვალეთ, მაშინ, როცა მეტოქემ ბურთი სულ 23-ჯერ მოხსნა.

შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს, ორი მატჩი წააგეს და მესამე მოგებულ შეხვედრაზე ასე აღტაცებით რა გალაპარაკებთო. საქმე გამარჯვებაში კი არა, არამედ თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაშია. ქართველები აქამდე ერთგვარად შებოჭილები იყვნენ. კარგი ტყორცნის მქონე მერაბ ბოქოლიშვილი 10 ქულამდეც ვერ ადიოდა, საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მთავარი მომხსნელი დვალიშვილი 10 მოხსნამდე ვერ უწევდა, რუმინეთთან კი მათთან ერთად მთელი გუნდი გაიხსნა და პირველ რიგში გუნდური თამაშით გაიმარჯვა. დღეს ჩვენი 18-წლამდელები ჯგუფის ლიდერ ჩერნოგორიას ხვდებიან, რომელმაც ქართველთა მძლეველ შოტლანდიას 100:44 აჯობა. ვნახოთ, ათამაშებული საქართველოს ნაკრები ექს-იუგებს რას დაუპირისპირებს.

...ელიტისთვის ბრძოლას ჯგუფის საუკეთესო ორეული აგრძელებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**




აკაკი დვალიშვილმა (ბურთით) რუმინეთთან ორმაგი დუბლი (18 ქულა, 11 მოხსნა) მიითვალა

## ჭადრაკი

# გაგუნაშვილის კვებეკური ვერცხლი

კანადის ქალაქ კვებეკში დასრულებულ საჭადრაკო ტურნირში მეორე ადგილი 24 წლის ქართველმა დიდოსტატმა **მერაბ გაგუნაშვილმა** (2574) დაიკავა. მერაბს ეს წარმატება დაახლოებით 14 სარეიტინგო ქულას შესძენს, დღეისათვის კი ის ქართველთა შორის მე-9 ადგილზეა მსოფლიოს კლასიფიკაციაში. მეორე ადგილთან ერთად ჩვენებურს საპრიზო ფონდიდან წილად 700 დოლარი შეხვდა. კვებეკის ღია ჩემპიონატში 20 მოჭადრაკე თამაშობდა, აქედან 11 დიდოსტატი. ქართველმა ტურნირი 6 ქულით დაასრულა (9 შესაძლებლიდან), ისევე, როგორც დიდოსტატმა **ანტონ კოვალიოვმა**. ჩვენებურს უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა, კვებეკის ჩემპიონი კი 6,5 ქულით **ვლადიმირ გეორგიევი** გახდა.

საბერძნეთის ქალაქ პალეოხორაში მიმდინარეობს მე-2 საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 8,3 ათასი ევროა. ამ ტურნირში ქართველი დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი** (2605) მონაწილეობს, რომელსაც საქართველოში მე-4 რეიტინგი აქვს. 6 ტურის შემდეგ გელაშვილს 4,5 ქულა აქვს და რუს ლიდერებს, **ანდრეი რიჩაგოვსა** და **ევგენი ნაყერს** თითო ქულით ჩამორჩება. მე-7 ტურში გელაშვილი თეთრებით ინდოელ საერთაშორისო ოსტატ **ჰარიკა დრონოვანის** ეთამაშება.

ანდორაში დასრულდა 27-ე საერთაშორისო პირველობა, სადაც **ანა მათნაძე** და **სოფიკო გურამიშვილი** თამაშობდნენ. მათნაძე ბოლო ტურში შავებით დაუზავდა **კელკაკ აბიშეკს** და 5 ქულა მოაგროვა. ქალთა შორის დიდოსტატი სოფიკო გურამიშვილი თეთრი ფიგურებით **ლიზა შუტს** დაუზავდა და 5,5 ქულა დააგროვა. 7,5 ქულით ჩემპიონი ფრანგი დიდოსტატი **რომენ ედუარდი** გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## საწყლოსნო სახეობები

# 6 წამით უარესი

რომში საწყლოსნო სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მოცურავეები ჩაერთვნენ ასპარეზობაში. ქართველი წყალმხტომელებისგან ესტაფეტა ოლიმპიელმა **ირაკლი რევიშვილმა** გადაიბარა. გუშინ მან 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში იასპარეზა. ირაკლი მე-6 საკვალიფიკაციო ჰითში მონაწილეობდა, მე-9 ბილიკზე. საბოლოოდ, ჩვენებურმა 4 წუთი და 5,18 წამი შედეგი აჩვენა, რაც საერთო ჯამში 94 მონაწილეს შორის 58-ე ადგილს ეყო. ეს შედეგი მის მიერ სალიცენზიო ტურნირზე მიღწეულს თითქმის 6 წამით ჩამორჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მძლეოსნობა

# რიგიშვილმა რიგიანად ვერ ისროლა

სერბულ ნოვი სადში დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მძლეოსნობაში, სადაც სამი ქართველი ათლეტი მონაწილეობდა. მორბენალ **ენდრიკ ზილბერშტეინის** გამოსვლის შესახებ უკვე გაუწყეთ. შაბათს 19 წლის ბადროს მტყორცნელმა **სალომე რიგიშვილმა** სცადა ბედი. მისი კარიერის შედეგი 48,20 მეტრია. ნოვი სადში სალომემ საკუთარ რეკორდს თითქმის 4 მეტრი დააკლო, ბადრო მესამე ცდაზე 44,63 მეტრზე გადააგდო, რაც საბოლოო ჯამში მე-18 ადგილს ეყო. სულ ამ დისციპლინაში 22-მა მძლეოსანმა იასპარეზა. საკვალიფიკაციო ტურნირში გამარჯვებულ ხორვატ **სანდრა პერკოვიჩს** ჩვენებური 11,5 მეტრით ჩამორჩა.

გუშინ ბირთვის მკვრელმა **გიორგი ბედოშვილმა** ნოვი სადში კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა - მეორე ცდაზე 6-კილოგრამიანი ბირთვი 17,36 მეტრზე ისროლა. მიუხედავად ამისა, ბედოშვილმა კვალიფიკაცია ვერ გაიარა, 25 მონაწილეს შორის მე-19 ადგილი დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემასთან პირისპირ

# ჭიდაობის ქალაქი პრობლემებს ეჭიდავება

■ გორში მინისტრის დაპირების იმედი აქვთ

■ რატომ არ არის კანონში განსაზღვრული მწვრთნელის სტატუსი და რატომ წარმოადგენენ მწვრთნელები დაუცველ ფენას?

დიდი ხანია, გორელი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები არადამაკმაყოფილებელ სავარჯიშო პირობებს უჩივიან. ამის თაობაზე არაერთხელ ჩვენს გაზეთსაც დაუწერია. ათ წელიწადზე მეტია, ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების ჩინოსნები ადასტურებენ, რომ დარბაზს მიხედვა სჭირდება, თუმცა წლები გადის, მდგომარეობა კი უცვლელი რჩება. არადა, აქაურ მოჭიდავეთა წარმატებები საერთაშორისო არენაზე დღესაც თვალსაჩინოა. მთავარი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი** წლების განმავლობაში შეძლებისდაგვარად უმკლავდებოდა პრობლემებს.

ბოლო ხანებში კი მდგომარეობის გამოსწორების იმედი გაჩნდა. თავდაპირველად გორელ ფალავანთა მთავარ მწვრთნელს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის სავარძელში სულ რამდენიმე დღის განმავლობაში მყოფი **გრიგოლ ვაშაძე** შეპირდა საკითხის გადაწყვეტას. მაგრამ ბატონი გრიგოლი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს.

ცოტა ხნის წინათ თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შემდეგ ახალი მინისტრი, **ნიკა რურუა** შეხვდა ორივე ნაკრების სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს. ერთად საუბარი შეეხო ინფრასტრუქტურის საკითხსაც. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გეწაძემ** წამოწიეს გორის დარბაზის თემა. სხირელმა კი რიტორიკულ კითხვაში მოკლედ ჩამოაყალიბა სათქმელი: *„ქალაქი, საიდანაც სამი წევრი იყო პეკინის ოლიმპიადაზე წარმოდგენილი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ხუთკაციან გუნდში, იმსახურებს თუ არა ნორმალურ დარბაზს?“* მინისტრს ისიც მოახსენეს, რომ გორი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა როგორც პირველ, ისე ყველა ასაკობრივ ნაკრებს უდიდეს შევსებას აძლევს და აქაურები უთუოდ იმსახურებენ სავარჯიშო პირობების მოწესრიგებას. მინისტრი დაპირდა გორელებს, რომ ბიუჯეტში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გორში დარბაზის მშენებლობა.

ახლახან გამართულ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ყრილობაზე ნუგზარ სხირელმა კიდევ ერთი საკითხი წამოსწია, რაც, სხვათა შორის, საერთო პრობლემაა. მან კანონში მწვრთნელებისთვის პედაგოგის სტატუსის განსაზღვრა და სოციალური შეღავათები მოითხოვა.

*„ჩვენ ადრე გვერქვა პედაგოგები. ახლა მწვრთნელებს ეს სტატუსიც არ გვაქვს და შეიძლება ითქვას, რომ დაუცველი ფენა ვართ. დღესდღეობით პედაგოგებს აქვთ დაზღვევა, ხელფასის გეგმიური მატება. მწვრთნელებს კი არც ერთი. არც მუშების კატეგორიაში გავდივართ, არც მოსამსახურეების. ჩვენი ხელფასის დაწესების კრიტერიუმი არ არსებობს. გაუთვალისწინებელია სამუშაო სტაჟი. განსხვავება არც იმაშია, მთავარი მწვრთნელია თუ რიგითი, ჯილდო აქვს თუ არა. გათანაბრებული ვართ ყველა და შევყურებთ მუნიციპალიტეტს, თუ რას გაიმეტებს ჩვენთვის. ერთი მხრივ, არც მუნიციპალიტეტია დამნაშავე, არ არსებობს კანონი. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დადგინდეს მწვრთნელის მინიმუმი და მაქსიმუმი?“* — განაცხადა ჩვენთან საუბარში ნუგზარ სხირელმა.

**ვასილ ბალახაძე**

სუმოს სამყარო



# ბრწყინვალე ბაშო ტოჩინოშინისთვის

24 წლის მონღოლმა **მუნხბათ დავააჯარგალმა**, იგივე **ჰაკუჰომ** კარიერაში იმპერატორის თასი მეთერთმეტედ მოიგო. ნაგოიას ბაშოს ბოლო დღეს მან დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** დაამარცხა და სუპერტურნირი 15-დან 14 მოგებით დაასრულა. მეორე ადგილზე 13 მოგებით ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** გავიდა, მესამეზე კი - იაპონელი ოძეკი **კოტომიცუკი** (12 მოგება).

ეს ბაშო წარმატებული გამოდგა დასავლეთის მე-5 მაეგაშირა **ტოჩინოშინისთვის (ლევან გორგაძე)**, რომელმაც შეჯიბრება 9-6 ბალანსით დაასრულა. 21 წლის ლევან გორგაძე ზედიზედ მეორე ბაშოს ასრულებს 9 მოგებით, ჩვენებური რეიტინგში წინ წაიწევს - იგი მეორე მაეგაშირა გახდება (არის შანსი, პირველი მაეგაშირას რანგიც მიანიჭონ), ეს კი მის კარიერაში უდიდესი მიღწევა იქნება. სექტემბერში ლევანს მხოლოდ სუმოს ვარსკვლავებთან მოუწევს ჭიდაობა.

**კოკაი (ლევან ცაგურია)** ნაგოიას 5-10 ბალანსით დაემშვიდობა. შემოდგომის ბაშოს ჩვენებური მე-11 ან მე-12 მაეგაშირას რანგში შეხვდება და ელიტაში დარჩენისთვის იბრძოლებს. 22 წლის **თეიმურაზ ჯუღელმა** მაკუშიტას დივიზიონში ერთი ბრძოლაც მოიგო და 3-4 ბალანსით დაახლოებით მე-10 ნომრობამდე (ახლა მე-5 რიკიშია) მოუწევს დაქვეითება რანგით მესამე დივიზიონში.



| XIV დღე | |
|---|---|
| ჰაკუჰო (ი)-ჰარუმაფუჯი (ო) | ოკურიდაში |
| კოტოოშუ (ო)-ასაშორიუ (ი) | იორიკირი |
| კოტომიცუკი (ო)-კაკურიუ (ს) | იორიკირი |
| კაიო (ო)-ჩიოტაიკაი (ო) | ოკურიდაში |
| ბარუტო (მ3)-კისენოსატო (ს) | ცუკიოტოში |
| კოტოშოგიკუ (კ)-მიაბიამა (მ4) | ოშიდაში |
| ტოიოჰიბიკი (მ2)-კიოკუტენჰო (კ) | ოშიდაში |
| ტოჩიოძანი (მ2)-გოეიდო (მ1) | უვატედაშინაგე |
| ივაკიამა (მ3)-არანი (მ1) | იორიტაოში |
| კაკიძოე (მ8)-ტაკამისაკარი (მ4) | ოშიდაში |
| ამინიშიკი (მ5)-ტოჩინოშინი (მ5) | უვატედაშინაგე |
| ტამანოშიმა (მ6)-მოკონამი (მ7) | სოტოგაკე |
| ტაკეკაძე (მ9)-ბუშუიამა (მ6) | ჰატაკიკომი |
| ჰომაშო (მ15)-ტოიონოშიმა (მ7) | ჰატაკიკომი |
| კოკაი (მ8)-იოშიკაძე (მ12) | იორიკირი |
| ტოჩინონადა (მ9)-ვაკაკოიუ (მ16) | ცუკიოტოში |
| ასასეკირიუ (მ12)-ტოკიტენკუ (მ10) | უვატედაშინაგე |
| შოტენრო (მ10)-შიმოტორი (მ14) | ოშიტაოში |
| ფუტენო (მ13)-ტამავაში (მ11) | ჰიკიოტოში |
| ტოსაიუტაკა (მ14)-მასაცუკასა (ძ3) | იორიკირი |
| ჩიოვაკაჰო (ძ1)-კასუგაო (მ15) | იორიკირი |

| ბოლო დღე | |
|---|---|
| ჰაკუჰო (ი)-ასაშორიუ (ი) | შიტატენაგე |
| კოტოოშუ (ო)-ჰარუმაფუჯი (ო) | იორიკირი |
| კოტომიცუკი (ო)-კაიო (ო) | ოკურიდაში |
| ჩიოტაიკაი (ო)-კაკურიუ (ს) | ჰატაკიკომი |
| კისენოსატო (ს)-ამინიშიკი (მ5) | უვატენაგე |
| კიოკუტენჰო (კ)-ივაკიამა (მ3) | იორიკირი |
| ბარუტო (მ3)-კოტოშოგიკუ (კ) | ცურიდაში |
| არანი (მ1)-ტოიოჰიბიკი (მ2) | ჰიკიოტოში |
| გოეიდო (მ1)-ტაკამისაკარი (მ4) | იორიკირი |
| ტოჩიოძანი (მ2)-ბუშუიამა (მ6) | იორიკირი |
| მიაბიამა (მ4)-იოშიკაძე (მ12) | ცუკიოტოში |
| ტოჩინოშინი (მ5)-კასუგაო (მ15) | იორიკირი |
| შიმოტორი (მ14)-ტამანოშიმა (მ6) | კირიკაეში |
| ტოიონოშიმა (მ7)-მოკონამი (მ7) | იორიკირი |
| შოტენრო (მ10)-კოკაი (მ8) | ცუკიოტოში |
| ჰომაშო (მ15)-კაკიძოე (მ8) | ჰიკიოტოში |
| ტაკეკაძე (მ9)-ტოკიტენკუ (მ10) | ცუკიოტოში |
| ასასეკირიუ (მ12)-ტოჩინონადა (მ9) | იორიკირი |
| ტამავაში (მ11)-ჰოკუტორიკი (ძ4) | ოშიდაში |
| მასაცუკასა (ძ3)-ფუტენო (მ13) | უჩიგაკე |
| ტამაასუკა (ძ1)-ტოსაიუტაკა (მ14) | უვატენაგე |
| ჩიოვაკაჰო (ძ1)-ვაკაკოიუ (მ16) | ოკურიდაში |

შენიშვნა: *მარცხნივ გამარჯვებული რიკიში*

| სატურნირო მდგომარეობა | |
|---|---|
| 14-1 | ჰაკუჰო |
| 13-2 | კოტოოშუ |
| 12-3 | კოტომიცუკი |
| 11-4 | ბარუტო, ამინიშიკი, შოტენრო. |
| 10-5 | ასაშორიუ, ჰომაშო. |
| 9-6 | ჰარუმაფუჯი კისენოსატო **ტოჩინოშინი** ტამანოშიმა ტოკიტენკუ ასასეკირიუ შიმოტორი |
| 8-7 | კაიო, ჩიოტაიკაი, კოტოშოგიკუ, მიაბიამა, ტოიონოშიმა, ტაკეკაძე, ტოსაიუტაკა, კასუგაო. |
| 6-9 | კიოკუტენჰო, ტაკამისაკარი, მოკონამი, კაკიძოე, ტოჩინონადა, იოშიკაძე, ფუტენო. |
| 5-10 | კაკურიუ, გოეიდო, ივაკიამა, ბუშუიამა, კოკაი, ტამავაში. |
| 4-11 | არანი, იამამოტოიამა, ვაკაკოიუ. |
| 3-12 | ტოიოჰიბიკი |
| 2-13 | ტოჩიოძანი, დეჯიმა. |

**ტიტულები**

**იმპერატორის თასი**
*ჰაკუჰო (მე-11)*
**ბრწყინვალე ასპარეზობა:**
*არავის*
**მებრძოლი სული:**
*შოტენრო (პირველად)*
**ტექნიკური ოსტატობა:**
*ამინიშიკი (მე-4)*
**ჟიურის ჩემპიონი:**
*ვაკანოსატო (მე-4)*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტი დევნილობაში


მერაბ მაისურაძე შეგირდებთან

# კრივით გაქარვებული ტკივილი

დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებთ ცნობილ მიზეზთა გამო უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში არათუ სპორტის, ხშირად საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისთვისაც უწევდათ ბრძოლა. მიუხედავად სიძნელეებისა, შიდაქართლელები მაინც ცდილობდნენ ალეზარდათ მოჭიდავეები, ფეხბურთელები, მოკრივეები. შარშანდელი აგვისტოს საომარ მოქმედებებამდე სოფელ ერედვში რამდენიმე წელიწადი ფუნქციონირებდა კრივის სექცია, რომელიც ცხინვალიდან 90-იანი წლების დასაწყისში დევნილმა მოკრივემ **მერაბ მაისურაძემ** ჯერ კიდევ 1997 წელს დააარსა. ენთუზიაზმით მომუშავე, კრივზე შეყვარებული ახალგაზრდა მწვრთნელი ოცამდე პატარა შეგირდს სამი წელი ავარჯიშებდა. ერედველი სპორტსმენები მონაწილეობდნენ ქვეყნის ასაკობრივ პირველობებში, გამოდიოდნენ ტურნირებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და წარმატებებსაც აღწევდნენ.

გარკვეული ხნით შეწყვეტილი მუშაობა 2004 წელს სახელმწიფოს დახმარებით განახლდა. სწორედ მაშინ ერედვში ამოქმედდა სასპორტო სკოლა კრივის, ფეხბურთისა და ჭიდაობის სექციებით. მერაბ მაისურაძესთან ერთად ადგილობრივი მწვრთნელის, **ვანო ქრისტესიაშვილის** ხელმძღვანელობითაც ოცდაათამდე პატარა შეუდგა კრივის შესწავლას. ერთ წელიწადში **გიორგი ბერუაშვილი** საქართველოს ჩემპიონი გახდა. 2006 წელს **გიგა ქრისტესიაშვილმა** საერთაშორისო ტურნირზე აზერბაიჯანში მხოლოდ ფინალი დათმო, თურქეთში ანალოგიურ შეჯიბრებაზე კი პირველობა არვის დაუთმო. ერთი სოფლის მოკრივეთა ეს მიღწევები, ცხადია, საქმის წინსვლაზე მიუთითებდა, მაგრამ შარშან, აგვისტოში, ომი დაიწყო და კრივისთვის აღარავის ეცალა.

... საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ერედველების ნაწილი წეროვანში ჩაასახლეს, ნაწილი — გორში. ვანო ქრისტესიაშვილი რამდენიმე შეგირდთან ერთად ცდილობს წეროვანში კრივის სექცია კვლავაც აამოქმედოს. გორში დროებით ჩასახლებულმა მერაბ მაისურაძემ და მისმა ათამდე მოკრივემ კი რამდენიმე თვეა, ქალაქის კრივის სკოლას მიაკითხეს და იქ განაგრძობენ ვარჯიშს.

*„სკოლის დირექტორმა ბექა ლობჟანიძემ დარბაზი შემოგვთავაზა, საკრივო ხელთათმანებით კი ვარიანის კრივის კლუბი დაგვეხმარა. დიდი მადლობა მათ. ბუნებრივია, მადლიერი ვარ ხელისუფლების, რადგან მწვრთნელებს ის ხელფასი, რაც ერედვში მუშაობისას გვქონდა, შენარჩუნებული გვაქვს. თუმცა პრობლემად რჩება ხარჯები, რომელიც შეჯიბრებებზე მონაწილეობის მისალებად გვესაჭიროება. ძნელია, დევნილთა ოჯახებს შვილების შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად თანხა სთხოვო. არადა, ჩვენი მუშაობის ხარისხზე ბოლოდროინდელი წარმატებებიც მეტყველებს“* — ამბობს მერაბ მაისურაძე.

უკანასკნელ ხანს მიღწეული წარმატებებიდან კი ალსანიშნავია ორი თვის წინათ ჭიათურაში მოპოვებული ორი მეორე ადგილი (**ჯოტო თაბოშვილი, თორნიკე არბოლიშვილი**), ხოლო ფოთში ზურაბ სარსანიას სახელობის ტურნირზე ერედველები - გიორგი მაისურაძე და ჯოტო თაბოშვილი პირველ ადგილზე გავიდნენ, თორნიკე არბოლიშვილმა კი მესამე ადგილი დაიკავა.

**ვასილ ბალახაძე**

ავტორის ფოტო

რაგბი ლეგიონერები

# პირველი მოთელვა, პირველი შედეგები

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ პირველ დივიზიონში გათამაშება წლეულს უჩვეულოდ ადრე, 14 აგვისტოს დაიწყება. გუნდები სატრანსფერო ციებ-ცხელების შემდეგ წვრთნას შეუდგნენ და ამ უქმეებზე პირველი საკონტროლო შეხვედრებიც გამართეს.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა“, რომელიც სეზონის წინ რამდენიმე ექსტრაკლასის მორაგბით გაძლიერდა, „სტად დე მაიოლზე“ **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივს“ უმასპინძლა და 9:3 დაამარცხა. ტულონელების ცხრა ქულა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბის **ჯონი ვილკინსონის** ანგარიშზეა. მას სამჯერ მიეცა მეტოქის კარის დალაშქვრის საშუალება საჯარიმო დარტყმით და სამივეჯერ ზუსტად გაისარჯა.

ქუბრიაშვილმაც და ხინჩაგიშვილმაც ძირითად შემადგენლობებში დაიწყეს თამაში და ორივე მატჩის მეორე ნახევარში შეცვალეს.

საკუთარ მოედანზე უმასპინძლა მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ნარბონს“ **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანმა“. ჩვენებურთა გუნდმა მეტოქე საკმაოდ იოლად - 37:3 დაამარცხა.

გუნდების მწვრთნელთა შეთანხმებით თამაში სამ ოცდაათწუთიან ტაიმად წარიმართა, რაც ჩემპიონატისთვის მზადების პროცესში საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა. შველიძემ პირველ ტაიმში ითამაშა, შეყლაშვილი კი მოედანზე მესამე ოცდაათწუთეულში გამოჩნდა.

მაზამეში აგრძელებს საწვრთნელ შეკრებას **მამუკა გორგოძის** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე“. ჩვენებურთა გუნდმა აქ საკონტროლო შეხვედრა ფრანგული რაგბის ფლაგმანთან, „ტულუზთან“ გამართა და 3:41 დამარცხდა.

ჩხაიძე „მონპელიეს“ ძირითად შემადგენლობაში იყო და რვა ნომრის პოზიციაზე ითამაშა. გორგოძე შეხვედრაში მეორე ტაიმიდან ჩაერთო.

**საფრანგეთი: საკონტროლო შეხვედრები:** მონპელიე - ტულუზი 3:41, ტულონი - ბრივი 9:3, მონტობანი - ნარბონი 37:3.

**31 ივლისი:** ლიონი - ბურგუენი, ბიარიცი - კლერმონი, ტულონი - მეტრო რასინგი, ბრივი - მონტობანი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

რაგბი. სამი ერი


ბურთით ბოკეს ბურჯი ტენდაი მთავარირა

## პინარი თუ სტეინები, საკითხავი აი, ეს არის

**ს.აფრიკა-ზელანდია 28:19**

ს. აფრიკა (15-9) ფ.სტეინი, პიტერსენი, ფური, დეფილიერსი (ულიფიე 69), ჰაბანა, პინარი (მ.სტეინი 41), დიუპრე (იანარი 74). (1-8) მთავარირა, ბ.დიუპლესი (რალეპელი 79), ჯ.სმიტი (ი.დიუპლესი 65), ბოთა (როსუ 69), მეტფილდი, ბრიუსო, ჟ.სმითი, სპისი.

2ლ: პინარი, ფური. 6ს: პინარი, ფ.სტეინი (2), მ.სტეინი (3).

**ზელანდია** (15-9) მულიაინა, როკოთოკო, კ.სმითი (მაკალისტერი 76), ნონუ, სივივატუ, დონალდი, ლეონარდი (ვიპუ 49). (1-8) ვუდქოქი, ჰორი (მეალამუ 58), ტიალატა (ფრანკსი 41), თორნი, როსი (ითონი 65), კაინო. მაკქოუ, სოიალო (რიდი 53).

ლ: კ.სმითი. 4ს,გ: დონალდი

**მსაჯი.** ალან როლანი (ირლანდია)

სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრებმა სამი ერის გათამაშების მორიგ შეხვედრაში ზელანდიის ნაკრებს ბლუმფონტეინში უმასპინძლა და საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხა - 28:19.

ანგარიში შეცდომაში ნუ შეგიყვანთ. „ბოკეს" სათამაშო უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ზელანდიელებმა მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში მხოლოდ 48-ე წუთზე შეაღწიეს. ამას თან დაურთეთ აფრიკელთა ათი ნომრის **რუან პინარის** უხეიროდ დარტყმული სამი საჯარიმო, რომელთაგან ორი კარის ძელს გაარტყა და ერთიც გარდასახვა გააცუდა. ჯამში პინარმა გუნდს 11 ნაღდი ქულა დააკლო.

თამაშის წინ სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პიტერ დეფილიერსი** აცხადებდა:

*„ჩვენი სურვილია, ამ შეხვედრაში „ბოკე" აუტსაიდერად ითვლებოდეს. ზელანდიელებს ყოველთვის ანგარიშს ვუწევდით. ვერ წარმომიდგენია, თუ ვინმე ასე არ მოიქცეოდა. „ოლ ბლექსი" ყოველთვის კარგი გუნდი იყო და ამჟამადაც არის, რაც პირველ შეხვედრაში ავსტრალიელებთან დაპირისპირებამაც ნათლად წარმოაჩინა."*

დეფილიერსმა ასე კი თქვა, მაგრამ რეალობა სულ სხვა გამოდგა. „ბოკეს" ამ შეხვედრაში აუტსაიდერის არაფერი ეტყობოდა, რასაც ვერაფრით ვიტყვით ზელანდიელთა გუნდზე. სტუმრებს პირველ ტაიმში ფაქტობრივად ხეირიანი არაფერი შეუქმნიათ.

თუმცა, რაც უნდა საკვირველი იყოს, ანგარიში უკვე მე-4 წუთზე სწორედ „ოლ ბლექსმა" გახსნა. საჯარიმოდან ზუსტად **სთივენ დონალდი** გაისარჯა. მასპინძლება თანაფარდობა სამ წუთში აღადგინეს. ცენტრიდან საჯარიმო ფულ ბეკმა **ფრანსუა სტეინმა** გაიტანა - 3:3. ძნელი სათქმელია რატომ, მაგრამ ამის შემდეგ საჯარიმოებს მაინცდამაინც პინარს არტყმევინებდნენ, რომელმაც სამწუთიანი შუალედებით ორჯერ ზედიზედ ძელს გაარტყა ბურთი. მესამედ კი, უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

ამდენი წვალების შემდეგ პინარმა მაინც შეძლო და მე-18 წუთზე საჯარიმოდან ბურთი კარის ძელებს შორის გაატარა - 6:3. ზელანდიელები მთელ დროს მოედნის საკუთარ ნახევარზე, დაცვაში ატარებდნენ და საკმაოდ ხშირადაც ჯარიმდებოდნენ.

25-ე წუთზე „ბოკეს" მორიგი შეტევა საკმაოდ ეფექტური ლელოთი ისევ იმ „ავადსახსენებელმა" პინარმა დაასრულა. აფრიკელების მორკინალები მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანს მარჯვენა ფრთიდან უტევდნენ. რამდენიმე მოკლე დარტყმით ლელოს მჭიდროდ მიუახლოვდნენ, მაგრამ მერე მოულოდნელად ცხრა ნომერმა **ფური დიუპრემ** ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანა. აქ ზელანდიელთა ხაზი შუამარბმა **ჟან დეფილიერსმა** გაჭრა. ბოლო მომენტში მისი შებოჭვა მაინც მოახერხეს და წაქცეულმა ჟანმა დროულად მოძებნა პინარი, რომელმაც მეტოქის მთელ დაცვის ხაზს შემოურბინა და ლელო კიდესთან ახლოს გაიტანა. გარდასახვაც თვითონვე დაარტყა და ბურთი კარს ააცილა - 11:3.

რვა წუთის შემდეგ საჯარიმოს დარტყმა აფრიკელებმა ისევ ფრანსუა სტეინს ანდეს და ამანაც მოლოდინი გაამართლა - 14:3. პირველი ნახევარი ასე დასრულდა.

მეორე ტაიმში რუან პინარის ადგილი თავიდანვე **მორნი სტეინმა** დაიკავა და მისი პირველივე მცდელობა საჯარიმოს გატანისა 42-ე წუთზე წარმატებული გამოდგა - 17:3.

ზელანდიის ნაკრები მხოლოდ ამის მერეღა გამოცოცხლდა. 48-ე წუთზე აფრიკელთა მცონარობით სტუმართა გუნდის შუამარბმა **კონრად სმითმა** ისარგებლა. შეტევის მარცხენა ფრთიდან მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გამოთამაშებული ბურთი, მან ოცდაორმეტრიანი ზონის ხაზთან მიიღო და ლელოსკენ წამზე უსწრაფესად გაიჭრა. გზად მოწინააღმდეგის ოთხი მორაგბე ჩამოიცილა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. გარდასახვა დონალდმა ზუსტად დაარტყა - 10:17. მანვე ოთხ წუთში საჯარიმოდანაც გაიტანა და სხვაობა ანგარიშში ოთხ ქულამდე შემცირდა - 13:17.

ზელანდიას მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდა. მომდევნო ათ წუთში გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს-20:16. „ოლ ბლექსი" საგრძნობლად გააქტიურდა, მაგრამ 72-ე წუთზე ორი საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, რაც მარცხის ფასად დაუჯდათ.

სტუმრების შეტევის მე-11 ფაზა იყო, **პირი ვიპუმ** ბურთი შეცვლაზე შემოსულ **ჯეისონ ითონს** რომ გადააწოდა. ამან ბურთი ვერ დაიმორჩილა და აფრიკელთა ნადავლი შეიქნა. მასპინძელთა რვა ნომერმა **პიერ სპისმა,** რომელიც მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო, ბურთი ფეხით ზელანდიელთა მოედნის ნახევარზე შეაცურა. თუმცა, აქ მას ბრძოლაში ისევ სტუმრები დაეუფლნენ. ვიპუმ ამჯერად **რიჩი მაკქოუს** გადააწოდა უხეიროდ. ზელანდიელთა ლიდერს ბურთი ხელიდან გაუვარდა. ის მორნი სტეინმა აიტაცა და მარჯვნივ მოკლე ფრთაზე, კიდესკენ შუამარბ **ჟაკ ფურის** გადააწოდა. ამ უკანასკნელს ფაქტობრივად წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია და ლელო ალამთან ახლოს გაიტანა. მორნი სტეინმა რთული მდგომარეობიდან ვერ გარდასახა - 25:16.

მატჩის დასრულებამდე გუნდებმა კიდევ ერთხელ გაცვალეს საჯარიმოები და „ბოკემ" დამსახურებული გამარჯვება მიითვალა - 28:19.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ს.აფრიკა | 1 | 1 | 0 | 0 | +9 | 4 |
| 2.ზელანდია | 2 | 1 | 0 | 1 | -3 | 4 |
| 3.ავსტრალია | 1 | 0 | 0 | 1 | -6 | 1 |

**1 აგვისტო**

**ს.აფრიკა-ზელანდია**

კალათბურთი

## ანდრე მილერი პორტლენდშია

"პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა" ახალი სეზონისთვის მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა. ამ გუნდთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა მცველმა **ანდრე მილერმა**, რომელიც მომავალი სამი სეზონის განმავლობაში 21 მილიონ დოლარს მიიღებს.

2006 წლიდან მოყოლებული, მილერი "ფილადელფია სიქსერზის" შემადგენლობაში თამაშობდა და ორწელიწად-ნახევარში არც ერთი მატჩი არ გამოუტოვებია. გასულ ჩემპიონატში მისი შედეგიანობა 16.3 ქულას უდრიდა.

■ ■ ■

პარალელურად, "პორტლენდი" პუერტორიკოელი **კარლოს აროიოს** კონტრაქტზე მუშაობს, რომელიც თელ-ავივის "მაქაბიდან" ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დაბრუნებას ლამობს. კლუბის ხელმძღვანელობამ და კალათბურთელის აგენტმა **ლეონ როუზმა** უკვე გამართეს მოლაპარაკებები და აროიო ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებას იმედოვნებს.

შარშანდელ ევროლიგაში აროიომ საშუალოდ 14.6 ქულა და 4.1 პასი დააგროვა.

**გია თვალაბეიშვილი**



## ტაუმ სახელი შეიცვალა

ესპანეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ევროლიგის "ოთხთა ფინალის" მონაწილე "ტაუგრესი" მომავალ სეზონში ახალი სახელით ითამაშებს. კლუბის სპონსორი გახდა ესპანური ბანკი Caja Laboral და ქალაქ ვიტორიას გუნდი შესაბამისი სახელით - "კახა ლაბორალით" უნდა მოვიხსენიოთ.

ბანკთან კონტრაქტი ოთხწლიანია. გუშინ გაიმართა ოფიციალური პრეზენტაცია, სადაც წარმოადგინეს გუნდის ახალი სახელწოდება, ლოგო და ფორმა, რომელთაც გაისად "კახა ლაბორალი" ითამაშებს.

■ ■ ■

ამასობაში, ყოფილი "ტაუგრესის" ერთ-ერთი ლიდერი, არგენტინელი **პაბლო პრიჯიონი** (32 წლის, 186 სმ) თავისი ამჟამინდელი კლუბის დატოვებას აპირებს. ამ მცველით "ნიუ იორკ ნიქსი" დაინტერესდა. ეს ინფორმაცია კალათბურთელის აგენტმა გაავრცელა, თუმცა იქვე დაამატა, რომ არგენტინელს მადრიდის "რეალში" თამაში ურჩევნია. პრიჯიონის 2009-10 წლების სეზონის ბოლომდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი ვიტორიულ კლუბთან.

გასულ სეზონში არგეტინელმა გამთამაშებელმა 21 მატჩი ჩაატარა ევროლიგაში და საშუალოდ 6.4 ქულა და 4.3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

**გია თვალაბეიშვილი**

ფორმულა 1

## პიკესაც უშვებენ

### ალონსომ ფერარი აღიარა




ინგლისური ჟურნალი "ავტოსპორტი" ექსკლუზიურ ინფორმაციას ავრცელებს: უნგრეთის გრან-პრის შემდეგ "რენოს" ხელმძღვანელობა გუნდის მეორე პილოტს, ბრაზილიელ **ნელსინიო პიკეს** დაითხოვს.

გამოცემა წერს, რომ "რენოს" შეფ **ფლაივო ბრიატორესა** და მრბოლელის მამის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ნელსონ პიკეს** შორის კონფლიქტი მოხდა, რომელიც "ნიურნბურგრინგზე" გერმანიის გრან-პრის დროს დაიწყო. მაშინ ბრიატორემ გამოაცხადა, რომ გერმანიის რბოლა ბოლო იქნებოდა ახალგაზრდა პილოტისთვის, რაზეც უფროსმა პიკემ უპასუხა, რომ მის ვაჟსა და "რენოს" ლიდერ **ფერნანდო ალონსოს** სხვადასხვა მოდიფიკაციის მანქანა ჰყავდათ და ნელსინიო ვერ შეძლებდა თავისი ბოლიდით მაღალი შედეგების მიღწევას.

სხვათა შორის, უნგრეთის გრან-პრიზე ალონსოსა და პიკეს ერთნაირი მანქანები ჰყავდათ და კვალიფიკაციაზე ესპანელმა პირველი ადგილი დაიკავა, ნელსინიო კი მე-15 პოზიციას დასჯერდა.

თუ ფრანგული საჯინიბო მაინც გადაწყვეტს ბრაზილიელის გაშვებას, სავარაუდოდ, მას **რომენ გროჟანი** შეცვლის, რომელიც ამჟამად მეორე ადგილს იკავებს GP2-ის სერიაში.

■ ■ ■

ამასობაში, ნელსინიო პიკეს თანაგუნდელმა ფერნანდო ალონსომ ინტერვიუ მისცა იტალიურ "კორიერე დელა სერას", სადაც გაკვრით მიანიშნა იმის შესახებ, რომ ის შეიძლება 2010 წელს მაინც გახდეს "ფერარის" პილოტი.

თავდაპირველად, პირდაპირ დასმულ შეკითხვაზე - შეუძლია თუ არა გამორიცხოს მომავალ წელს "ფერარიში" გადასვლა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა უპასუხა: "არა". შემდეგ ფერნანდოს ჰკითხეს, როდის გასცემს ამ კითხვას სრულ პასუხს, რათა შეწყვიტოს ყოველგვარი ჭორები და სპეკულაციები ამ საკითხთან დაკავშირებით. ამაზე ესპანელმა უპასუხა: *"ვინ იცის? შესაძლოა, სამ-ოთხ თვეში, ან იქნებ ერთ წელიწადში"*.

**გია თვალაბეიშვილი**

ალპინიზმი

## ტრაგედია მთებში

პაკისტანის მთებში დაიღუპა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქალი მთამსვლელი - იტალიელი **კრისტინა კასტანია.**

31 წლის კასტანიას, რომელიც წარმოშობით ქალაქ ვიჩენცადანაა, რამდენიმე "რვაათასიანი" აქვს დაპყრობილი. ის ბროდ-პიკის მწვერვალიდან დაშვებისას მოწყდა კლდეს და უფსკრულში გადაიჩეხა. ამ მთის სიმაღლე 8047 მეტრია და ის მე-12 ადგილს იკავებს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალებს შორის.

ტრაგედია ალპინისტის პარტნიორის **ჯანპაოლო კაზაროტოს** თვალწინ მოხდა, რომელმაც რაციით შეატყობინა მომხდარის შესახებ ქვემო ბანაკს. ჯერჯერობით ალპინისტებმა არ იციან; მიაღწევენ თუ არა იმ ადგილს, სადაც იტალიელი ალპინისტი ჩავარდა. თავად კასტანიამ თავისი ბოლო ასვლის წინ შემდეგი შინაარსის წერილი დატოვა ბანაკში: *"თუ რამე შემემთხვა, დამტოვეთ იქ, სადაც მთამ მიხმო"*.

**გია თვალაბეიშვილი**

კალათბურთი

## მემფისს აივერსონი აღარ უნდა

"მემფის გრიზლისმა" შეწყვიტა მოლაპარაკებები თავისუფალ აგენტ **ალენ აივერსონთან.** Yahoo! Sports-ის ინფორმაციით, 34 წლის მცველს არ მოეწონა შეთავაზებული პირობები - "მემფისს" ერთი წლით სურდა აივერსონის გაფორმება და ამის სანაცვლოდ კალათბურთელისთვის 5 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. ამასთან, ალენს სათადარიგოთა სკამიდან უნდა დაეწყო შეხვედრები.

მიუხედავად იმისა, რომ "გრიზლისის" მფლობელ **მაიკლ ჰეისლის** სურდა აივერსონის შეძენა, ის შიშობდა, რომ ვეტერანის ჭირვეული ხასიათი და ლიდერობის ამბიციები ცუდ გავლენას მოახდენდა ახალგაზრდა მცველებზე - **ო ჯეი მაიოსა** და **მაიკლ კონლიზე.**

*"რატომ ვერ უნდა ხვდებოდეს დიდების დარბაზის მომავალი წევრი იმ გუნდის სასტარტო ხუთეულში, რომელიც პლეი ოფის საგზურისთვის ვერ იბრძვის?"* - ამბობს დასავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი გუნდის წარმომადგენელი.

## ობერტო ვაშინგტონში მიდის

არგენტინელმა ცენტრმა **ფაბისიო ობერტომ** შეთანხმებას მიაღწია "ვაშინგტონ უიზარდსთან". მხარეები ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებენ და ობერტო ორ მილიონ დოლარს მიიღებს.

"სან ანტონიოში" გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ, გასულ თვეს არგენტინელი "მილუოკიში" **რიჩარდ ჯეფერსონზე** გაცვალეს, შემდეგ "დეტროიტში" **ამირ ჯონსონზე.** მოგვიანებით, "პისტონზმა" ობერტოსთან კონტრაქტი გაწყვიტა და სამხრეთამერიკელი თავისუფალი აგენტი გახდა.

"ვაშინგტონის" გარდა, ობერტოს გადაბირებით "ლეიკერსი", "ფინიქს სანზი", "საკრამენტო კინგზი" და "ოკლაჰომა სიტი" იყვნენ დაინტერესებული.

ჩოგბურთი

## აშშ-ის ღია ნალბანდიანისა და ანჩიჩის გარეშე

არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა** და ხორვატმა **მარიო ანჩიჩმა** ოფიციალურად თქვეს უარი ამერიკის ღია პირველობაში თამაშზე.

ამერიკის ჩოგბურთის ასოციაციის ცნობით, ნალბანდიანი ჯერ ვერ მომჯობინდა ტრავმირებულ ბარძაყზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, რაც შეეხება ანჩიჩს, ის ვირუსული ინფექციის გამო არ აპირებს ნიუ იორკში გამგზავრებას.

ძირითად ბადეში ამ ჩოგბურთელებს ესპანელი **ივან ნავარო** და სლოვაკი **კაროლ ბეკი** შეცვლიან.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ექვმიტანილია დოპინგის მიღებაში



ავსტრიის მეორე ნომერმა **ტამირა პაჩეკმა** ეროვნული ანტისადოპინგო სამსახურის ინტერესი მიიპყრო. ეს ორგანიზაცია ეჭვობს, რომ 18 წლის ჩოგბურთელმა ზურგის ტრავმის მკურნალობისთვის ანტისადოპინგო წესები დაარღვია.

გასული წლის ბოლოს, WTA-ის რეიტინგის 59-ე ნომერმა ზურგის ტრავმის გამო ხერხემალზე ოპერაცია გაიკეთა, რომლის დროსაც საკუთარი სისხლის გადასხმა დასჭირდა. მარტივად რომ ვთქვათ, ჩოგბურთელის ორგანიზმიდან სისხლი აიღეს, რის შემდეგაც გამდიდრებული სუბსიდია უკან გადაუსხეს. ეს პროცედურა სპორტში აკრძალულია და ის ე. წ. "სისხლის დოპინგის" სახელით არის ცნობილი. ავსტრიულმა ანტისადოპინგო სააგენტომ ეს ფაქტი თავად სპორტსმენისგან შეიტყო და გამოძიება დაიწყო. პირველ რიგში, სააგენტო პაჩეკის ექიმს ჩამოართმევს ჩვენებას.

როგორც კი შეიტყო, რომ პროცედურა უკანონო იყო, ტამირამ მაშინვე საქმის კურსში ჩააყენა სააგენტო და განაცხადა, რომ არ იცოდა, თუ მკურნალობის ასეთი მეთოდი აკრძალული იყო.

მძლეოსნობა

# ისინბაევაც აგებს

სენსაციურად დასრულდა IAAF-ის სუპერგრანპრის გათამაშება ლონდონში. ქალებს შორის ჭოკით ხტომაში მოულოდნელად დამარცხდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რუსი **ელენა ისინბაევა**.

ლეგენდარული მძლეოსნის დამარცხება პოლონელმა **ანა როგოვსკამ** მოახერხა. ისინბაევამ საწყისი სიმაღლე - 4.68 მეტრი მხოლოდ მესამე ცდაზე აიღო, რის შემდეგაც სამი ცდა გააფუჭა 4.78 მეტრ სიმაღლეზე. როგოვსკამაც 4.68 მეტრზე გადებული თამასა გადალახა, მაგრამ მას ამისთვის ორი ცდის შესრულებამ მოუწია და ამის გამო გამოცხადდა გამარჯვებულად.

მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის წინ, ისინბაევა აშკარად ვერ არის ოპტიმალურ ფორმაში. ბოლო ტურნირებზე ის მოკრძალებულ შედეგებს აფიქსირებს, ახლა კი სეზონში პირველი მარცხიც იგემა. სპეციალისტები ელენას ცუდ გამოსვლას მუხლის ტრავმას აბრალებენ.



■ ■ ■

ლონდონში გამოდიოდა იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი**, რომელმაც მორიგ გამარჯვებას მიაღწია. ამჯერად მისი შედეგი არც ისე შთამბეჭდავი იყო - 9.91 წამი. ასეთ ნელ ტემპში პეკინის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონს წელს არ ურბენია.

ამ გარბენის დროს ბოლტი ერთადერთი იყო, ვინც 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში დაფარა, ამიტომაც უსაინს არ გაჭირვებია ფინიშზე პირველი მისვლა.

თუმცა ბოლტის მოყვარულებს იმ დღეს სულ სხვა ამბავი აინტერესებდათ. როგორც წინა ნომერში ვწერდით, დოპინგზე ჩავარდა ხუთი იამაიკელი სპრინტერი (ოთხი მამაკაცი და ერთი ქალი), რომელთა გვარები იქამდე არ დასახელდება, სანამ B სინჯის შედეგები არ გახდება ცნობილი.

თავდაპირველად გამოცხადდა, რომ დოპინგის მიღებაში მხილებული სპორტსმენები იამაიკის ნაკრების წევრები იყვნენ, მაგრამ მოგვიანებით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ წესის დამრღვევთა შორის ეროვნული გუნდის ლიდერები არ არიან.

შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადაზე იამაიკელმა მძლეოსნებმა ოქროს ექვსი მედალი მოიპოვეს.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იაპონია** | |
| ტოკიო-ჰიროშიმა | 0:0 |
| გამბა-ოიტა | 1:0 |
| ჯეფ იუნაიტედი-შიმიცუ | 1:2 |
| კაშიმა-კაშივა | 1:1 |
| ურავა-ნაგოია | 0:3 |
| კობე-ომიია | 1:2 |
| ნიიგატა-იამაგატა | 1:1 |
| ივატა-იოკოჰამა | 1:1 |
| კიოტო-კავასაკი | 3:1 |

| ფრენბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიოს ლიგა** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ბრაზილია-რუსეთი | 3:0 |
| სერბეთი-კუბა | 3:1 |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| რუსეთი-კუბა | 3:0 |
| **ფინალი** | |
| სერბეთი-ბრაზილია | 2:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰამბურგი** | |
| მატიო-კუევასი | 4:6, 6:3, 7:5 |
| დავიდენკო-ფერერი | 7:5, 7:6 |
| დავიდენკო-მატიო | 6:4, 6:2 |
| **ATP. ინდიანაპოლისი** | |
| კუერი-დანჩევიჩი | 6:4, 6:4 |
| ჯინეპრი-ისნერი | 6:4, 6:3 |
| კუერი-ჯინეპრი | 2:6, 4:6 |
| **WTA. ბად გაშტეინი** | |
| პეტკოვიჩი-შვედოვა | 6:2, 6:1 |
| ოლარუ-კორნე | 3:6, 7:5, 6:3 |
| პეტკოვიჩი-ოლარუ | 6:2, 6:3 |
| **WTA. პორტოროჟი** | |
| საფინა-ბრიანტი | 6:4, 6:3 |
| ერანი-ფოგელი | 6:1, 6:2 |
| საფინა-ერანი | 6:7, 6:1, 7:5 |

TV პროგრამა

**27 ივლისი. ორშაბათი**

**I არხი**

23:00 გოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:55 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-რეალი.
08:50 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
11:10 სასტვენი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ინტერი.
18:10 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:25 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-პორტუ.
01:25 საფეხბურთო ღამე.
01:55 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
03:35 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
05:25 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.

**EUROSPORT**

10:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ჩეხეთი.
11:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. II დღე. რომი. იტალია (LIVE).
13:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. I დღე. რომი. იტალია.
14:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა (სინქრონული). კაცები. 10 მ. ფინალი. რომი. იტალია.
15:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XXI ეტაპი. მონტერო ფოიონი-პარიზი.
16:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. საუკეთესო მომენტები.
17:00 ფეხბურთი. საქველმოქმედო მატჩი. ინგლისი-გერმანია.
18:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ესპანეთი-საფრანგეთი. უკრაინა (LIVE).
20:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. II დღე. რომი. იტალია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევროგოლი - ჯანლუიჯი ბუფონი.
22:15 მულტისპორტი.
22:30 პრო-რესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. უკრაინა-შვეიცარია. უკრაინა.
03:00 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
03:15 მულტისპორტი.

ჰოკეი

# ჰოსა ოთხ თვეს ვერ ითამაშებს

"ჩიკაგო ბლეკ ჰოქსის" სლოვაკმა ფორვარდმა **მარიან ჰოსამ** ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. ექიმების ვარაუდით, ჰოკეისტის გამოჯანმრთელებას დაახლოებით ოთხი თვე დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰოსას მომავალი რეგულარული სტარტის გამოტოვება მოუწევს.

*"ჩემს ოჯახთან და "ჩიკაგოს" ხელმძღვანელობასთან კონსულტაციის შემდეგ ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტე. "ბლეკ ჰოქსის" შემადგენლობაში დიდხანს თამაშს ვაპირებ, ამიტომაც ახალ გუნდში გამოსვლა სრულიად ჯანმრთელმა უნდა დავიწყო"*, - ამბობს სლოვაკი თავდამსხმელი.

მარიან ჰოსა ამ ზაფხულს გადავიდა" ჩიკაგოდან" "დეტროიტში". ახალ გუნდთან მან 12-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც 62.8 მილიონ დოლარს მიიღებს. მხარის ტრავმა სლოვაკმა პლეი ოფის ბოლო გათამაშებაში მიიღო.

ველოსპორტი

# ორგზის კონტადორი

ორგანიზატორების ჩანაფიქრით, წლევანდელი ტურ დე ფრანსის ბედი მეოცე ეტაპზე უნდა გადაწყვეტილიყო, რომლის ფინიშიც მო ვენტოს მთაზე იყო დაგეგმილი. უმაღლესი კატეგორიის სირთულის 20-კილომეტრიანი აღმართი ველომრბოლელებს შეტევის საშუალებას აძლევდა, მაგრამ ეტაპი ისეთი დაძაბული არ გამოვიდა, როგორც ამას გულშემატკივრები ელოდნენ. ტურის გამარჯვებულის ვინაობა წინა ეტაპებზე გაირკვა და ამიტომაც, გენერალური კლასიფიკაციის ლიდერებს უაზრო ბრძოლით თავი არ მოუკლავთ.

რამდენჯერმე **ფრენკ შლეკმა** შეუტია საერთო ჩათვლაში **ლენს არმსტრონგის** მესამე ადგილს, მაგრამ ამერიკელი წესრიგში იყო და ლუქსემბურგელი წინ არ გაუშვა. ამის შემდეგ, ფრენკის ძმამ **ენდი შლეკმა** შეამოწმა ტურის ლიდერის **ალბერტო კონტადორის** მზადყოფნა, მაგრამ მასაც არაფერი გამოუვიდა. ერთი პერიოდი "რკინის" ესპანელს თითქოს გაუჭირდა, თუმცა სულ მალე ჩვეულ რიტმში განაგრძო სვლა.

საბოლოოდ, უძლიერესთა ჯგუფმა თითქმის ერთდროულად გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მხოლოდ ბრიტანელი **ბრედლი უიგინსი** ჩამორჩა, რომელმაც ვერ შეძლო არმსტრონგთან გენერალური კლასიფიკაციის მესამე ადგილისთვის ბრძოლა. ასე რომ, ამ ეტაპის შემდეგ უძლიერესთა რიგებში არაფერი შეცვლილა.

რაც შეეხება ეტაპის გამარჯვებულს, ეს გახდა ესპანელი **ხუან მანუელ გარატე** - "ჯირო დ'იტალიას" ყოფილი "მთების მეფე". მან და ახალგაზრდა გერმანელმა **ტონი მარტინმა** გაქცევა სცადეს და ნახევარი წუთით ჩამოიტოვეს უკან უძლიერესთა ჯგუფი. ფინიშამდე 50 მეტრით ადრე გარატემ ტემპს მოუმატა, ტურის ყოფილმა საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლელმა მარტინმა კი ამ შეტევას ვერ უპასუხა და ესპანელმა ამ ტურში "რაბობანკს" პირველი გამარჯვება მოუტანა.

ეტაპის დასრულების შემდეგ, კონტადორმა აღიარა, რომ ის ძალიან გააწამა ენდი შლეკის შეტევებმა: *"ერთ მომენტში ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. ენდი კარგად გამოიყურებოდა. საერთოდ, ამ ტურში მან უშეცდომოდ იარა და ჩემი უპირატესობა ინდივიდუალურ რბოლებში დავაგროვე. ეს ლუქსემბურგელის მაღალ კლასზე მეტყველებს. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ის მთავარ ფავორიტებს შორის იქნება"*, - განაცხადა ტურის აწ უკვე ორგზის ჩემპიონმა კონტადორმა.

გუშინ კი ტურ დე ფრანსი ტრადიციულად პარიზში, ელისეს მინდვრებზე დასრულდა. კონტადორის გარდა, ფრანგული ველომარათონის გმირი გახდა ბრიტანელი **მარკ კავენდიში**, რომელმაც მეექვსე (!) ეტაპი მოიგო.

**XX ეტაპი**

**მონტელიმარ-მონ ვენტო. 167 კ**

1. **გარატე სეპა** (ესპ, რაბობანკი) - 4.39,21; 2. მარტინი (გერ, თიმ კოლუმბია) - +0,03; 3. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +0,38; 4. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - იგივე დრო; 5. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - +0,41; 6. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +0,43; 7. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - +0,46... 9. **ნიბალი** (იტა, ლიკუიგასი) - +0,58; 10. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - +1,03... 12. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - +1,42... 71. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - +9,36...

**XXI ეტაპი**

**მონტრე-პარიზი. 164 კმ**

1. **კავენდიში** (ბრიტ, თიმ კოლუმბია) - 4.02,18; 2. **რენშოუ** (ავსტრა, თიმ კოლუმბია) - იგივე დრო; 3. **ფარარი** (აშშ, გარმინ-სლიპსტრიმი) - იგივე დრო; 4. **ციოლეკი** (გერ, მილრამი) - იგივე დრო; 5. **ჰუტაროვიჩი** (ბლრ, ფრანსეზ დე ჟუ) - იგივე დრო; 6. **ჰუშოვდი** (ნორ, ჩერველო) - იგივე დრო... 39. **ნიბალი** (იტა, ლიკუიგასი) - იგივე დრო... 54. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - იგივე დრო; 55. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - იგივე დრო; 56. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - იგივე დრო... 62. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - იგივე დრო; 63. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - იგივე დრო... 97. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - იგივე დრო... 109. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - 85.48,35; 2. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +4,11; 3. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - +5,24; 4. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - +6,01; 5. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +6,04; 6. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - +6,42; 7. **ნიბალი** (იტა, ლიკუიგასი) - +7,35... 9. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - +14,16... 17. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - +26,21...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



# ლენსის მილიონიანი ველოსიპედი

ამერიკელი **ლენს არმსტრონგის** სარბოლო ველოსიპედი, რომელიც ბრიტანელმა მხატვარმა **დემიენ ჰერსტმა** გააფორმა, 2009 წლის ოქტომბერში Sotheby's-ის საქველმოქმედო აუქციონზე გაიყიდება. ვაჭრობა ნიუ ორკში გაიმართება. სააგენტო Bloomberg-ის მონაცემებით, ლეგენდარული სპორტსმენის ველოსიპედი მინიმუმ მილიონი დოლარი ელირება.

ჰერსტი ერთადერთი მხატვარი არ არის, ვინც ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონის ველოსიპედი მოხატა: საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა მიიღეს: **შეპარდ ფეირიმ, იოშიმოტო ნარამ, კენი შარფმა და მარკ ნიუსონმა.**

არმსტრონგის ფონდ LiveStrong-ს, რომელიც კიბოთი დაავადებულ ადამიანებს ეხმარება, მხარდაჭერა აღუთქვა ფრანგმა გალერისტმა **ემანუელ პეროტენმა.** მან საკუთარ გალერეაში თანამედროვე მხატვრების გამოფენა მოაწყო, სახელწოდებით - Stages და ნამუშევრების გაყიდვიდან შემოსული ფული - 3 მილიონი დოლარი ასევე LiveStrong-ის ფონდში გადარიცხა. გამოფენის მონაწილეებს შორის იყვნენ ისეთი პოპულარული მხატვრები, როგორებიც არიან **ედ რუში, რიჩარდ პრინსი, კრისტოფერ ვული...**

LiveStrong-ის მხარდასაჭერი აუქციონი 2 ოქტომბრისთვის არის დანიშნული: სწორედ ამ დღეს, 1996 წელს აღმოუჩინეს არმსტრონგს კიბო. ცუდი პროგნოზების მიუხედავად, ლენსმა მძიმე სენს სძლია და სწორედ ამის შემდეგ მოიგო შვიდჯერ მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ველომარათონი.

ფორმულა 1. უნგრეთის გრან-პრი

# მასა სიკვდილს გადაურჩა

## ლუის ჰემილტონი მწვერვალზე დაბრუნდა, რენო კი მომდევნო გრან-პრის გამოტოვებს

...

უნგრეთის გრან-პრი კინალამ დიდი ტრაგედიით დასრულდა. კვალიფიკაციის მეორე სეგმენტის დროს, „ჰუნგარორინგის“ მეოთხე მოსახვევში მძიმე ავარიაში მოყვა „ფერარის“ პილოტი **ფელიპე მასა**. მოულოდნელად, ბრაზილიელმა მანქანაზე კონტროლი დაკარგა და პირდაპირ შეასკდა საბურავების ბარიერს. საბედნიეროდ, დარტყმის ძალა საბურავებმა შეამცირა და მასა სწორედ ამან გადაარჩინა სიკვდილს.

ვიდეოჩანაწერში კარგად გამოჩნდა, რომ ფელიპემ ბოლიდზე კონტროლი მას შემდეგ დაკარგა, რაც თავში მოხვდა მის წინ მიმავალი **რუბენს ბარიკელოს** მანქანის დეტალი. როგორც შემდეგ გაარკვიეს, ეს იყო 800-გრამიანი ზამბარა. ამ დეტალის სიჩქარე საათში 240 კილომეტრი იყო, როცა ის მასას ჩაფხუტს მოხვდა. ბრაზილიელმა მაშინვე გონება დაკარგა და ავარიაც ამის გამო მოხდა.

ფელიპე დამოუკიდებლად ვერ ამოვიდა მანქანიდან. ის იქიდან ექიმების ბრიგადამ ამოიყვანა. მასა სასწრაფო დახმარების მანქანით ჯერ ტრასის სამედიცინო ცენტრში, შემდეგ კი ვერტმფრენით ბუდაპეშტის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

საავადმყოფოში მიყვანისას ფელიპე აზრზე იყო. სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ მასას შუბლი ჰქონდა გაჭრილი. მან თავის ქალის ტრავმა და ტვინის შერყევა მიიღო. უნგრელმა ექიმებმა ფელიპეს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს.

ბოლო ინფორმაციით, მასა ხელოვნური კომიდან დროებით გამოიყვანეს, კომპიუტერული ტომოგრაფია ჩაუტარეს და შემდეგ ისევ დააძინეს. ექიმები მიიჩნევენ, რომ ასეთი მდგომარეობა მინიმუმ 48 საათი გაგრძელდება - ეს ჩვეული მიდგომაა ასეთი ტრავმების დროს.

*„ტომოგრაფიამ ზუსტად ის შედეგი აჩვენა, რომელსაც ასეთი ტრავმის დროს უნდა ველოდოთ. საბედნიეროდ, ნევროლოგიურ ტრავმას გადავურჩით“*, - ამბობს ჰოსპიტალის მთავარი ექიმი **პიტერ ვასკო**.

კვირას, რბოლაში 19-მა პილოტმა მიიღო მონაწილეობა. მასას ინციდენტმა მთელი სარბოლო უიქენდი დაჩრდილა, არადა, გუშინდელ რბოლაში ბევრი საინტერესო მოხდა.

წლევანდელ სეზონში პირველად მოხდა, როცა ეტაპი ვერ მოიგო „ბრაუნ გრანპრის“ ან „რედ ბულის“ პილოტმა. ამჯერად ლიდერებში დაბრუნებული **ლუის ჰემილტონის** ჯერი დადგა. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა უმაღლეს დონეზე წარმართა რბოლა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

სტარტმა და საწყისმა წრეებმა კარგად დაგვანახვეს, თუ რატომ არ სურს „მაკლარენსა“ და მის შეფ **მარტინ უიტმარშს** მომავალ სეზონში KERS-ის სისტემასთან გამოთხოვება. სწორედ ეს ტექნოლოგია დაეხმარა ლუისს ბრწყინვალე სტარტში და შემდეგ **მარკ უებერის** გასწრებაში. დანარჩენ 58 წრეზე კი ბრიტანელი წარმატებით აკონტროლებდა საკუთარ თავს, მანქანასა და მეტოქეებს.

ჩემპიონატის უმძიმესი დასაწყისის მიუხედავად, „მაკლარენი“ ნელ-ნელა დაბრუნდა ფორმულა 1-ის ლიდერებს შორის და ლუისის გუშინდელი გამარჯვება ამის დასტური იყო.

„ფერარი“ ამ სეზონში პირველად გავიდა მეორე ადგილზე, მაგრამ ფელიპე მასას ავარიის გამო, „სკუდერიას“ რიგებში ზეიმზე არავინ ფიქრობდა. თანაც, **კიმი რაიკონენის** მეორე ადგილის ბედი რბოლის სტიუარდების ხელში იყო. ისინი დააეჭვა სტარტზე ფინელი პილოტის მანევრებმა, რომელთაგან ერთ-ერთმა მოგვიანებით, ტრასას ჩამოაშორა „რედ ბულის“ პილოტი **სებასტიან ფეტელი**.

**მარკ უებერი** და „რედ ბული“ ბოლომდე გახარებულები ვერ იქნებოდნენ მესამე ადგილით. ეს გუნდი შეეჩვია დუბლებს და თანდათან ამცირებდა ქულათა სხვაობას „ბრაუნ გრანპრისთან“, მაგრამ ამჯერად **კრისტიან ჰორნერის** შეგირდებმა ამ მხრივ მოკრძალებული ნაბიჯი გადადგეს წინ. ეჭვგარეშეა, რომ „რედ ბული“ გააგრძელებს **ჯენსონ ბატონის** დევნას, მაგრამ საინტერესო ის არის, ვინ იქნება ბრიტანელის მთავარი მდევარი - უებერი თუ



ფეტელი? ჯერჯერობით, საერთო ჩათვლაში წინ ავსტრალიელი გაიჭრა.

ფეტელის მსგავსად, ამ რბოლის სასწრაფოდ დავიწყებას ეცდება **ფერნანდო ალონსო**. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი პოულის მფლობელი იყო და სტარტიც მოიგო. ის ლიდერის რანგში გაეშურა პირველ პიტსტოპზე და ერთი წრის შემდეგ, ისევ ბოქსებში დაბრუნებამ მოუწია. როგორც გაირკვა, ერთ-ერთი საბურავი კარგად ვერ დაამაგრეს და ამან ბოლიდი მწყობრიდან გამოიყვანა.

„უილიამსის“ პილოტ **ნიკო როსბერგს** კვლავ ერთი ნაბიჯი დააკლდა პოდიუმამდე, მიუხედავად ამისა, ისევ მოიპოვა ქულების სოლიდური რაოდენობა. გერმანელი სტაბილურია, რასაც ვერ ვიტყვით მის თანაგუნდელ **კაზუკი ნაკაჯიმაზე**. იაპონელმა უკვე ათი რბოლა გამართა და კვლავაც უქულოდ არის დარჩენილი.

საგულისხმო იყო ჯენსონ ბატონის მეშვიდე და **რუბენს ბარიკელოს** მეცხრე ადგილი. როგორც ჩანს, „ბრაუნმა“ მთლიანად გაფლანგმა სისწრაფეში ის უპირატესობა, რაც სეზონის სტარტზე ჰქონდა. შესაძლოა, გუნდს მართლაც აღარ ჰყოფნის ფული ბოლიდის განვითარებისთვის. ბატონის უდიდესი ჰანდიკაპი ნელ-ნელა მცირდება. ჯენსონმა მადლობა უნდა გადაუხადოს ჰემილტონსა და რაიკონენს იმისთვის, რომ მათ უებერს ოთხ ქულაზე მეტის დაგროვების საშუალება არ მისცეს.

დაბოლოს, ინტერესს იწვევდა „ტორო როსოს“ დებიუტანტის **ხაიმე ალგესუარის** გამოსვლა, რომელმაც გუნდიდან დათხოვნილი **სებასტიან ბურდე** შეცვალა. ახალგაზრდა ესპანელმა რამდენიმე კომპლიმენტი დაიმსახურა. მას არ გაუვლია უსწრაფესი წრეები, მაგრამ უშეცდომო პილოტაჟის ხარჯზე ფინიშს მიაღწია და თანაგუნდელ **სებასტიან ბუემისაც** გაუსწრო.

ახლა, ფორმულა 1-ში თითქმის ერთთვიანი შესვენების დრო დადგა. მომდევნო ეტაპი 23 აგვისტოს ვალენსიაში გაიმართება.

**P.S.** მოგვიანებით ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ არ დასაჯა რაიკონენი და მას მეორე ადგილი შეუნარჩუნა. სამაგიეროდ, მკაცრ სასჯელს ვერ გადაურჩა „რენო“. იმის გამო, რომ ალონსოს ბოლიდს საბურავი მოძვრა, რითაც უსაფრთხოების წესები დაირღვა, ფედერაციამ ფრანგულ საჯინიბოს მომავალ გრან-პრიში მონაწილეობა აუკრძალა. „რენო“ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

გია **თვალაბეიშვილი**

**უნგრეთის გრანპრი. X ეტაპი**

**ჰუნგარორინგი (60 წრე, 308.863 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(4). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1:38.23,876 (2 პიტსტოპი) |
| 2(7). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | +11,529 (2) |
| 3(3). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +16,886 (2) |
| 4(5). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | +26,967 (2) |
| 5(6). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | +34,392 (2) |
| 6(14). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) | +35,237 (2) |
| 7(8). ჯენსონ ბატონი (ბრაუნი, ბრიტანეთი) | +55,088 (2) |
| 8(12). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | +1.08,172 (2) |
| 9(9). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | +1.08,774 (2) |
| 10(13). რუბენს ბარიკელო (ბრაუნი, ბრაზილია) | +1.09,256 (2) |
| 11(16). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | +1.10,600 (2) |
| 12(15). ნელსინიო პიკე (რენო, ბრაზილია) | +1.11,500 (2) |
| 13(19). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | +1.14,000 (2) |
| 14(17). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) | 1 წრე (2) |
| 15(20). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე (2) |
| 16(11). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე (2) |
| 17(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 41 წრე (2) |
| 18(1). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | 55 წრე (1) |
| 19(18). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | 69 წრე (1) |

საუკეთესო წრე: მარკ უებერი - 1.21,931 (192.498 კმ/სთ); 65-ე წრე

**საერთო ჩათვლა**

1. ჯენსონ ბატონი - 70 ქულა; 2. მარკ უებერი - 51.5; 3. სებასტიან ფეტელი - 47; 4. რუბენს ბარიკელო - 44; 5. ნიკო როსბერგი - 25.5; 6. იარნო ტრული - 22.5; 7. ფელიპე მასა - 22; 8. ლუის ჰემილტონი - 19; 9. კიმი რაიკონენი - 18; 10. ტიმო გლოკი - 16; 11. ფერნანდო ალონსო - 13; 12. ჰეიკი კოვალაინენი - 9; 13. ნიკ ჰაიდფელდი - 6; 14. სებასტიან ბუემი - 3; 15. სებასტიან ბურდე - 2; 15. რობერტ კუბიცა - 2.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. ბრაუნი - 114 ქულა; 2. რედ ბული - 98.5; 3. ფერარი - 40; 4. ტოიოტა - 38.5; 5. მაკლარენი - 28; 6. უილიამსი - 25.5;





გამოვიდა ივლისის ნომერი

